



დავძლიოთ
ომის
შედეგები ერთად

იძულებით გადაადგილებულ პირთა
და ღმრთივითა ინტეგრაციის
წარმატებული პრაქტიკა
უკრაინაში
საქართველოში
სომხეთში
რუსეთში, ჩრდილოეთ კავკასია

შინაარსი

შესავალი	9	სომხეთის არაკომერციული ორგანიზაციები	59
I. ორგანიზაციები - პარტნიორები	19	თემის განვითარების ფონდი „ბროწეულის თესლი“	60
„გერმანულ-რუსული გაცვლა“ DRA (გერმანია)	20	არაკომერციული ორგანიზაცია „ქალები განვითარებისათვის“	62
«Країна вільних людей» (უკრაინა)	24	სათემო ცენტრი „ლიუტიან თუნი“	64
კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ (საქართველო)	29	საზოგადოებრივი ორგანიზაცია - სომხეთის ერთობის ჯვარი	66
„სომხური კარიტასი“ (სომხეთი)	32		
II. ორგანიზაციები – პროექტის მონაწილეები	37	ჩრდილოეთ კავკასიის არაკომერციული ორგანიზაციები, რუსეთი	69
უკრაინის არაკომერციული ორგანიზაციები	39	დადესტნის სოციალურად ორიენტირებული რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ოქტავა“	70
საოლქო საქველმოქმედო ფონდი „ბავშვის ღიმილი“	40	ჩეჩნეთის რეგიონული საზოგადოებრივი საქველმოქმედო ორგანიზაცია „ქალთა რესურს ცენტრი“	72
საქველმოქმედო ფონდი „ჩვენებურები“	42	რეგიონთშორისი საზოგადოებრივი ორგანიზაცია „კავკასიური ინიციატივის ცენტრი“	74
„სოციალური ინიციატივების და პარტნიორობის ცენტრი“	44	ჩეჩნეთის რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაცია - სარესურსო სოციალურ-ფსიქოლოგიური ცენტრი „სინთემი“	76
საქველმოქმედო ორგანიზაცია - საქველმოქმედო ფონდი „დაცვის უფლება“	46		
საქართველოს არაკომერციული ორგანიზაციები	49	III. იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის წარმატებული პრაქტიკა უკრაინაში, საქართველოში, სომხეთში, რუსეთში, ჩრდილოეთ კავკასია	79
ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“	50	იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის უკრაინული გამოცდილება	83
ასოციაცია „იმედი“ - დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის	52	სიტუაციის მოკლე ანალიზი უკრაინაში იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის მხრივ	84
იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაციისა და ხელშეწყობის ცენტრი	54	საგანმანათლებლო ვიზიტი უკრაინაში	87
სენაკის სათემო განათლების ცენტრი	56		

**უკრაინაში იგპ-თა და
ლტოლვილთა ინტეგრაციის
წარმატებული მაგალითები** **93**

საქველმოქმედო ფონდი
„კარიტასი კრამატორსკი“ 94

მოხალისებრივი ინიციატივა
„სადგური ხარკოვი“ 100

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „დონბასი SOS“ 106

**იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის
ქართული გამოცდილება** **113**

სიტუაციის მოკლე ანალიზი საქართველოში
იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის მხრივ 114

საგანმანათლებლო ვიზიტი საქართველოში 117

**საქართველოში იგპ-თა და ლტოლვილთა
ინტეგრაციის წარმატებული მაგალითები** **123**

პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“ 124

იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“ (Consent) 130

საქველმოქმედო-ჰუმანიტარული
ცენტრი „აფხაზეთი“ 136

**იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის
სომხური გამოცდილება** **143**

სიტუაციის მოკლე ანალიზი სომხეთში იგპ-თა და
ლტოლვილთა ინტეგრაციის მხრივ 144

საგანმანათლებლო ვიზიტი სომხეთში 147

**სომხეთში იგპ-თა და ლტოლვილთა
ინტეგრაციის წარმატებული მაგალითები** **151**

შვეიცარიის ჰუმანიტარული ფონდი CASA 152

სომხეთის მცირე და საშუალო
ბიზნესის განვითარების ეროვნული ცენტრი 158

სათვისტომოს საქველმოქმედო საზოგადოებრივი
ორგანიზაცია „ალეპო“ 164

**იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის
ჩრდილოეთკავკასიური გამოცდილება, რუსეთი** **171**

სიტუაციის მოკლე ანალიზი იგპ-თა და
ლტოლვილთა ინტეგრაციის მხრივ
ჩრდილოეთ კავკასიაში, რუსეთი 172

ჩრდილოეთ კავკასიის არაკომერციული
ორგანიზაციების საინტეგრაციო
მუშაობის წარმოდგენა 176

**ჩრდილოეთ კავკასიაში ლტოლვილთა და იგპ-თა
ინტეგრაციის წარმატებული მაგალითები** **179**

ჩეჩენეთის რეგიონული ორგანიზაცია - სარესურსო
სოციალურ-ფსიქოლოგიური ცენტრი „სინთემი“ 180

კავკასიური ინიციატივის ცენტრი 184

ჩეჩენეთის რეგიონული ორგანიზაცია
„ქალთა რესურს ცენტრი“ 186

დასკვნა 193

**პროექტის „დავძლიოთ ომის შედეგები
ერთად“ შესახებ** 205

შესავალი

უკრაინის, საქართველოს, სომხეთის და რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტთა გამოცდილების საერთაშორისო დონეზე გაცვლის შესახებ იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა ინტეგრაციის თემაზე

ეს ბროშურა – არის შედეგი უკრაინაში, საქართველოსა და სომხეთში სამი საგანმანათლებლო ვიზიტისა იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) და ლტოლვილთა ინტეგრაციის თემაზე. მათში მონაწილეობა მიიღო უკრაინის, საქართველოს, სომხეთის და რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის საზოგადოებრივი ორგანიზაციების 16-მა წარმომადგენელმა.

ვიზიტები გაიმართა 2017 წელს საერთაშორისო პროექტის „დავძლიოთ ომის შედეგები ერთად“ ექვსიდან ერთ-ერთი სამუშაო მიმართულების ფარგლებში. პროექტის სამუშაო მიმართულება „იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაცია“ ერთობლივად განახორციელებს გერმანულმა არაკომერციულმა ორგანიზაციამ DRA (დრა) და პროექტის სამმა პარტნიორმა: «Країна вільних людей» (უკრაინა), კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ (საქართველო) და „სომხური კარიტასი“ (სომხეთი).

აქ შეკრებილი მასალები მკითხველს აცნობს როგორც ამ ვიზიტების ორგანიზატორებს, მონაწილეებს და მათ მუშაობას, ასევე იმ ორგანიზაციების განსაკუთრებით საინტერესო, ორიგინალური და წარმატებული პრაქტიკის გამორჩეულ მაგალითებს, რომლებიც საქმიანობენ იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის სფეროში სამ მასპინძელ ქვეყანასა და რუსეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ბროშურა სასარგებლო იქნება ყველასთვის, ვინც იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის სფეროში მუშაობს, ან დაინტერესებულია ამ თემატიკით.

პროექტის „დავძლიოთ ომის შედეგები ერთად“ შესახებ

საერთაშორისო პროექტი „დავძლიოთ ომის შედეგები ერთად“ (2016 წლის აგვისტო – 2019 წლის იანვარი) შემუშავდა და ჩატარდა გერმანული არასამთავრობო ორგანიზაციის „გერმანულ-რუსული გაცვლა“ (Deutsch-Russischer Austausch, DRA/დრა) ხუთი ქვეყნის - უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, რუსეთის და გერმანიის - შვიდ არასამთავრობო (საზოგადოებრივ) ორგანიზაციასთან თანამშრომლობით - გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის ძირითადი მიზანი – სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა სამხედრო მოქმედებების შედეგად წარმოქმნილი კონფლიქტების დაძლევისა და ახალი კონფლიქტების თავიდან აცილებაში - განსაკუთრებით უკრაინაში, სადაც უწყვეტი საომარი მოქმედებების შედეგად ბევრი ამოცანა სწრაფ გადაჭრას მოითხოვს. ასევე საქართველოში, სომხეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად აგვარებენ ანალოგიურ პრობლემებს.

დრა-ს და პარტნიორების მიერ ამ თემატიკაზე 2015-2016 წლებში განხორციელებული წინა პროექტი არის იმ რეგიონების საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ცოცხალი ურთიერთობის პროდუქტიულობის დემონსტრირება, სადაც იყო ან ახლა მიმდინარეობს საომარი მოქმედებები¹. ამასთან, სამოქალაქო საზოგადოება ჩვენ კონფლიქტების დაძლევის და მშვიდობისმყოფელობის ცენტრალურ ფაქტორად მიგვაჩნია პროექტის მონაწილე ყველა ქვეყანაში².

¹ იხ. <https://kriegsfolgen-ueberwinden.de/ru/vorgaengerprojekt/schulungen-vernetzungstreffen/soziale-integration/> и <https://kriegsfolgen-ueberwinden.de/ru/vorgaengerprojekt/schulungen-vernetzungstreffen/vernetzungstreffen-integration/>

² იხ. <https://kriegsfolgen-ueberwinden.de/ru/vorgaengerprojekt/>

სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა ომით განპირობებული პრობლემებისა და კონფლიქტების მოგვარებისთვის პროექტის ფარგლებში ხორციელდება მრავალი ფორმატით. ის მოიცავს შემდეგს:

- კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო კურსები მულტიპლიკატორებისა და ქვემოთ ჩამოთვლილი ექვსი მიმართულებით მომუშავე ადამიანებისთვის;
- სწავლების მონაწილეთა მცირე პროექტების ფინანსური და საექსპერტო მხარდაჭერა;
- (პოსტ)კონფლიქტური რეგიონების არასახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლების საერთაშორისო შეხვედრები, კონფერენციები, მრგვალი მაგიდები და საგანმანათლებლო ვიზიტები;
- რეგიონთშორისი საინფორმაციო კამპანიები;
- სპეციალური ლიტერატურის საინფორმაციო მასალების, მეთოდური სახელმძღვანელოების დაბეჭდვა.

თემატურად პროექტი მოიცავს ექვს სამუშაო მიმართულებას:

- მუშაობა სამხედრო კონფლიქტით განპირობებულ ტრავმებთან;
- ომის შედეგებით განპირობებული ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების სტრატეგიები;
- მუშაობა დიალოგისა და კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების მიღწევისთვის „ფორუმ-თეატრის“ დახმარებით;
- სამხედრო კონფლიქტით განპირობებული დისკრიმინაციის საწინააღმდეგო ქმედება;
- იძულებით გადაადგილებულთა და ლტოლვილთა ინტეგრაცია;
- სოციალური მენარმეობის განვითარების ხელშეწყობა სოციალურ-ეკონომიკური კონფლიქტების გადაჭრისთვის.

პროექტის „დავძლიოთ ომის შედეგები ერთად“ დაწვრილებით აღწერას ნახავთ ამ გამოცემის 206-215 გვერდებზე და პროექტის საიტზე (გერმანულ, უკრაინულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე): www.overcome-war.org.

სამუშაო მიმართულება „იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაცია“

პროექტის სამუშაო მიმართულებას „იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაცია“ ერთობლივად ახორციელებდა ოთხი ორგანიზაცია: გერმანული ორგანიზაცია დრა - ეს არის არაკომერციული ორგანიზაცია, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების გერმანულ-ალმოსავლეთევროპული თანამშრომლობის 25 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს ფართო თემატური დიაპაზონით. ხოლო სამი პარტნიორი უკრაინიდან, საქართველოდან და სომხეთიდან - „Країна вілних людей“, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ და „სომხური კარიტასი“ - განეკუთვნება წამყვან ორგანიზაციებს იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის კუთხით თავის ქვეყანაში.

ამ ოთხი პარტნიორი ორგანიზაციის უფრო დაწვრილებით დახასიათებას ეძღვნება ჩვენი პუბლიკაციის პირველი ნაწილი.

საგანმანათლებლო ვიზიტების შესახებ

პროექტის სამუშაო მიმართულების „იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაცია“ ფარგლებში მთავარ ღონისძიებებად იქცა სამი შვიდ-ღიანი საგანმანათლებლო მოგზაურობა უკრაინაში, საქართველო-სა და სომხეთში, აგრეთვე რუსეთის ჯგუფის მონაწილეების სამუშაო გამოცდილების პრეზენტაცია და შედეგების საფუძველზე ამ ბროშურის შედგენა.

პროექტის ხელმძღვანელის მარია სლუზაჩეკის კოორდინაციით (DRA/დრა, გერმანია) საგანმანათლებლო ვიზიტების ორგანიზება გააკეთეს პარტნიორმა კოორდინატორებმა: უკრაინაში - ნადეჟდა ხომენკოვ („Країна вілних людей“), საქართველოში - ალლა გამახარიაშვილი და მერი გელაშვილი (კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“), სომხეთში - დიანა მირიბიანი („სომხური კარიტასი“). ვიზიტები ხელს უწყობდა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა იმ გამოცდილების გამოყენებას და ნოუ-ჰაუს (როგორც მსგავსი, ასევე სპეციფიკური) განხორციელებას, რაც დააგროვეს სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებმა საომარ მდგომარეობაში მყოფ თუ ომისშემდგომ სხვადასხვა რეგიონში იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის სფეროში.

ვიზიტებში მონაწილეობისთვის ანკეტური გამოკითხვის გზით შერჩეულ იქნა ოთხ-ოთხი სამოქალაქო აქტივისტი - უკრაინიდან, საქართველოდან, სომხეთიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან, რუსეთიდან. ვიზიტების მიზანიც ეს ქვეყნები იყო, რუსეთის გამოკლებით (მონაწილეთა ქვეყნებს შორის აქტუალური ურთიერთობების გამო ჩრდილოეთ კავკასიაში ვიზიტი არ შემდგარა).

ყველა 16 მონაწილეს აქვს იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის კუთხით მუშაობის დიდი გამოცდილება. ისინი წარმოადგენენ ორგანიზაციებს, რომელთაც თავიანთ ქვეყანაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავთ ამ სფეროში. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ორგანიზაციათა შორის ბევრი იგპ-ის მიერაა შექმნილი. ამგვარად, თანამშრომლებს ხშირად ომისა და იძულებული ემიგრაციის პირადი გამოცდილება გააჩნიათ.

თექვსმეტივე მონაწილე ორგანიზაცია წარმოდგენილია ჩვენი გამოცემის მეორე ნაწილში.

უკრაინაში, საქართველოსა და სომხეთში ვიზიტების დროს 16-მა ექსპერტმა მოინახულა მაღალი პროფესიული კომპეტენტურობის მქონე 10-12 ორგანიზაცია. ეს იყო როგორც საერთაშორისო, ასევე რეგიონული და უმეტეს შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაცია. მათ საგულდაგულოდ ირჩევდნენ კოორდინატორები უკრაინიდან, საქართველოდან და სომხეთიდან, იქიდან გამომდინარე, თუ რა თემატური ინტერესები ჰქონდათ მონაწილეებს, რომლებსაც წინასწარ ჩაუტარდათ გამოკითხვა, რა საკითხზე უნდოდათ პასუხის მიღება და, პირველ რიგში, რომელი პრობლემების მოგვარების იდეები აინტერესებდათ. კიდევ ერთი კრიტერიუმი: მასპინძელი ორგანიზაციის გამოცდილება საინტერესო უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ უცხოელი კოლეგებისთვის, არამედ ამავე ქვეყნის მონაწილეებისთვისაც.

წარმოდგენილი იყო იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის კუთხით მუშაობის სხვადასხვა გამოცდილება და მიმართულება: სოციალური მენარმეობა; საგანმანათლებლო, ეკონომიკური, სამეწარმეო, კულტურული, სოციალური, ფსიქოლოგიური პროექტები; ძალადობის პროფილაქტიკა; მუშაობა ახალგაზრდობასთან; სამშვიდობო საქმიანობა და ბევრი სხვა.

დასრულებისთანავე მონაწილეები რთული ამოცანის წინაშე დადგნენ: ნანახ-გაგონილიდან უნდა ამოერჩიათ იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის სამი განსაკუთრებით წარმატებული პრაქტიკა ყოველი ქვეყნიდან. უფრო ობიექტური შეფასების მისაღებად შემუშავდა ანკეტა, რომელიც შეავსო საგანმანათლებლო ვიზიტის 16-ვე მონაწილემ. თუმცა თითოეულ ქვეყანაში მხოლოდ სამი ორგანიზაციით შემოფარგვლა რთული აღმოჩნდა. უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ბევრი კარგი მაგალითი აღწერის გარეშე დარჩა.

წარმოდგენილია ჩრდილოეთ კავკასიის სამი მაგალითიც. ვინაიდან იქ ჩასვლა ვერ მოხერხდა, მაგალითების აღწერა მოხდა მონაწილე ორგანიზაციების მუშაობის მიხედვით, რაც წარედგინა კოლეგებს და განხილულ იქნა ვიზიტების დროს.

ოთხი ქვეყნის წარმატებული პრაქტიკის მაგალითებს ამ ბროშურის მესამედი უჭირავს. ოთხ ნაწილს წინ უძღვის სიტუაციის მოკლე ანალიზი ამ ქვეყნებში იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის მხრივ და ინფორმაცია ჩვენი პროექტის ფარგლებში იქ გამართული საგანმანათლებლო ვიზიტის შესახებ.

საგანმანათლებლო ვიზიტის 16 მონაწილე ამბობს, რომ ამ გამოცდილებამ ბევრი რამ შესძინა. ისინი ერთმანეთს უამბობდნენ თავიანთ მიღწევებზე, გაეცნენ 30-ზე მეტი ორგანიზაციის მუშაობას, შეისწავლეს და იმსჯელეს სხვადასხვა მიდგომაზე თავიანთ საერთო სამუშაო სფეროში - იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაცია, გაიღრმავეს ცოდნა, შეკრიბეს იდეები და შთაბეჭდილებები. მათ ერთმანეთს შორის დაამყარეს მყარი კავშირები, რამაც გაცვლის, კონსულტაციებისა და თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები წარმოაჩინა.

ქვეყნებს შორის ბევრი საერთოც იქნა აღმოჩენილი და ბევრი განსხვავებაც. უკრაინაში განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო აქტიური სამოქალაქო საზოგადოება. მან გასაოცარი სისწრაფით მოახდინა რეაგირება საომარ მოქმედებებზე თავის ქვეყანაში და - უამრავი მოხალისის წყალობით - ძალიან სწრაფად შექმნა იგპ-თა და ლტოლვილთა მხარდაჭერის და ინტეგრაციის მრავალფეროვანი ფორმა.

საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საკანონმდებლო ზომებს მიზნობრივი ჯგუფების ინტეგრაციისთვის,

აგრეთვე წარმატებულ საგანმანათლებლო პროექტებს ახალგაზრდებისთვის და ლობირების მეთოდებს. უკრაინელმა კოლეგებმა ეს მეთოდები დაუყოვნებლივ განახორციელეს თავიანთ ქვეყანაში. სომხეთში წარმოდგენილი იყო იგპ-თა და ლტოლვილთა ეკონომიკური ინტეგრაციის უჩვეულოდ ბევრი წარმატებული მეთოდი, მათ შორის ტურიზმის სფეროში მცირე და სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის ფორმით. სასარგებლო იდეები იყო მიღებული ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობის კუთხითაც. ჩრდილოეთკავკასიელმა კოლეგებმა წარმოადგინეს თავიანთი რეგიონის პროექტები, რომელთა შორის მონაწილეთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია იგპ-თა და ლტოლვილთა ფსიქოსოციალური მხარდაჭერის მრავალწლიანმა გამოცდილებამ და წარმატებულმა პრაქტიკამ. სამივე ქვეყანაში ვიზიტის დასრულების შემდეგ ჩრდილოეთკავკასიელი კოლეგები მიიწვიეს საქართველოსა და უკრაინაში, რათა ემოციური გადანვის სამიშროების მქონე აქტივისტ ქალებსა და მამაკაცებს დრო სულიერი ძალების აღდგენაში გაეტარებინათ. ამასთანავე საერთო ტრენინგების ნაწილი მიეძღვნათ რეაბილიტაციისადმი.

ეს პუბლიკაცია გამოდის ოთხ ენაზე – უკრაინულ, რუსულ, სომხურ და ქართულ ენებზე. ვიმედოვნებთ, რომ ვიპოვით მკითხველებს, რომლებიც გაეცნობიან მუშაობის წარმატებულ გამოცდილებას იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის კუთხით უკრაინაში, საქართველოში, სომხეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში, რუსეთში. ეს ორგანიზაციები ერთმანეთისგან განსხვავებულები არიან, მაგრამ ყველას აერთიანებს სურვილი - დაეხმარონ იძულებით გადაადგილებულ პირებს, ლტოლვილებს და სხვა ადამიანებს, რომელთაც ომი შეეხო, ერთად დაძლიონ ომის შედეგები, დაუბრუნდნენ ღირსეულ ცხოვრებას თავიანთ ქვეყნებში და ყველაფერი გააკეთონ საიმისოდ, რომ თავიდან აიცილონ ახალი კონფლიქტები.

ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი
საქართველოში და გამოცემის შემდგენელი

მარია სლენაჩეკი

პროექტის
„დავძლიოთ ომის შედეგები ერთად“ ხელმძღვანელი

16 მონაწილე აქტივისტის გამოხმაურება, რაც ყოველი ვიზიტის და მთელი ღონისძიების დასრულების შემდეგ იკრიბებოდა, საგანმანათლებლო ვიზიტების წარმატებას მოწმობს. მაგალითად:

...საგანმანათლებლო ვიზიტზე უკრაინაში:

„საინტეგრაციო პროექტებმა, რომლებსაც უკრაინაში გავეცანით, მკაფიოდ დავგანახა სამუშაოს უზარმაზარი მოცულობა: ჰუმანიტარული დახმარება, ფსიქოსოციალური მხარდაჭერა. ბევრი მათგანი ეხმარებოდა ადამიანებს, აწყობდნენ ქალებისა და ბავშვების, შემდეგ კი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების ევაკუაციას ისე, რომ საფრთხეში ივდებდნენ საკუთარ სიცოცხლეს. ახლა ბევრი მუშაობს დასაქმების საკითხების, ბავშვებთან და მშობლებთან ფსიქოლოგიური ადაპტაციის მოგვარებაზე, მცირე ბიზნესის განვითარებაზე. მოქმედებს უფასო იურიდიული მომსახურება, ხდება იგპ-თა ინტერესების ადვოკაცია და ლობირება“.

(პროექტის საქართველოს ჯგუფის მონაწილეთა ანგარიშებიდან)

...საგანმანათლებლო ვიზიტზე საქართველოში:

„ჩვენ ვნახეთ შესანიშნავი არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც ბევრს აკეთებენ პრობლემების მოგვარებისთვის. უამრავ შეკითხვაზე მოვისმინეთ პასუხი. საქართველოს კონფლიქტის მთლიანი კონტექსტი არ ემთხვევა უკრაინისას. ჩვენ ჩვენი თავისებურებები გვაქვს. რასაც კარგად მიაღწიეს საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ეს არის სამოქალაქო სექტორის ურთიერთობა ხელისუფლებასთან. მე ვნახე, რომ მთავრობა ზრუნავს ხალხზე. იმ ნეგატივის მიუხედავად, რაც მოვისმინეთ, მკაფიოდ დავინახე მხარდაჭერის ხაზი მთავრობისგან და ეს პრაქტიკა ჩემს ქვეყანაში შეიძლება იყოს წარმოდგენილი, როგორც წარმატებული პრაქტიკა“.

(პროექტის უკრაინის ჯგუფის მონაწილეთა ანგარიშებიდან)

...საგანმანათლებლო ვიზიტზე სომხეთში:

„საინტერესო იყო საეკლესიო მრგვალი მაგიდა. სომხურ საზოგადოებაში მეტად მნიშვნელოვანია ეკლესია. გასაოცარი იყო ერთობა ლტოლვილების დახმარებისას, სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენელთა მსახურება, ადგილობრივი მოსახლეობის თბილი დამოკიდებულება ლტოლვილების მიმართ - ათიდან მხოლოდ ერთმა ორგანიზაციამ გვიამბო დისკრიმინაციის ფაქტების შესახებ. ამისგან ბევრი რამის სწავლაა შესაძლებელი“.

(პროექტის რუსეთის ჯგუფის მონაწილეთა ანგარიშებიდან)

I. ორგანიზაციები

—

პარტნიორები

„გერმანულ-რუსული გაცვლა“ DRA (გერმანია)

გერმანია, 13357, ქ. ბერლინი
ბადშტრასე 44
+49 (0)30 44 66 80-0
info@austausch.org
austausch.org/ru
fb.com/draberlin



საზოგადოებრივი ორგანიზაცია DRA (დრა) წარმოადგენს საერთაშორისო არაკომერციულ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლის ბაზა არის ბერლინში. 1992 წელს ბერლინში „გერმანულ-რუსული გაცვლის“ (Deutsch-Russischer Austausch, DRA/დრა) სახელით შექმნილი ორგანიზაცია მუშაობას შეუდგა რუსეთში დემოკრატიული პროცესების და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მიზნით. 1997 წლიდან დრა ახორციელებს პროექტებს უკრაინასა და ბელარუსში. მოგვიანებით - საქართველოსა და სომხეთში. ამასთან ის მუდმივად თანამშრომლობს პარტნიორებთან ამ და სხვა ქვეყნებში, მათ შორის პოლონეთში, უნგრეთში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ბოსნიაში.

2011 წელს DRA გახდა სამოქალაქო ფორუმის „ევროკავშირი-რუსეთი“ (EU-Russia Civil Society Forum, CSF) ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი. მასში ამჟამად 150-მდე ორგანიზაცია შედის. ამას გარდა, ორგანიზაცია გამოვიდა, როგორც ერთ-ერთი დამფუძნებელი სამოქალაქო საზოგადოების ღია ევროპული პლატფორმისა CivilM+, რომელიც ხელს

უწყობს სამოქალაქო ინიციატივების გაერთიანებას და დონბასის აღდგენას.

დრა-ს საქმიანობა ხორციელდება მხოლოდ საპროექტო გრანტების, ნებაყოფლობითი შემოწირულობების და სანევრო გადასახადების მეშვეობით.

მისია

ევროპული სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა და გაძლიერება და ევროპაში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის და სამშვიდობო დიალოგის შექმნა.

ხედვა

დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოება, დისკურსთა პლურალიზმი, ადამიანის და მოქალაქის უფლებების პატივისცემა წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების მთავარ წინაპირობას. მათი შენარჩუნება და განვითარება ყოველთვის დარჩება აქტუალურ ამოცანად, რომელიც მოითხოვს კომპეტენტური ქმედებების გაერთიანებას საერთაშორისო დონეზე. მრავალრიცხოვან პარტნიორებთან ერთად DRA-ს წვლილი შეაქვს ამ მიზნების მიღწევაში.

საქმიანობის მიმართულებები

- ევროპული სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურების გაძლიერება, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში
- მშვიდობისმყოფელობა, კონფლიქტების დარეგულირება და პრევენცია
- შიდა ეთნიკური და კულტურათშორისი ურთიერთქმედება
- ინტეგრაცია, ინკლუზია
- ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დაცვა
- სამოქალაქო აქტიურობა და განათლება
- დემოკრატიული საზოგადოებრიობა და თავისუფალი მასობრივი საინფორმაციო საშუალებები
- კლიმატისა და გარემოს დაცვა

საქმიანობის სახეები

- სწავლება, ტრენინგები და საგანმანათლებლო ვიზიტები საზოგადოებრივად აქტიური სპეციალისტების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად
- პლატფორმის შექმნა გამოცდილების გაზიარებისა და კონტაქტების დამყარებისთვის აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის აქტივისტებსა და სპეციალისტებს შორის: საერთაშორისო კონფერენციები, მრგვალი მაგიდები, პანელური დისკუსიები, ფესტივალები
- მოხალისეებისა და სპეციალისტების გაცვლის პროგრამა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან
- კონფლიქტის ზონებში სამონიტორინგო მისია უკრაინაში ადამიანის უფლებათა დარღვევის კუთხით
- ანალიტიკური კვლევების ჩატარება, პუბლიკაციები
- კონსულტაციები გერმანული და დასავლეთევროპული ფონდებისთვის, საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანებებისთვის აღმოსავლეთ ევროპასთან თანამშრომლობის საკითხებზე

«Країна вільних людей» (უკრაინა)

უკრაინა, 84333, ქ. კრამატორსკი
ტრანსპორტის ქ. 20
+380 (99) 022 66 7
kvl.org.ua
fb.com/ngocfp



საზოგადოებრივი ორგანიზაცია «Країна вільних людей» (თავისუფალი ადამიანების ქვეყანა) არის უკრაინაში დრა-ს მთავარი პარტნიორი პროექტის „დავძლიოთ ომის შედეგები ერთად“ განხორციელებისას.

საზოგადოებრივი ორგანიზაცია «Країна вільних людей» შეიქმნა 2014 წლის აპრილში დონბასის სამოქალაქო აქტივისტების ძალე-ბით. დაიწყო სამკაცრიანი საზოგადოებრივი ინიციატივიდან და განვლო განვითარების გზა ძლიერ ორგანიზაციამდე, რომელმაც სხვადასხვა სახის დახმარება გაუწია 47,5 ათას იძულებით გადაადგილებულ პირს, 23 ათას ადამიანს საბრძოლო მოქმედების ზო-ნაში. ამას გარდა, თანამშრომლების და მოხა-ლისეების ძალებით, საბრძოლო მოქმედების ზონიდან ევაკუირებულ იქნა 4,5 ათასი ადა-მიანი, 5 ათასზე მეტმა ბავშვმა მიიღო ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა. ორგანიზაცია მუ-შაობს ფრონტისპირა ტერიტორიების 300-ზე მეტ დასახლებულ პუნქტში, სთავაზობს რა ადგილობრივ მოსახლეობას მატერიალურ და არამატერიალურ დახმარებას.

მისია

საომარი კონფლიქტის შედეგების მინიმიზაცია კონსტრუქციული ურთიერთქმედების და რეალური ცვლილებების გზით

საქმიანობის მიმართულებები

- ჰუმანიტარული დახმარება და დროებითი საცხოვრებლის შეთა-ვაზება
- საომარი კონფლიქტის შედეგების მინიმიზაცია და ადვოკაცია
- საარსებო სახსრების შეთავაზება და ეკონომიკური განვითარება
- დაზარალებული მოსახლეობის ფსიქოსოციალური მხარდაჭერა
- ბავშვებისა და ახალგაზრდობის დაცვა და განვითარება
- სამშვიდობო საქმიანობა

საქმიანობის სახეები

- საბაზისო საჭიროებებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველ-ყოფა დაზარალებული მოსახლეობისთვის საბაზისო სურსათის, არასასურსათო, სამედიცინო, ფულადი დახმარების განაწილე-ბის გზით
- კომპაქტურად დასახლებული ადგილების შექმნა და უზრუნველ-ყოფა
- საზოგადოების პოტენციალის გაძლიერება და სოციალური ერ-თობის გაზრდა სოციალურად ორიენტირებული ინიციატივების განხორციელების გზით
- ადგილობრივი თემების ინიციატივების მხარდაჭერა პროგრამის „ვაუჩერი სამუშაოსთვის“ დახმარებით
- დახმარება სოფლის მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაში მცირე ფერმერული მეურნეობის და კოოპერატივების მხარდა-ჭერის გზით

- ინფრასტრუქტურის აღდგენა (საპროექტო დოკუმენტაციის დამზადება, სკოლების კაპიტალური რემონტი, საბავშვო მოედნების მოწყობა საჯარო ადგილებში)
- საადვოკაციო კამპანიების ჩატარება, კანონშემოქმედებითი საქმიანობა, უფასო იურიდიული მისაღების ორგანიზება დაზარალებული მოსახლეობისთვის და იურისტთა მობილური გასვლები კონფლიქტის ზონაში, საპროცესო დოკუმენტების შედგენა და სასამართლოებში თანხლება
- მუშაობა საომარი კონფლიქტებით გამოწვეულ ფსიქოლოგიურ ტრავმებთან, ინდივიდუალური და ჯგუფური ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა
- ხანდაზმული ადამიანების, სოციალურად არაკეთილსაიმედო ოჯახების წარმომადგენელი ბავშვების და მშობლების, მოსახლეობის სხვა მოწყვლადი ჯგუფების ფსიქოსოციალური მხარდაჭერა
- დაზარალებულ მოსახლეობასთან უკუკავშირის უზრუნველყოფა „ცხელი ხაზის“ ამოქმედებით და გადამისამართების მექანიზმების შემუშავებით
- იგპ ბავშვებისა და ახალგაზრდების, მიმღები საზოგადოების და ანტიტერორისტული ოპერაციების მონაწილე ბავშვების ინტეგრაცია სარეაბილიტაციო ბანაკების, თემატური, განმავითარებელი, სპორტული ღონისძიებების მოწყობით; გამაჯანსაღებელი, საექსკურსიო გასვლები და ლაშქრობები
- ახალგაზრდული კლუბები - არაფორმალური განათლების და სამოქალაქო მონაწილეობის შესაძლებლობის შეთავაზებით, ახალგაზრდული ინიციატივების პროექტების მომზადება და დაწერვა
- თემში ადამიანებს შორის ურთიერთგაგების კულტურის განვითარება სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებს შორის დიალოგის სწავლების გზით ღია ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის
- მუშაობა დიალოგის მიღწევის და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების კუთხით

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ (საქართველო)

საქართველო, 4600, ქ. ქუთაისი
მგალობლიშვილის ქ. 6
+995 431 27 13 68
womansukhumi@gmail.com
fsokhumi.ge
fb.com/fsokhumi



ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია - კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ შეიქმნა 1997 წელს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ქალების მიერ ქუთაისში (დასავლეთ საქართველო).

ორგანიზაციის პირველად ამოცანად ითვლებოდა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) პოსტკონფლიქტური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური რეაბილიტაცია. ეს ადამიანები დაზარალებულნი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის (1992 წლის 14 აგვისტო - 1993 წლის 29 სექტემბერი) შედეგად და ცხოვრობდნენ ქუთაისში. თანდათან კი მუშაობა გავრცელდა დასავლეთ საქართველოზე (იმერეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა).

თავიდანვე განისაზღვრა ორგანიზაციის საქმიანობის გენდერული ვექტორი. ის იყო მიმართული ქალისკენ, უკავშირდებოდა მის ყოფას და ძირითად საჭიროებებს, ცდილობდა შეექმნა შესაძლებლობები მისი მდგრადი განვითარებისთვის, უკეთესობისკენ შეეცვალა ქალის მდგომარეობა ოჯახსა და საზოგადოებაში.

მისია

ქალთა გააქტიურების ხელშეწყობა და განვითარება საგანმანათლებლო, სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საქმიანობის გზით ქალთა როლის ასამაღლებლად საქართველოში დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისთვის, კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესში.

ხედვა

გენდერული თანასწორობის და მშვიდობის მიღწევა

საქმიანობის მიმართულებები

- ქალი და გენდერული თანასწორობა
- ქალი და მშვიდობისმყოფელობა
- ქალი და არაძალადობრივი საზოგადოება
- ახალგაზრდებთან მუშაობა
- მუშაობა იგპ-თან

საქმიანობის სახეები

ორგანიზაციის დასახული მიზნები ხორციელდება სამოქალაქო განათლების, კვლევების, ინფორმირების და ადვოკატირების მეშვეობით:

- სამოქალაქო განათლება - ტრენინგები, ვორკშოპები, მასტერ-კლასები
- კვლევები - გამოკითხვა, ჩაღრმავებული ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, ანალიზი
- ინფორმირებულობა/პროპაგანდა - საზოგადოებრივი დებატები, მრგვალი მაგიდები, საკანონმდებლო ინიციატივები, ბეჭდური გამოცემები, სამოქალაქო ფორუმები, სოციალური კლიპები, რადიო და ტელეგადაცემები, რეკლამები, ფილმები, ფორუმ-თეატრი, ჩრდილების თეატრი
- კონსულტაციები - იურიდიული, ფსიქოლოგიური, რეპროდუქციული

ფონდ „სოხუმში“ დასავლეთ
საქართველოს მასშტაბით მუშაობს:

- ცხრა ქალთა მხარდაჭერის ცენტრი
- რვა ამომრჩეველ ქალთა კლუბი
- ოთხი გენდერული საკონსულტაციო საბჭო
- ცხრა ახალგაზრდული კლუბი
- ფორუმ-თეატრი
- ჩრდილების თეატრი

„სომხური კარიტასი“ (სომხეთი)

სომხეთის რესპუბლიკა, 3118, შირაკის პროვინცია
ქ. გიუმრი 3118, ო. სარგსიანის ქ., მე-3 შესახვევი, სახლი 8
+374 312 57 20 1

info@caritas.am,
caritas@caritasarmenia.org
caritas.am
fb.com/ArmenianCaritas



„სომხური კარიტასი“ არის საქველმოქმედო საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1995 წელს სომხეთის კათოლიკური ეკლესიის მიერ. საქველმოქმედო საზოგადოებრივი ორგანიზაციის სტატუსით, „სომხური კარიტასის“ ძალისხმევა კონცენტრირებულია სოციალური დაცვის და თემთა განვითარების პროგრამებზე ცხოვრების პირობების და განათლების გაუმჯობესების კუთხით, განსაკუთრებით მოწყვლადი სოციალური ჯგუფების საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, მიგრაციის და ინტეგრაციის პროგრამებზე - დამბრუნებელ პირთა რეინტეგრაციის მდგრადი ზომების განხორციელებისათვის, ჰუმანიტარულ საქმიანობასა და მუშაობაზე განვითარების სფეროში. შექმნის დღიდან, „სომხურმა კარიტასმა“ უშუალო დახმარება გაუწია ათასობით ადამიანს სომხეთის 125 თემში, განაგრძობს თავისი პროგრამების განხორციელებას მთელ სომხეთში. მოქმედებს შირაკის, ლორეს, გელარქუნიქის, არარატის პროვინციებში და დედაქალაქ ერევანში. ინტეგრაციული საქმიანობის ფარ-

გლებში 2000-ზე მეტმა სირიელმა სომეხმა ისარგებლა დახმარების სხვადასხვა ფორმით.

დღეს „სომხურ კარიტასს“ აქვს მყარი ინსტიტუციური ბაზა მკაფიოდ განსაზღვრული მისიით და ხედვით, უამრავი ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორობით. „სომხური კარიტასი“ არის კონფედერაციის Caritas Internationalis и Caritas Europe და Caritas-ის საერთაშორისო ქსელის წევრი - ქსელში 160-ზე მეტი წევრია და მთელი მსოფლიოს ქვეყნებს გადაუდებელ დახმარებას და მხარდაჭერას უწევს.

მისია

ემსახუროს სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფს სიყვარულით და თანაგრძნობით, პატივი სცეს თითოეული ადამიანის ღირსებას.

ხედვა

გრძელვადიანი პოზიტიური ცვლილება ადამიანთა ცხოვრებაში სოციალური სამართლიანობის და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის გზით სომხეთში.

საქმიანობის მიმართულებები

- ბავშვთა სოციალური დაცვა
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა სოციალური ჩართულობა
- სოციალური ჩართულობა და ხანდაზმული ადამიანების მოვლა
- უბედურ შემთხვევათა რისკის შემცირება და რეაგირება საგანგებო სიტუაციებზე
- თემთა განვითარება
- მიგრაცია და ინტეგრაცია
- „სომხური კარიტასის“ ორგანიზაციული განვითარება

საქმიანობის სახეები

სამიზნე ჯგუფებისთვის ძირითადი საჭიროებების, მოვლის და განვითარების ღონისძიებების შეთავაზების გარდა, „სომხური კარიტასი“ თავისი ძალისხმევის კონცენტრირებას ახდენს პროპაგანდისტულ საქმიანობაზე და სოციალური პოლიტიკის გადახედვაზე, რაც მიმართულია უფრო მდგრადი ცვლილებების უზრუნველყოფისკენ:

- სხვადასხვა პროექტი სირიელი სომხებისთვის ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად; ძირითადად, დახმარება მოიცავდა სირიელი, განსაკუთრებით მონყვლადი ლტოლვილების ცხოვრებისეული პირობების უზრუნველყოფას;
- საკვები პროდუქტების, ჰიგიენის საშუალებების, ზამთრის ტანსაცმლის, იჯარის და კომუნალური მომსახურების, მედიკამენტების და სამედიცინო დახმარების მიწოდება, ენების კურსის მხარდაჭერა, სირიიდან ლტოლვილთა მონაწილეობა ვაკანსიების ბაზრებსა თუ ბაზრობებში;
- ვაკანსიის, საცხოვრებელი ფართის გაქირავების, სკოლებისა და უნივერსიტეტების, სამედიცინო მომსახურების და ტრენინგების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა ბენეფიციარისთვის;
- ღონისძიებები სირიელი სომხების ინტეგრაციის დასახმარებლად: ინსტრუმენტების მიწოდება პროფესიული კურსების დასრულების შემდეგ, ბიზნეს ტრენინგების ორგანიზება;
- კრედიტების გაცემა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის;
- ენების კურსების ორგანიზება;
- იურიდიული დახმარების გაწევა.

ყველა ქმედება მიმართულია შემოსავლის შექმნისა და მიღებისაკენ, აგრეთვე სირიელი სომხების დასაქმების პრობლემის მოგვარებისკენ, რადგან ამ გადამწყვეტ ფაქტორებზეა დამოკიდებული ინტეგრაციის წარმატება.

II. ორგანიზაციები

—

პროექტის მონაწილეები

უკრაინის
არაკომერციული
ორგანიზაციები

საოლქო საქველმოქმედო ფონდი „ბავშვის ღიმილი“

უკრაინა, 690365, ზაპოროჟიე
დამოუკიდებელი უკრაინის ქ., 40 ა, ოფ. 14
+38 050 321 12 88, +38 093 323 47 73
childsmile.zp@gmail.com
childsmile.org.ua
fb.com/childsmilezp



ზაპოროჟიეს საოლქო საქველმოქმედო ფონდი „ბავშვის ღიმილი“ ოფიციალურად დარეგისტრირდა 2013 წლის 25 აპრილს.

მისია

სკოლა-ინტერნატების და სოციალურ-ფსიქოლოგიური სარეაბილიტაციო ცენტრების, სოციალურად მონყვლადი ოჯახების ბავშვების, იძულებით გადაადგილებული პირების და უკრაინის აღმოსავლეთში კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალური ადაპტაციის და ინტეგრაციის ხელშეწყობა კულტურასა და საზოგადოებაში მიზნობრივი დახმარების, კომპლექსური პროგრამების და ღონისძიებების განხორციელების გზით.

საქმიანობის მიმართულებები

ზაპოროჟიესა და დონეცკის ოლქებში (უკრაინის მთავრობის კონტროლირებად ნაწილში) ფონდი ახორციელებს პროგრამებს, რომლებიც ემსახურება ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარების მიწოდებას, ხელშეწყობას დასაქმებაში, ქეშ-გრანტების გაცემას, ეხმა-

რება სოციალურ მუშაკებს. ზაპოროჟიესა და დონეცკის ოლქებში აგრეთვე მუშაობს ოჯახური და ბავშვთა განვითარების პუნქტები, სადაც ტარდება ოჯახის ფსიქოსოციალური მხარდაჭერისკენ მიმართული კომპლექსური მეცადინეობები.

2015 წლიდან სისტემატურად იმართება საქალაქო საოჯახო ფესტივალი „მეგობრების წრე“, რომლის მიზანია იგპ-თა ინტეგრაცია ადგილობრივ თემში.

2016 წელს დახმარება გაენია 20 609 ადამიანს.

საქველმოქმედო ფონდი „ჩვენებურები“

უკრაინა, 08681, კიევის ოლქი,
ვასილკოვსკის რაიონი, სოფ. როსლავიჩი
შევჩენკოს ქ., 18გ
+38 050 384 76
+38 (063) 233-09-91, +38 (066) 135 88 51
o.sukorukova@svoyi.com.ua
office@svoyi.com.ua
svoyi.com.ua/uk
fb.com/cf.svoyi



მისია და საქმიანობის მიმართულებები

საქველმოქმედო ორგანიზაცია - საქველმოქმედო ფონდი „ჩვენებურები“ მოხალისეების მიერ 2014 წლის აგვისტოში შეიქმნა დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებიდან და ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკიდან იგზავნიან ადამიანების დასახმარებლად. თავიდან, როცა დიდი იყო იმ ხალხის ნაკადი, ვინც საომარი მოქმედებების გამო თავისი სახლ-კარი დატოვა, ფონდი ცდილობდა უბედურებასგამოქცეული ადამიანების უზრუნველყოფას პირველადი მოთხოვნილების საგნებით - საკვები, ტანსაცმელი, სურსათი, საყოფაცხოვრებო ნივთები, ნამლები. მაშინ ყველას ეგონა, რომ ეს დროებითი იყო და ადამიანები თავიანთ სახლებს დაუბრუნდებოდნენ.

მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ნათელი გახდა, რომ იგზავნიან დაბრუნება არც ისე მალე მოხდება და ადამიანებს პირველადი მოთხოვნილების ნივთებზე არანაკლებ სჭირდებათ ახალ საზოგადოებაში ინტეგრაცია.

ფონდის მოხალისეებმა ორგანიზება გაუკეთეს ტრენინგებს, რომლებიც ეხმარებოდა ადამიანებს სამუშაოს მოძებნაში; დაწყებითი კომპიუტერული განათლების კურსებს, სადაც უფროსი ასაკის ადამიანები სწავლობდნენ ინტერნეტის, მარტივი პროგრამების და სოციალური ქსელების გამოყენებას, რამაც მნიშვნელოვნად გაუადვილა მათ სამუშაოს, ყოფისთვის საჭირო ნივთების მოძიება, მისცა ხელმისაწვდომობა იგზავნიან მხარდამჭერი რესურსებისადმი, ხელს უწყობდა მთელ უკრაინაში მიმოფანტულ ნათესავ-ახლობლებთან ურთიერთობაში.

ბავშვებსაც ძალიან უჭირდათ ახალ საზოგადოებაში შესვლა. საქველმოქმედო ფონდი „ჩვენებურები“ ახორციელებდა პროექტებს ადგილობრივ თემში მათი სოციალიზაციისა და ინტეგრაციისათვის.

2015 წლის ზაფხულში სამი თვის განმავლობაში მოხალისებრივ ცენტრში მუშაობდა დღის საბავშვო ბანაკი „ზაფხული ფროლოვსკაიაზე“, რამაც 250-მდე ბავშვს უკეთ გააცნო კიევი, შეაყვარა თავისი ახალი ქალაქი, მისცა ინფორმაცია უმაღლესი სასწავლებლების შესაძლებლობების და ქალაქში მოთხოვნილი პროფესიების შესახებ.

2015 წლის სექტემბრიდან მოყოლებული, იგზავნიან ბავშვებისთვის მუშაობს შაბათის კლუბი „სახურავქვეშ“ - აქ არის საინტერესო მასტერკლასები, ენობა ექსკურსიები, მეცადინეობები ინგლისურ ენაში. დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს საშუალება აქვთ, მოემზადონ გარე დამოუკიდებელი შეფასებისთვის უკრაინულ ენასა და ლიტერატურაში, უკრაინის ისტორიაში. ბავშვებისთვის წამახალისებელია ის, რომ შეუძლიათ კლუბში მიიყვანონ თავიანთი ახალი ადგილობრივი მეგობრები. მოზარდთა კლუბის მეცადინეობებში ჩართულნი არიან რთულ ცხოვრებისეულ პირობებში მყოფი ადგილობრივი ბავშვებიც.

მოხალისებრივ ცენტრში „ფროლოვსკაია 9/11“ რომელიც ფონდმა 2014 წლის აგვისტოში გახსნა, კიეველი მოხალისეების გვერდით ყოველთვის იდგნენ იგზავნიან მოხალისეები. ადამიანები მოდიოდნენ დახმარების მისაღებად და რამდენიმე დღეში ისევ ბრუნდებოდნენ, რომ უკვე სხვებს დახმარებოდნენ. ახლა ფონდის მუდმივ მოხალისეთა შორის 70% - იძულებით გადაადგილებული პირია.

„სოციალური ინიციატივების და პარტნიორობის ცენტრი“

უკრაინა, 18001, ჩერკასკის ოლქი, ქ. ჩერკასი,
ბლაგოვესტნაიას ქ. 170
+38 099 930 00 67, +38 099 342 91 12
csip.ngo@gmail.com
fb.com/CSIPngo



საქმიანობის მიმართულებები

- იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაცია
- ახალგაზრდული პროექტები, მიმართული სამშვიდობო, ანტიდისკრიმინაციის, სოციალური აქტივობის სფეროში ახალგაზრდული ინიციატივების განვითარებისა და მხარდაჭერისაკენ
- არაფორმალური განათლების პროექტები გამოცდილების საერთაშორისო გაცვლისა და თანამშრომლობის სფეროში
- ქალთა უფლებების დაცვა და მათი სოციალიზაცია
- საზოგადოების შეკავშირებისკენ მიმართული პროექტები

ამას გარდა, სოციალური ინიციატივების და პარტნიორობის ცენტრის წარმომადგენლები გამოდიოდნენ ორგანიზატორებად, რომლებიც ატარებდნენ მრგვალ მაგიდებს ადგილობრივი მთავრობის და სოციალური დაცვის ორგანოების წარმომადგენლებთან იგპ-თა უფლებების და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად. მათ არაერთხელ მიუღიათ მონაწილეობა ტელეთერში დევნილთა თემაზე - სტერეოტიპების

უარყოფისა და მიმღებ თემსა და იგპ-ს შორის დაძაბულობის შემცირებისათვის.

განმარტებითი მუშაობა და ახალ ადგილზე იგპ-თა ცხოვრების გაშუქება, ურთიერთქმედება მიმღებ თემთან, სხვადასხვა ღონისძიების ჩატარება და უბრალო ურთიერთობები ხელს უწყობს სტერეოტიპებისა და ვარაუდების მსხვერველს იგპ-ზე და, როგორც შედეგი, ამცირებს დაძაბულობას საზოგადოებაში, იძულებით გადაადგილებულ პირებს კი აძლევს ძალას და საჭირო აღიარებას ინტეგრაციისათვის იმ საზოგადოებაში, რომელიც იძულებით თუ საკუთარი სურვილით აირჩიეს ახალ სამოსახლოდ.

საქველმოქმედო ორგანიზაცია - საქველმოქმედო ფონდი „დაცვის უფლება“

უკრაინა, 04071, კიევი
შეკავიჯკაიას ქ. 55
+38 044 337 17 62
a.galkin@r2p.org.ua
r2p.org.ua
fb.com/right2protection



„დაცვის უფლება“ არის საქველმოქმედო ფონდი, რომელიც იცავს თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა, მოქალაქეობის და საბუთების არმქონე პირთა, ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა უფლებებს (შემდგომში – ბენეფიციარები).

საქველმოქმედო ფონდი „დაცვის უფლება“ – უკრაინაში საზოგადოებრივი სექტორის აღიარებული ლიდერია მიგრაციის სფეროში. ჩვენს ბენეფიციარებს აქვთ უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრების ყველა პირობა.

მისია

ჩვენ ვისწრაფვით იმისკენ, რომ ბენეფიციარებს შევუძლიაოთ მასობრივი კონფლიქტების, რეპრესიული რეჟიმის თუ ბუნებრივი კატაკლიზმების ნეგატიური შედეგები. საქველმოქმედო ფონდი „დაცვის უფლება“ იცავს ბენეფიციარების უფლებებს, დახმარებას უწევს მათ და ხელს უწყობს ახალი უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრების შენებას.

ხედვა

ჩვენ შეგვაქვს წვლილი სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობის და უსაფრთხოების ზრდაში უკრაინასა და მთელ მსოფლიოში.

საქმიანობის მიმართულებები

- ვიცავთ ბენეფიციართა უფლებებს პირდაპირი სამართლებრივი დახმარების შეთავაზებით.
- ვატარებთ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის რეგულარულ მონიტორინგს.
- ხელს ვუწყობთ ცვლილებებს საადვოკაციო ინსტრუმენტების მეშვეობით, მათ შორისაა - სტრატეგიული სასამართლო საქმეების წარმართვა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე და კანონმდებლობით საქმიანობაში მონაწილეობა.
- წვლილი შეგვაქვს საზოგადოების და ჩვენი ბენეფიციარების ცნობიერების ამაღლებაში სამიგრაციო საკითხებსა და თავიანთი უფლებების ცოდნის მხრივ.
- ვეხმარებით სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე სპეციალისტებს პროფესიული პოტენციალის გაძლიერებაში და ადამიანის უფლებების კუთხით ცნობიერების ამაღლებაში საგანმანათლებლო და სატრენინგო პროგრამების მეშვეობით.
- უკრაინის საზოგადოებას ვაცნობთ ჩვენი ბენეფიციარების პრობლემებს.
- ვავითარებთ სამოქალაქო საზოგადოებას, მხარს ვუჭერთ აქტივისტთა ინიციატივებს, ხელს ვუწყობთ მათ ინსტიტუციურ და პროფესიულ ზრდას ინოვაციური მიდგომების დანერგვისათვის ჩვენი ბენეფიციარების დახმარების სფეროში.
- ჰუმანიტარულ დახმარებას ვთავაზობთ მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს.

საქართველოს
არაკომერციული
ორგანიზაციები

ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“

საქართველო, 4600, ქუთაისი
გუგუნავას ქ. №1
+995 043 12 65 106
alu.gamakharia@mail.ru
apbc.ge



ორგანიზაციაში მუშაობს 30 ადამიანი.

მისია

კონფლიქტების მშვიდობიანი ტრანსფორმაცია-მოგვარების ხელშეწყობა;

უმუშევრობის და სიღარიბის შემცირება საზოგადოების მონყვლად ნაწილში

ამოცანები

- საზოგადოების მონყვლადი ნაწილის, უპირატესად, იძულებით გადაადგილებული პირებისა და მიგრანტებისათვის საარსებო წყაროსთან წვდომის ხელშეწყობა
- დაპირისპირებულ მხარეებს შორის ნდობის ამაღლების და კონფლიქტების მშვიდობიანი ტრანსფორმაციის მხარდაჭერა

გეოგრაფია

იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ქართლი

საველე ოფისები: სოფ. ხურჩა (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), სოფ. პერევი (საჩხერის მუნიციპალიტეტი)

საქმიანობა

ქართულ-აფხაზურ, ქართულ-ოსურ მხარეებს შორის ნდობის ამაღლების და მხარეთა დაახლოების მხარდაჭერა. კონფლიქტებით დაყოფილ თემებს შორის სოციალურ-ჰუმანიტარული და ეკონომიკური საქმიანი კავშირების განვითარების ხელშეწყობა.

მუშაობის მეთოდები

ბენეფიციარების მოძიება ხდება აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში პარტნიორებისა და საველე ოფისების მეშვეობით.

მიღწევები იპკ-თა ინტეგრაციის საკითხებში

2014 წელს შექმნილ „ბიზნესინკუბატორში“, უპირატესად, იძულებით გადაადგილებული სამუშაოს მაძიებელი ახალგაზრდების სტაჟირება და დასაქმების ხელშეწყობა.

ასოციაცია „იმედი“ - დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის

საქართველო, 2100, ზუგდიდი,
შოთა რუსთაველის ქ. 92
+0415 25 20 29, +995 599 91 93 22
imedi-info@yandex.ru
Kristina-kilanava@yandex.ru
fb.com/infoimedi



ორგანიზაციაში მუშაობს 19 ადამიანი (4 ადამიანი შტატში, 15 - კონტრაქტით)

მისია და ამოცანები

ქალთა თანამონაწილეობის ხელშეწყობა კონფლიქტის მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში, იძულებით გადაადგილებულ პირთა ფსიქოსოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაცია

გეოგრაფია

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი, ზუგდიდი

საქმიანობა

ქალთა უფლებების დაცვა, ინფორმირება, ქალებისა და გოგონების არაფორმალური განათლება, ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია, მშვიდობის მშენებლობა, იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების ადვოკატირება, ზრუნვა გენდერული თანასწორობისათვის, ინსტიტუციური განვითარება

მუშაობის მეთოდები

ორგანიზაციის საქმიანობის სტრატეგიის განსაზღვრა, ბენეფიციართა მოძიება, სამოქმედო გეგმის შემუშავება, ადვოკატირების კამპანიის წარმართვა, სოციალური სერვისების მიწოდება

მიღწევები იპკ-თა ინტეგრაციის საკითხებში

- იძულებით გადაადგილებული პირებისა და ადგილობრივი თემის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაციის ხელშეწყობა (სოციალური სერვისები, აქციები, კულტურული ღონისძიებები და სხვა)
- სამეგრელო-ზემო სვანეთის ქალთა სამშვიდობო ქსელი (ადგილობრივი და დევნილი ქალების მონაწილეობით)

იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაციისა და ხელშეწყობის ცენტრი

საქართველო, 5900, ხონი,
სამხედრო დასახლება 85 / 26
+995 598 35 03 62

ორგანიზაციაში მუშაობს 6 ადამიანი.

მისია

იგპ-თვის დახმარების გაწევა ინფორმაციის მიღების და პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხების ადვოკატირებაში

გეოგრაფია

ხონი, სამხედრო დასახლება, დევნილთა კოლექტიური დასახლება

საქმიანობა

- სასამართლო პროცესებში მონაწილეობა, დევნილთა ინტერესების დაცვის საჭიროებებიდან გამომდინარე
- მონაწილეობა დამკვირვებლებად ყველა დონეზე - საპარლამენტო თუ ადგილობრივ არჩევნებში

მუშაობის მეთოდები

თავიდან, ძირითადად, ჩვენ გავდიოდით დევნილთა დასახლებაში, გამოკითხვით ვეცნობოდით მათ პრობლემებს. შემდეგ ინყებოდა პრობლემების ადვოკატირება სხვადასხვა დონეზე. ამჟამად დევნილები თავად მოგვმართავენ და ერთობლივად ვწყვეტთ მათი პრობლემების მოგვარების საკითხებს.

მიღწევები იგპ-თა ინტეგრაციის საკითხებში

- პრობლემა, რომელიც პრეზიდენტის დონემდე მივიტანეთ: დევნილთა დასახლების 17 კორპუსიდან 5 კორპუსი ამოღებული იყო რემონტების სიიდან და მივალწიეთ მათ გარემონტებას.
- დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში წყალმომარაგების პრობლემის მოგვარება - ამჟამად უზრუნველყოფილია წყლის 24-საათიანი მიწოდება
- მოგვარდა გაზიფიცირების პრობლემა, დამონტაჟდა გამათბობელი, მოხდა გზის გაყვანა და სხვა.

სენაკის სათემო განათლების ცენტრი

საქართველო, სენაკი, 4100, სამხედრო დასახლება
წალენჯიხა, ჯვარი, ანდრია პირველწოდებულის 141
+0413 273 200;
+995 577 57 66 55
senaki.cec@gmail.com

ორგანიზაციაში მუშაობს 35 ადამიანი (მათ შორის 8 მუდმივი თანამშრომელი).

მისია

არაფორმალური განათლება, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, დასაქმება და საზოგადოების მონყვლადი ფენის სოციალური ინტეგრაცია

მიზნები

- დევნილი და სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების, ქალების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საზოგადოებრივი და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა პროფესიული განათლებისა და დასაქმების გზით;
- სამოქალაქო აქტივობებისა და ინიციატივების, თემის განვითარების პროცესების მხარდაჭერა;
- მეწარმეობისა და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა;
- განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა;
- სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების და დემოკრატიული პროცესების განვითარების მხარდაჭერა

გეოგრაფია

სენაკის, ხობის, აბაშის, ჩხორონყუს მუნიციპალიტეტები

საქმიანობა

არაფორმალური განათლება

მუშაობის მეთოდები

გამოკითხვა, ბენეფიციართა მობილიზება და მოტივაციის ამაღლება

მიღწევები იგპ-თა ინფორმაციის საკითხებში

- 2010-2017 წწ. სტაჟირება გაიარა 13 268 ბენეფიციარმა, მათ შორის 9 824 იგპ
- დასაქმებულია 1 356 ადამიანი, მათ შორის 983 იგპ

სომხეთის
არაკომერციული
ორგანიზაციები

თემის განვითარების ფონდი „ბროწეულის თესლი“

სომხეთი, 1301-1304,
გელარქუნიქის რეგიონი, ქ. ჭამბარაკი
+374 093 07 24 75
nunemir@mail.ru



მისია და საქმიანობის მიმართულებები

2014 წელს დაარსებული ფონდის მისიაა სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო განვითარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის შექმნა, საზოგადოების წევრთა ინტეგრაცია ჭამბარაკის და მეზობელი 14 სასოფლო თემის სამოქალაქო საზოგადოებაში.

ჭამბარაკის ოლქი საზღვრისპირა დასახლებაა. აქ იმყოფება აზერბაიჯანიდან და არწვანის ანკლავიდან ლტოლვილთა დიდი ნაკადი. ფონდის პროექტებში ჩვენ მათ, ძირითადად, სამიზნე ჯგუფად ვირჩევთ და ხელს ვუწყობთ ინტეგრირებას თემის ცხოვრებაში.

იმის გათვალისწინებით, რომ ჭამბარაკის ოლქი წარმოადგენს აზერბაიჯანთან მოსაზღვრე დასახლებას და აქ სიღარიბის დონე მაღალია, ჩვენი ფონდი ხელმძღვანელობს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, სიღარიბის შემცირების, ადამიანის უფლებების დაცვის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თემის ყველა წევრის ინტეგრაციის პრიორიტეტებით. ფონდის პროექტების მეშვეობით ჩვენ ვეხმარება

რებით ლტოლვილებს ენობრივი ბარიერების გადალახვაში, ხელს ვუწყობთ ქალთა სოციალიზაციას სომხური ტრადიციული ხელობის გზით (ხელსაქმე, ხალიჩების ქსოვა და სხვა). ამით დასაქმების პრობლემებიც გვარდება და სოციალური სირთულეების დაძლევა ხდება.

ჩვენი ფონდის ერთ-ერთი მიზანია ჭამბარაკის ახალგაზრდობის ჩართვა მოხალისებრივ და სამოქალაქო საქმიანობაში. მიგვაჩნია, რომ საზოგადოების ცხოვრებაში ლტოლვილთა ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანია მათი მონაწილეობა საზოგადოების მართვისა და ბიუჯეტის კონტროლის პროცესში. ამ მიზნის მიღწევას ემსახურებოდა პროექტი „საბიუჯეტო პროცესების საჯაროობის და გამჭვირვალობის შეფასება და თემის წევრთა მონაწილეობა ამ პროცესებში“. პრობლემის მოგვარებისთვის გაიმართა მრგვალი მაგიდები, მთავრობის ადგილობრივი ორგანოებისა და თემთა მცხოვრებლების შეხვედრები.

ლტოლვილთა ინტეგრაციისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ცხოვრების ჯანსაღი წესის და მათი შვილების უზრუნველი ბავშვობის უზრუნველყოფა. ამისთვის პროექტის „ახალგაზრდა მოხალისეები თემთან თავისთვის“ ფარგლებში სოფლებში მარტუნისა და თთუჯურში მოეწყო საბავშვო მოედნები.

არაკომერციული ორგანიზაცია „ქალები განვითარებისათვის“

სომხეთი, 3118, გიუმრი
შახინიანის ქ., ნა, ბინა 16
+374 312 33 00 7 +374 933 90 87 2
goharmark@gmail.com
wfd.am

fb.com/pages/Women-For-Development-NGO



არაკომერციული ორგანიზაცია „ქალები განვითარებისათვის“ შეიქმნა 1997 წელს სომხეთის რესპუბლიკის ქალაქ გიუმრიში.

მისია

დემოკრატიული რეფორმების, სიღარიბის შემცირების, განვითარების პროცესების ხელშეწყობა სომხეთში.

ხედვა

სომხეთის ქალაქებისა და სოფლების თემებს შორის სოციალურ-ეკონომიკური პირობების მხრივ სხვაობის მინიმუმამდე დაყვანა და რეგიონში მშვიდობის ხელშეწყობა.

საემიანობის ძირითადი სფეროები

- მშვიდობისა და კონფლიქტების გადაჭრის სწავლება
- სასოფლო თემების განვითარება
- ქალთა უფლებები

თარღება შემდეგი მუშაობა:

- პროექტი „მშვიდობისა და კონფლიქტების გადაჭრის სწავლება სომხეთის სკოლებში“ (2002 წლიდან)
- ტრენინგები კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების საკითხებზე მოსწავლეების, მშობლებისა და სკოლების კოლექტივებისთვის
- მშვიდობის სწავლების ინსტიტუციონალიზაცია სომხეთის სკოლებში (2015 წლიდან)
- მშვიდობის ნახატების ყოველწლიური გამოფენები (2015 წლიდან)
- მშვიდობის ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკი შირაკის თემებში (2017 წ.)
- პარტნიორთა გამოცდილების გაზიარება (2014 წლიდან)
- მშვიდობისმყოფელობის საგანმანათლებლო პლატფორმა (2017 წლიდან)
- კონფერენცია სამშვიდობო საკითხებზე (2007-2017)

სწავლება გაიარა 100 000-ზე მეტმა მოსწავლემ და 6 000-მა მასწავლებელმა სომხეთის 850 სკოლიდან (სომხეთის სკოლების 60%-ზე მეტი).

- პროექტი „სოფლის სათემო განვითარება და მშვიდობისმყოფელობა მშვიდობის სწავლების მეშვეობით“

პროექტის ფარგლებში განხორციელდა 23 სოციალური და ორი ბიზნეს პროექტი.

სამოგავლო გეგმები

მშვიდობისმყოფელობის პრაქტიკული მეთოდების განვითარება რეგიონში მშვიდობის სწავლების მეშვეობით და პარტნიორებთან ერთად კონსტრუქციული ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება.

სათემო ცენტრი „ლიუტიან თუნი“

სომხეთი, ქ. გიუმრი
ლიუტიან თუნი, სათემო ცენტრი
+374 093 62 04 55
liutjan-tun@mail.ru



„ლიუტიან თუნი“ (დოვლათის სახლი) – ეს არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 2003 წლის 16 აპრილს.

მისია და საქმიანობის მიმართულებები

ორგანიზაციის ამოცანაა თემის ინტერესების დაცვა, რესურსების კონსოლიდაცია და თანამშრომლობა ერთობლივი პროექტების განხორციელებისათვის. მრავალფუნქციური ქმედებებით ორგანიზაცია თემის პრობლემების რეალიზებას ახდენს.

„ლიუტიან თუნა“ განახორციელა შემდეგი პროექტები:

- „თემის მისაღები“ – დააფინანსა ორგანიზაციამ „სომხური კარიტასი“
- „დემოკრატია და ბავშვთა საზოგადოება“ – სომხეთში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით

- „ბრძოლა არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ სომხეთში“ – დააფინანსა ორგანიზაციამ „სომხური კარიტასი“ – პროექტი ხორციელდება 2015 წლიდან. პროექტის მიზანია, გააცნოს გიუმრის სკოლების უფროსკლასელებს, ახალგაზრდობას და სოფლის თემების მცხოვრებლებს მიგრაციასთან და ევრაზიის ეკონომიკურ კავშირთან დაკავშირებული კანონმდებლობა.

საზოგადოებრივი ორგანიზაცია - სომხეთის ერთობის ჯვარი

სომხეთი, 1101, ქ. ენშიაძინი
შაუმიანის ქ. 36
+374 231 45 610
info@cau.am
cau.am
fb.com/CAUNGO?fref=ts



1991 წელს სომხეთის ერთობის ჯვარი (Cross of Armenian Unity) ოფიციალურად დარეგისტრირდა და ის იყო პირველი საზოგადოებრივი ორგანიზაცია სომხეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკაში.

სომხეთის ერთობის ჯვარს თავის უპირველეს მიზნად მიაჩნია განათლებისა და კულტურის როლი მოზარდი თაობის პიროვნულ ჩამოყალიბებაში და თავისი საქმიანობის მანძილზე ახორციელებს უამრავ კულტურულ-აღმზრდელობით, სასწავლო, სოციალურ, შემეცნებით პროგრამას, რომელიც მიმართულია დაინტერესებული ადამიანების და მათი ოჯახების კეთილდღეობის გაძლიერებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისაკენ, ამ საქმიანობაში ბავშვთა ოჯახების და თემთა წევრების ჩართვით, რაც ამაღლებს პროგრამების ნაყოფიერებას.

2003 წლიდან სომხეთის ერთობის ჯვარმა დაიწყო ხელოვნების მეშვეობით განათლების მეთოდის გამოყენება და გეგმავს განაგრძოს ამ მეთოდის გამოყენება, უფრო სრულყოფილ ხდის და აფართოებს საქმიანობის სფეროს.

ხაზს უსვამს რა ბავშვის პიროვნების გამოვლენის და განვითარების პროცესს, სომხეთის ერთობის ჯვარს სურს თავისი აღსაზრდელი არა მხოლოდ დაეუფლოს ხელოვნებასა თუ ხელობას, არამედ მისი სახით იხილოს აქტიური სამოქალაქო პოზიციის და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქე.

მისია

განათლებული, კომპეტენტური, პატრიოტი მოქალაქის აქტიური სამოქალაქო პოზიციის მხარდაჭერა, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ჩამოყალიბება და მოქალაქეთა მდგომარეობის გაუმჯობესება, მოსახლეობის მონყვლად ჯგუფებზე ყურადღების გამახვილებით. სამშობლოსა და დიასპორის აქტიური კავშირების გამყარების ხელშეწყობა.


საქმიანობის სახეები

- ხელოვნების სკოლა სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის;
- განათლება ხელოვნების მეშვეობით ენშიაძინის რეგიონში და ჭამბარაქის საზღვრისპირა რეგიონში, სადაც ცხოვრობენ აზერბაიჯანიდან ლტოლვილი და არწვანებიდან იძულებით გადაადგილებული ადამიანები;
- პროექტები ტურიზმის განვითარებისთვის ენშიაძინსა და ჭამბარაქის რეგიონში;
- პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს ქალებისთვის სამუშაო ადგილების შექმნას ჭამბარაქის რეგიონში.

ჩრდილოეთ კავკასიის
არაკომერციული
ორგანიზაციები, რუსეთი

დაღესტნის სოციალურად ორიენტირებული რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ოქტავა“

დაღესტნის რესპუბლიკა
ქ. მახაჩყალა
+792 850 74 058
rsbs3@mail.ru
oktava-roo@mail.ru



დაღესტნის სოციალურად ორიენტირებული
რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაცია
„ოქტავა“ დაარსდა 2000 წელს.

საქმიანობის ძირითადი სახეები

- დახმარების გაწევა სტიქიური უბედურებების, ეკოლოგიური, ტექნოგენური და სხვა სახის კატასტროფის; სოციალური, ეროვნული, რელიგიური კონფლიქტების შედეგად დაზარალებულთათვის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთათვის;
- მოქალაქეთა სოციალური მხარდაჭერა და დაცვა;
- მოსახლეობის სამართლებრივი განათლება, საქმიანობა ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის;
- საქმიანობა განათლების, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, მოქალაქეთა ჯანდაცვის და პროფილაქტიკის სფეროში, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა, მოქალაქეთა მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება;

- ოჯახის, დედობის, ბავშვობის და მამობის დაცვა;
- საბავშვო და ახალგაზრდული საზოგადოებრივი მოძრაობის განვითარება და მხარდაჭერა;
- სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების განვითარება;
- ობოლ ბავშვთა, მშობლების მეურვეობის გარეშე დარჩენილ და რთულ ცხოვრებისეულ პირობებში მყოფ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაცია;
- ეროვნებათშორისი თანამშრომლობის განვითარება, რუსეთის ფედერაციის ხალხთა თვითმყოფადობის, კულტურის, ენებისა და ტრადიციების შენარჩუნება და დაცვა.

საერთო ამოცანები

- ბავშვებსა და ახალგაზრდებში შემდეგი თვისებების აღზრდა: პატივისცემა და შემწყნარებლობა საკუთარი თუ სხვა ეროვნების, კულტურის, სარწმუნოების მიმართ; ღმობიერება და ყურადღებოზი დამოკიდებულება მოყვასის მიმართ;
- პროექტის მონაწილეებში იმ შესაძლებლობის განვითარება, რაც საშუალებას მისცემს, გაარკვიოს და შეეწინააღმდეგოს ფსიქოლოგიური დამუშავების და მანიპულაციის მცდელობებს; შეძლოს საკუთარი (რაც ზოგჯერ განსხვავდება იმ ჯგუფის გავლენისგან, რომელშიც მოცემულ მომენტში იმყოფება მონაწილე) მოსაზრების ღიად დაფიქსირება და დაცვა.

სამიზნე აუდიტორია

- ახალგაზრდები, მოზარდები, მშობლები
- ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა, ჩამოსული ადამიანები და მათი ბავშვები, ლტოლვილები

პროექტები, რომლების აშუაყად ხორციელდება

- „რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის პროფილაქტიკა ახალგაზრდებს შორის“
- „სიკეთის ძალა“

ჩენეთის რეგიონული საზოგადოებრივი საქველმოქმედო ორგანიზაცია „ქალთა რესურს ცენტრი“

რუსეთი, ჩენეთის რესპუბლიკა
ქ. გროზნო, ტროშევის ქ. 73, ბინა 6
+8 928 738 33 84



ჩენეთის რეგიონული საზოგადოებრივი საქველმოქმედო ორგანიზაცია „ქალთა რესურს ცენტრი“ 2006 წელს შეუდგა საქმიანობას ჩენეთის რესპუბლიკაში.

მისია და საქმიანობის მიმართულებები

ორგანიზაციის მისიაა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება ჩენეთის რესპუბლიკაში სხვადასხვა გზით:

- საქველმოქმედო დახმარება ქალებს, მშობლების ან ერთი მშობლის მეურვეობის გარეშე დარჩენილ ბავშვებს, მოსახლეობის სხვა სოციალურად დაუცველ კატეგორიებს;
- ხელშეწყობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში ქალთა და მოსახლეობის სხვა სოციალურად დაუცველი ფენის ჩართვის მხრივ;
- მატერიალური და სხვა სახის დახმარება ქალებს, სოციალურად დაუცველ და მოწყვლადი პირების კატეგორიებს, ეროვნების, მოქალაქეობის, აღმსარებლობის მიუხედავად;

- საზოგადოებაში ოჯახის პრესტიჟისა და როლის გაძლიერების ხელშეწყობა;
- დედობისა და ბავშვობის დაცვის ხელშეწყობა

ორგანიზაცია შედგება მაღალკვალიფიციური თანამშრომლებისგან, რომელთაც აქვთ მუშაობის მრავალწლიანი წარმატებული გამოცდილება ქალებისა და გოგონების (მსჯავრდებული, სასჯელმთხოვნი და მძიმე ცხოვრებისეულ მდგომარეობაში მყოფი) მდგომარეობის შეცვლის ხელშეწყობის კუთხით - რესოციალიზაციის და რეაბილიტაციის კომპლექსური პროგრამების განხორციელების გზით, რაც მოიცავს შემდეგს:

- მსჯავრდებულ ქალთა უფლებების დარღვევის შემთხვევების შემცირების ხელშეწყობა მსჯავრდებულ ქალებთან უშუალო კონტაქტში მყოფ პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლებთან ურთიერთობით
- ქალების/გოგონებისთვის (მსჯავრდებული, სასჯელმთხოვნი და მძიმე ცხოვრებისეულ მდგომარეობაში მყოფი) ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობების შეთავაზება
- ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვა და მხარდაჭერა
- ქალთა/გოგონათა ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხის შემცირება
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისა და გოგონების სოციალური კაპიტალის განვითარება
- მსჯავრდებულ ქალთა მიმართ ძალადობის და საზოგადოებაში მათი მიუღებლობის პრობლემის გაშუქება მასმედიაში

„ქალთა რესურს ცენტრი“ ერთადერთი ორგანიზაციაა ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალურ ოლქში, რომელიც ახორციელებს ქალთა რესოციალიზაციის პროგრამას და, აგერ უკვე 10 წელია, ქმედით დახმარებას უწევს მსჯავრდებულ, სასჯელმთხოვნი და სასაზღვრო სიტუაციაში მყოფ ქალებს უფლებების მხარდაჭერასა და ცხოვრებისეული პირობების გაუმჯობესებაში.

ორგანიზაციის წარმატებული პრაქტიკის შესახებ იხ. გვ. 188-189

რეგიონთშორისი საზოგადოებრივი ორგანიზაცია „კავკასიური ინიციატივის ცენტრი“

რუსეთი, 105062, მოსკოვი
პოკროვკის ქ. 30
+798 548 74 78 0
+495 625 06 63
hadbad2012@gmail.com



მისია და საქმიანობის მიმართულებები

სამოქალაქო საზოგადოების და სიტყვის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობი რეგიონთშორისი საზოგადოებრივი ორგანიზაცია „კავკასიური ინიციატივის ცენტრი“ არის რუსეთის ადამიანის უფლებათა კვლევის ცენტრის წევრი და ჩრდილოეთ კავკასიაში ახორციელებს უფლებადამცველ, სოციალურ და საინფორმაციო-საგამომცემლო პროექტებს.

კერძოდ, რეგიონთშორისი საზოგადოებრივი ორგანიზაცია „კავკასიური ინიციატივის ცენტრი“ არის პირველი კავკასიური დამოუკიდებელი ჟურნალის - „დოშის“ («ДОШ») დამფუძნებელი და დამაარსებელი. ჟურნალი 2003 წლიდან აშუქებს ვითარებას ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში და აქცენტს აკეთებს რეგიონში ადამიანის უფლებათა დარღვევებზე. ჟურნალი მკითხველს უამბობს ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებში ადამიანის უფლებების დარღვევებზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე, აქტუალურ სოციალურ-

ეკონომიკურ პრობლემებზე, პრობლემებზე მედიცინის, განათლების, ეკოლოგიის სფეროში.

ამას გარდა, „კავკასიური ინიციატივის ცენტრი“ ჩრდილოეთ კავკასიაში ატარებს სოციოლოგიურ კვლევებს: საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა აქტუალურ საკითხებზე, სოციალური პრობლემების მონიტორინგი მედიცინის, განათლების, ეკოლოგიის სფეროში, გენდერული თანასწორობის პრობლემებზე და შედეგებს აქვეყნებს ჟურნალ „დოშში“.

2012 წლის აპრილში „კავკასიური ინიციატივის ცენტრმა“ გროზნოში გახსნა რესურს ცენტრი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი სამოქალაქო აქტივისტებისთვის.

იმავე წლის ივლისში „კავკასიური ინიციატივის ცენტრმა“ პარტნიორ ორგანიზაციასთან - სარესურსო ცენტრ „სინთემთან“ ერთად დაიწყო ჟურნალ „ქალის სიტყვის“ გამოცემა.

ჟურნალ „დოშის“ წარმატებული პრაქტიკის შესახებ იხ. გვ. 186-187

ჩეჩნეთის რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაცია - სარესურსო სოციალურ- ფსიქოლოგიური ცენტრი „სინთემი“

რუსეთი, 364 000, ჩეჩნეთის რესპუბლიკა
ქ. გროზნო, მაიაკოვსკის ქ. 86ა, ბინა 7
+8 938 893 74 51
sintem_org@mail.ru

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: ინნა აირაპეტიანი

რეგისტრაციის თარიღი: 2005 წლის 14 თებერვალი



ძირითადი მიზანი

ფართო სპექტრის ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევა სხვადასხვა კონფლიქტის და ეკოლოგიური კატასტროფის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის.

საქმიანობის ძირითადი სახეები

- სოციალურ-ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია
- საგანმანათლებლო საქმიანობა
- სამართალდამცავი საქმიანობა
- სამშვიდობო საქმიანობა

2005 წლიდან სარესურსო სოციალურ-ფსიქოლოგიურმა ცენტრმა „სინთემმა“ განახორციელა 30-ზე მეტი სოციალური პროექტი დედების გაუნათლებლობის ლიკვიდაციის, სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდებს შორის კულტურათშორისი დიალოგის, ძალადობისაგან დაზარა-

ლებული დედებისა და შვილების უფლებების დაცვის კუთხით, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით და სხვ. ქალთა არაკომერციული ორგანიზაციების პოტენციალის გაძლიერების გზით 16-მა ორგანიზაციამ მიიღო მცირე გრანტი ჩვენი ორგანიზაციის მეშვეობით და შეძლო დახმარებოდა დროებითი განსახლების პუნქტებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებს. ყველა ორგანიზებული პროექტი სიცოცხლისუნარიანი იყო, რადგან იგბ-თა პირდაპირ დაკვეთებს პასუხობდა.

დღეისათვის კოლექტივს წარმოადგენს 12 პროფესიონალი, უმაღლესი განათლებით და 10-20-წლიანი სამუშაო გამოცდილებით.

პროგრამების რეალიზებაში 2005 წლიდან აგრეთვე მონაწილეობას იღებდნენ მოწვეული სპეციალისტები, რომლებიც დღეს პროფესიონალთა პარტნიორულ ქსელს წარმოადგენენ. ქსელში შევიდნენ შემდეგი სპეციალისტები: პედაგოგები, მწვრთნელები, მეცნიერებათა კანდიდატები, ფსიქოლოგები, ექიმები, სახელმწიფო აპარატის ჩინოვნიკები, არაკომერციული ორგანიზაციების მუშაკები, მუსიკოსები, ჟურნალისტები. დღეისათვის ქსელში 150-ზე მეტი წევრია.

ასევე შეიქმნა მოხალისეთა ნებაყოფლობითი ქსელი სტუდენტების, არამომუშავე ახალგაზრდებისა და უფროსკლასელებისგან. ყოველწლიურად, 40-ზე მეტი ახალგაზრდა მონაწილეობს ორგანიზაციის სხვადასხვა ღონისძიებაში, ერთვება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პოულობს ახალ კონტაქტებს, იძენს საზოგადოებაში გამოსადეგ ცხოვრებისეულ უნარ-ჩვევებს.

ორგანიზაციის თანამშრომლები მუდმივად ცდილობენ თვითგანათლებას, იმაღლებენ პროფესიულ კომპეტენტურობას - სემინარებში, კონფერენციებში, მრგვალ მაგიდებსა და სხვა პროექტებში მონაწილეობით, გადიან სტაჟირებას, მასტერკლასებს.

ჩვენ ვმუშაობთ ჩეჩნეთის რესპუბლიკაში, აგრეთვე ვთანამშრომლობთ მეზობელ ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებთან, ვცდილობთ დავამყაროთ თანამშრომლობა რუსეთის მთელ ტერიტორიაზე და გავიდეთ პარტნიორობის საერთაშორისო დონეზე.

ორგანიზაციის წარმატებული პრაქტიკის შესახებ იხ. გვ. 182-183

III. იგპ-თა და
ლტოლვილთა
ინტეგრაციის
წარმატებული პრაქტიკა
უკრაინაში,
საქართველოში,
სომხეთში,
რუსეთში,
ჩრდილოეთ კავკასია



იგპ-თა და
ლტოლვითა
ინტეგრაციის
უკრაინული
გამოცდილება

სიტუაციის მოკლე ანალიზი უკრაინაში იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის მხრივ

რუსეთის მიერ აღმოსავლეთ უკრაინაში 2014 წელს ინიცირებულმა საომარმა მოქმედებებმა და ყირიმის ანექსიამ დონეცკის და ლუგანსკის ოლქების და ყირიმის რესპუბლიკის მოსახლეობის მასობრივი გადასახლება გამოიწვია. გადასახლებულთა რაოდენობამ 1,5 მილიონს მიაღწია.

ამის გამო გაჩნდა, ერთი მხრივ, ამ ადამიანების ადგილობრივ საზოგადოებაში ადაპტაციის და ინტეგრაციის და, მეორე მხრივ, გარკვეული დროის შემდეგ იგპ-თა და მიმღები თემების წინაშე წამოჭრილი სირთულეების დაძლევის საკითხი.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ასევე სახელმწიფოს მხრიდან პრობლემაზე დაგვიანებული და არასაკმარისი რეაგირების გამო, უკრაინის არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს ინიციატივები გადასახლებულთა ადაპტაციისთვის ადგილობრივ მოსახლეობასთან კოოპერაციისას.

უკრაინაში სამხედრო კონფლიქტის პირველ წლებში წარმოქმნილი ეკონომიკური არასტაბილურობის, იგპ-თა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის სოციალური დაძაბულობის გამო, გადასახლებულთა ინტეგრაციის და ადაპტაციის პრობლემები ძალიან მწვავედ იდგა და კონფლიქტების წყაროს წარმოადგენდა. დროსთან ერთად, საზოგადოებამ და იგპ-თა მიმღებმა თემებმა მთელი რიგი ტრანსფორმაცია გაიარეს, სირთულეები დაძლიეს, ააგეს ურთიერთობებისა და თანამშრომლობის ახალი მოდელები. მაგრამ, ამავე დროს, წარმოიშვა ახალი პრობლემები, ზოგიერთი კი, მაგალითად, საბინაო საკითხი, დარჩა და უკვე წლებია, ჭიანჭურდება.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც ახლაც აქტუალურია ახალ საცხოვრებელ ადგილებში დარჩენილთა ერთი ნაწილისთვის - ეს არის რთული ეკონომიკური მდგომარეობა, რის გამოც არ არიან უსაფრთხოდ, თავს არ მიიჩნევენ ახალი ქალაქის სრულფასოვან მცხოვ-

რებლებად, როგორც მანამდე, როცა სახლ-კარიც ჰქონდათ და სამსახურიც. ახალი კავშირების და სანაცნობო წრის განვითარებაც წინააღმდეგობად იქცა იგპ-თა სრული ინტეგრაციისთვის. მაგრამ ამ შემთხვევაში შესაძლებლობა მეტია ამ მიმართულებით მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პროექტების სიმრავლის წყალობით. სამწუხაროდ, ეს უფრო ეხება დიდ ქალაქებს და ნაკლებად - ქალაქის ტიპის დასახლებებს, პატარა ქალაქებს. ცალკე საკითხია სოფლები, სადაც მსგავსი პროგრამები პრაქტიკულად არსად არ არის წარმოდგენილი.

ბევრმა იძულებით გადაადგილებულმა პირმა დააფუძნა თავისი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს კონფლიქტის სხვადასხვა შედეგზე, ქალაქებისა და თემების განვითარებაზე. აქტიურმა მენარმეებმა განაგრძეს თავიანთი ბიზნესის განვითარება, ან გახსნეს ახალი, რაც რეგიონების ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს. პარალელურად, მიმდინარეობს სოციალურ დაძაბულობასთან დაკავშირებული პროცესები, როცა ჩამოსული სპეციალისტები, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, კონკურენციას უწევენ ადგილობრივ მოსახლეობას, ან პირიქით, დიდხანს იმყოფებიან მუდმივი შემოსავლის გარეშე და ამით აძლიერებენ სოციალურ-ეკონომიკურ დაძაბულობას. 2018 წლის მარტის მდგომარეობით, იგპ-თა მხოლოდ 48%-ს გააჩნია მუდმივი სამუშაო. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, მის მიერ გამოკითხულ იგპ-თა 80%-მა განაცხადა, რომ სირთულეებს აწყდებოდა სამუშაოს ძიების დროს (ვაკანსიათა არარსებობა, მოუხერხებელი სამუშაო განრიგი, დაბალი ხელფასი). ადამიანები, რომელთაც დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეძლეს სამუშაოს პოვნა და არ ჰქონდათ ბინის ქირის გადახდის საშუალება, იძულებულები გახდნენ, დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლებში, უკრაინის არაკონტროლირებად ტერიტორიაზე.

თუ ვილაპარაკებთ იგპ-თა პოლიტიკური უფლებების რეალიზებაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევნების დროს ადგილი აქვს შეზღუდვებს და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის არქონას.



მიუხედავად ყველა იმ სირთულისა, რომელიც დაძლეული იყო ოთხი წლის განმავლობაში, მოცემული მომენტისთვის ამ მიმართულებით მიმდინარე მუშაობის გათვალისწინებით, იგპ-თა ინტეგრაციის ყველა პრობლემა არ არის მოგვარებული. უკრაინის საზოგადოების წინაშე დგას ახალი გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება იგპ-თა უფრო სრულ და სისტემურ ინტეგრაციას მიმღებ თემებში. შემდგომში აუცილებელია არაძალადობრივი ურთიერთობების, შერიგებისა და დიალოგის, საერთო მიზნების და მათი მიღწევის ინსტრუმენტების ძიებისკენ მიმართული მეტი პროგრამის დანერგვა, ყველასთვის თვისობრივად უკეთესი მომავლის აშენების მიზნით.

ნადეჟდა ხომენკო

პროექტის კოორდინატორი (უკრაინა)

საგანმანათლებლო ვიზიტი უკრაინაში

პროექტის „დავძლიოთ ომის შედეგები ერთად“ სამუშაო მიმართულების „ქვეყნის შიგნით გადაადგილებულთა და ლტოლვილთა ინტეგრაცია“ ფარგლებში განხორციელებული სამი საერთაშორისო საგანმანათლებლო ვიზიტიდან პირველი გაიმართა 2017 წლის 19-26 მაისს უკრაინაში.

იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის საკითხი უკრაინისთვის განსაკუთრებით მწვავედ დგას ბოლო წლებში, აღმოსავლეთ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ. ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები. როგორც სხვა პოსტსაბჭოთა კონფლიქტურ რეგიონში, მათაც დიდი გამოცდილება შეიძინეს იმ ტიპური პრობლემების მოგვარების კუთხით, რომლებიც ჩნდება ახალ გარემოში გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების ინტეგრაციის დროს და მუდმივად შეიმუშავენ საკუთარ ეფექტურ მეთოდებს. უკრაინის, საქართველოს, სომხეთის და ჩრდილოეთ კავკასიის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს ვიზიტმა შესაძლებლობა მისცა, ერთად შეესწავლათ უკრაინული გამოცდილება, ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის ეფექტური მეთოდები და ოთხი ქვეყნის გამოცდილების საფუძველზე შეემუშავებინათ ერთობლივი წინადადებები ამ მიმართულებით საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებისთვის.

უპირველესად, მონაწილეებმა მიიღეს უკრაინის კონფლიქტის და იგპ-თა ინტეგრაციის უკრაინული გამოცდილების ანალიზი, რამაც მისცა შესაძლებლობა, გარკვეულიყვნენ არსებულ სიტუაციაში, გამოეტანათ დასკვნები და შეეფასებინათ წარმატებული პრაქტიკა. უკრაინის ოლქში შემდგომი შვიდდღიანი ვიზიტის დროს მონაწილეები გაეცნენ იძულებით გადაადგილებულთა ინტეგრაციის, ადაპტაციის და დახმარების საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას.

მგზავრობის მარშრუტმა მოიცვა კიევის, ხარკოვის, დონეცკის, ჩერ-

კასკის და ოდესის ოლქები - რეგიონები, რომლებმაც ბოლო სამი წლის განმავლობაში ყველაზე მეტი რაოდენობის იძულებით გადაადგილებული ადამიანი მიიღო. მთლიანობაში, მონაწილეები ესტუმრნენ 11 საზოგადოებრივ ორგანიზაციას და შეხვდნენ ათეულობით აქტივისტს. მასპინძელი საზოგადოებრივი ორგანიზაციები იყვნენ: „დონეცკიდან და უკრაინის აღმოსავლეთიდან ლტოლვილთა საზოგადოება“ (ჩერკასი), „სტუმართმოყვარეობის ცენტრი“ (ჩერკასი), დონბასიდან იგპ-თა დახმარების შტაბი „თანამეგობრობა“ (ოდესა), „სოციალური სოლიდარობა“ (ოდესა), მოხალისებრივი ცენტრი „სადგური ხარკოვი“ (ხარკოვი), „უკრაინის საზღვრები“ (ხარკოვი), საქველმოქმედო ფონდი „კარიტასი კრამატორსკი“ (კრამატორსკი), «Крайна вільних людей» (კრამატორსკი), „დონბასი SOS“ (კიევი), „დაცვის უფლება“ (კიევი), «Центр зайнятості вільних людей» (კიევი).

ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა კოლეგებისთვის ჩაატარეს შეხვედრები და პრეზენტაციები. მოხსენებები, მსჯელობები და დისკუსიები საერთო იყო ყველასთვის და ასახავდა მუშაობას შემდეგი მიმართულებებით: იძულებით გადაადგილებულთა ინტეგრაცია, ადაპტაცია, ჰუმანიტარული დახმარების (საკვები პროდუქტები, ტანსაცმელი, მედიკამენტები) ორგანიზება, ფსიქოსოციალური მხარდაჭერა, ახალჩამოსულთა განსახლება, ფრონტისპირა ტერიტორიებზე მცხოვრებთათვის დახმარების გაწევა, იძულებით გადაადგილებულთა საადვოკატო მომსახურება და მათი უფლებების დაცვა სახელმწიფო სტრუქტურებში მიმართვის დროს, კულტურული, საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება, კვალიფიკაციის შეცვლა და დახმარება შრომით მონყოლაში.

პრაქტიკულად, ყველა პრობლემა, რომლებზეც შეიტყვეს საქართველოდან, სომხეთიდან და რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსულმა მონაწილეებმა, საერთო იყო მათ ქვეყნებში არსებულ პრობლემებთან, თუმცა აქ ან იქ ისინი სხვადასხვაგვარად და განსხვავებული სიმწვავეით ვლინდებოდა.

საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო პუნქტად იქცა კიევი - ქალაქი, რომელმაც ომის დაწყების დღიდან ყველაზე მეტი იძულებით გადაადგილებული ადამიანი მიიღო. მონაწილე აქტივისტებმა აქ მონახულეს ბოლო სამი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, შეაჯამეს

ვიზიტის შედეგები, ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება ქვეყნის შიგნით გადაადგილებულთა და ლტოლვილთა ინტეგრაციისა და დახმარების კუთხით.

უცხოელმა სტუმრებმა აღნიშნეს უკრაინის აქტივისტების და მოხალისეთა მოძრაობების უნიკალურობა, რომლებიც, არსებობის მცირე დროის მიუხედავად, მოიცავენ და არეგულირებენ ქვეყანაში ომის შედეგად გამოწვეული სოციალური და ჰუმანიტარული პრობლემების შთამბეჭდავ მოცულობას.

შეუმჩნეველი არ დარჩენილა უკრაინული ორგანიზაციების თანამშრომლების და მოხალისეების დატვირთულობა, პროფესიული და ფსიქოლოგიური გადაწვის («burn-out») რისკი - ისინი სამი წელია ნონ-სტოპის რეჟიმში წარმართავენ თავიანთ საზოგადოებრივ საქმიანობას. ეს ხაზს უსვამს პროფესიული მხარდაჭერის მნიშვნელობას, მათ შორის სუპერვიზიის ფორმატით; როგორც ამას სთავაზობენ კლინიკური სუპერვიზორები, რომლებმაც გაიარეს უკრაინაში პირველი სათანადო სერტიფიცირებული სწავლება¹ ჩვენი პროექტის „დავძლიოთ ომის შედეგები ერთად“ მეორე სამუშაო მიმართულების („მუშაობა საომარი კონფლიქტებით გამოწვეულ ტრავმებთან“) ფარგლებში.² ისეთი შეხვედრები, როგორიცაა ჩვენი საგანმანათლებლო ვიზიტი საერთაშორისო დონეზე, პროფესიული გადაწვის თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა, რადგან ეხმარება და მხარს უჭერს უკრაინელ კოლეგებს პროფესიული გაცვლის შესაძლებლობით და ამგვარად ხელს უწყობს მათ აქტუალური პრობლემების მოგვარებასა და ახალ სამუშაო გამოწვევებზე რეაგირებაში.

საგანმანათლებლო ვიზიტის შედეგების შეჯამებისას მონაწილეებმა აარჩიეს სამი ორგანიზაციის, მათი აზრით, წარმატებული გამოცდილება იგპ-თა ინტეგრაციის კუთხით: საქველმოქმედო ფონდი „კარიტასი კრამატორსკი“, „სადგური ხარკოვი“ და „დონბასი SOS“.

¹ დაწვრილებით იხილე ბმულზე <https://kriegsfolgen-ueberwinden.de/ru/успешное-окончания-первого-обучения/>

² ჩვენ მიერ მომზადებული კლინიკური სუპერვიზორების პროფესიული სუპერვიზიის მოთხოვნა შესაძლებელია ამ ბმულით: <https://kriegsfolgen-ueberwinden.de/ru/обученные-в-рамках-нашего-проекта-кли/>

„ჩვენ გავეცანით თერთმეტი ორგანიზაციის სამუშაო
გამოცდილებას. უკრაინელი კოლეგები გვიზიარებდნენ თავიანთ
გამოცდილებას სხვადასხვა მიმართულებით, აკეთებდნენ
პრეზენტაციებს, გვაცნობდნენ სამუშაო პირობებს. უკრაინაში
მიღებული ახალი მიდგომები დაგვეხმარება ახალი პროექტების
შესამუშავებლად საჭირო ახალი იდეების ჩამოყალიბებაში.
ეს ახალი ცოდნა გვაფიქრებინებს ქართულ-უკრაინულ ერთობლივ
პროექტებზე, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ორივე
ქვეყნის პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილება.“

(პროექტის საქართველოს ჯგუფის მონაწილეთა ანგარიშიდან)



„მათ იპოვეს ძალა, გაეკეთებინათ ყველაფრის ორგანიზება ისე,
რომ არ ჰქონდათ ფული, არ ჰქონდათ არაფერი. ქალაქების
მოსახლეობის ქველმოქმედებით, შემდეგ კი უკვე საერთაშორისო
ორგანიზაციების დახმარებით, მათ მოაგვარეს და კიდევ
აგრძელებენ ჰუმანიტარული დახმარების განაწილების პროცესის
მართვას, ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. ორგანიზაციებმა
ძალისხმევა მიმართეს იძულებით გადაადგილებულ ადამიანთა
სოციალური ადაპტაციისა და ინტეგრაციისკენ. ისინი აწყობენ
ტრენინგებს ბავშვებისა და მშობლებისთვის, კვალიფიკაციის
გადამზადების და ახალი პროფესიის მიღების კურსებს, ბიზნესის
უნარ-ჩვევების სწავლებას, არის ფინანსური მხარდაჭერა
ბიზნესის დაწყებისა თუ განვითარებისთვის. ეს ხელს უწყობს
დასაქმების საკითხის გადაჭრას. ზოგიერთი ორგანიზაცია
სხვებისგან გამოირჩევა სამართლებრივი მხარდაჭერით,
ზოგი კი ლობინგს ეწევა“.

(პროექტის სომხეთის ჯგუფის მონაწილეთა ანგარიშიდან)

უკრაინაში იგპ-თა და
ლტოლვილთა ინტეგრაციის
ნარმატებული მაგალითები

საქველმოქმედო ფონდი „კარიტასი კრამატორსკი“

უკრაინა, 84313, ქ. კრამატორსკი
მშვიდობის გამზირი 5
+38 066 993 28 00 (ცხელი ხაზი)
kram_kar@ukr.net
caritas-kram.org.ua
fb.com/caritaskramatorsk

დირექტორი: ვასილი ივანიუკი

*„როცა იღებ – ხელს ივსებ,
როცა ვასცემ – ვული გვესება“.*



მისია და საქმიანობა

საქველმოქმედო ფონდი „კარიტასი კრამატორსკი“ - არის საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქველმოქმედო დახმარება საზოგადოების და მოსახლეობის ცალკეული კატეგორიების ინტერესების მიხედვით.

აღმოსავლეთ უკრაინაში, კონფლიქტის დაწყებიდან მოყოლებული, „კარიტასი კრამატორსკი“ თავისი საქმიანობის ფოკუსირება მოახდინა ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა და ბუფერული ზონის მცხოვრებთა ჰუმანიტარული პრობლემების გადანაცვლებაზე. 2015 წლიდან განხორციელებულია ათობით პროექტი: საკვები და ჰიგიენის პროდუქტების დისტრიბუციიდან - შერიგების მიზნით რეალიზებულ პროექტებამდე.

„კარიტასი კრამატორსკის“ გუნდი 60-ზე მეტ პროფესიონალს ითვლის სხვადასხვა მიმართულებით: სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, ლოგისტები, სოფლის მეურნეობის და სამეცნიერო საქმიანობის წარმართვის ექსპერტები, ანიმატორები, პედაგოგები და სხვ. ეს ადამიანები ყოველდღიურად მიიჩქარიან მათკენ, ვისაც მათი დახმარება სჭირდება, რადგან კარიტასი გულმონყალება და სიყვარულია.

სამუშაო გამოცდილება

ორგანიზაციამ ბევრი რამ გააკეთა საზოგადოების სტაბილიზაციის და ადგილობრივ თემში იგპ-თა ეფექტური ინტეგრაციის სფეროში. ის მხარს უჭერს იგპ-ებს ომის შედეგების დაძლევაში, ასწავლის რაკონფლიქტების არაძალადობრივი გზით გადაჭრას. დევიზით „აღდამიანთა გაერთიანება მშვიდობისათვის: განკურნებიდან - თანამშრომლობამდე“. დიდი მუშაობა მიმდინარეობს სოფლის თემებისთვის.

„გრანტები კერძო სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად“ - სოფლის მეურნეობის განვითარების გზით ხელს უწყობს სოფლად მცხოვრებ იგპ-სა და ადგილობრივ მოსახლეობას საარსებო წყაროს აღდგენაში.



„შინმოვლა იძულებით გადაადგილებული ადამიანებისთვის კრამატორსკში“ - მიმართულია საჭიროების მქონე პირების (მათ შორის: მარტოხელა, მძიმედ დაავადებული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ხანდაზმული ადამიანები) ჯანმრთელობის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისკენ.

„კარიერა ახალი ცხოვრებისთვის“ - მისი მიზანია იგპ-თა და იმ ადგილობრივ მოსახლეთა დასაქმების ხელშეწყობა, რომლებმაც კონფლიქტის შედეგად დაკარგეს შემოსავლის ძირითადი წყარო.

„სამედიცინო დახმარება დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ სოციალურად მონყვლად მოსახლეობას“ - ემსახურება იმას, რომ უკრაინის ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების გასწვრივ სოფლებსა და ქალაქის გარეუბნებში მცხოვრებ ხანდაზმულ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს, მარტოხელა დედებს და ბავშვებს უფრო მეტად მიუწვდებოდეთ ხელი პირველად სამედიცინო-სანიტარულ დახმარებაზე.

„დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების ბუფერული ზონის მცხოვრებთა მომზადება ზამთრისთვის“ - მიმართულია ბუფერული ზონის მოსახლეობის საზამთრო სამზადისისკენ, კერძოდ - გაყინვის, დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება, ზამთრის პერიოდისთვის საცხოვრებლის მომზადება.

ნარმატებული პრაქტიკა

„უკრაინის აღმოსავლეთში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა საბაზისო მოთხოვნილებების უზრუნველყოფა“

ეს „კარიტასი კრამატორსკის“ გუნდის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტია ჰუმანიტარულ კრიზისზე სწრაფი რეაგირების მხრივ.

პროექტის ფარგლებში ბენეფიციარებს მიეწოდებათ როგორც ჰუმანიტარული დახმარება, ასევე დახმარება საარსებო საშუალებების აღდგენაში:

- კვების პროდუქტების და ჰიგიენური საშუალებების დისტრიბუცია;
- რეგულარული გადასახადები მოსახლეობის საბაზისო მოთხოვნილებების (საკვები პროდუქტები, ჰიგიენური საშუალებები, ტანსაცმელი) უზრუნველყოფისთვის;
- სათბობის დისტრიბუცია საცხოვრებელი ნაგებობების გასათბობად დონეცკის ოლქის ბუფერული ზონის მოსახლეობისთვის;
- სამედიცინო მხარდაჭერა და დახმარება მედიკამენტების შეძენასა და გამოკვლევებში;
- მოსახლეობის ფსიქოლოგიური დახმარება და ფსიქოსოციალური მხარდაჭერა;
- გრანტები საკუთარი საქმის აღდგენის/განვითარებისთვის;
- ახალი კვალიფიკაციის გადამზადება/მიღება;
- თანხა სამუშაოსთვის (Cash for work) – პროფესიული გამოცდილების მიღება.

პროექტის განხორციელების პერიოდში დახმარება მიიღო 26 000-ზე მეტმა იგპ-მა და ბუფერული ზონის მცხოვრებმა.

ინდივიდუალური მასშტაბები

ეკატერინა, კრამატორსკი

2016 წლის ზაფხულში პროექტს „ინდივიდუალური გრანტები გადამზადებისთვის“ მიმართა ეკატერინამ – განსაკუთრებული საჭიროებების და ცოდნის მიღების დიდი სურვილის მქონე ადამიანმა. წლის ბოლომდე მან უკვე დაამთავრა კურსები „პერსონალური კომპიუტერის ოპერატორი“ და თამამად შეიტანა განცხადება საქველმოქმედო ფონდ „კარიტასი კრამატორსკი“ კომპიუტერული დაკაბადონების კურსებზე. გასაუბრების შემდეგ მიიღო გრანტი სწავლისთვის. ორი თვის შემდეგ დასაქმების გუნდი მივიდა ეკატერინეს გამოსაშვებ საღამოზე, სადაც მან წარმოადგინა თავისი ხელით დაკაბადონებული გაზეთი. მან გაამხილა სამომავლო გეგმებიც – მიზნად აქვს, დაეუფლოს ფოტოგრაფიისა და ვიდეომონტაჟის ხელოვნებას. დახმარების ასეთი შედეგები ჩვენი მუშაობის ყველაზე სასიამოვნო ნაწილს წარმოადგენს.

ალექსანდრე, კრამატორსკი

ალექსანდრე ობოლია. ცხოვრობს კრამატორსკში, საერთო საცხოვრებელში. არ მუშაობს, არ გააჩნია ცხოვრებისთვის საჭირო სახსრები, არ ჰყავს ახლო ნათესავები.

2017 წლის ივლისში ალექსანდრე მოხვდა ტრავმატოლოგიის განყოფილებაში – თავის და შინაგანი ორგანოების ძლიერი ტრავმებითა და დაზიანებებით. გარკვეული ხანი კომაში იმყოფებოდა. გამოჯანმრთელების შანსი მცირე იყო, მაგრამ ექიმებმა გააკეთეს ყველაფერი, რაც შეეძლოთ და ექვსი ოპერაციის შემდეგ ალექსანდრე საავადმყოფოდან გამოწერეს.

დახმარების თხოვნას გამოეხმაურნენ „კარიტასი კრამატორსკის“ კრიზისული ცენტრის თანამშრომლები. ალექსანდრე ჩართეს ქეის-მენეჯმენტის პროგრამაში, რომლის დროსაც მას გამოუყვეს საკვები პროდუქტები, დაარეგისტრირეს ქალაქის საავადმყოფოში, გასასინჯად მოიწვიეს ვინაო სპეციალისტები, ჩაუტარეს ლაბორატორიული გამოკვლევები და დაუდგინეს ინვალიდობის ჯგუფი. აგრეთვე დახმარება გაენია საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში (მას შეზღუდული აქვს მოძრაობა): შეუძინეს საწოლი ორ-

თოპედიული ლეიბით, ჭურჭელი, სურსათი, ტანსაცმელი და სხვ. ის გასინჯა პროფესორმა-რეაბილიტოლოგმა და მისცა რეკომენდაციები სწრაფი გამოჯანმრთელებისთვის.

ალექსანდრე ახლა უკეთაა, თუმცა მუშაობა გრძელდება და გასაკეთებელი ჯერაც ბევრია.

„კარიტასი კრამატორსკი“ დახმარებას უწევს იძულებით გადაადგილებულ ადამიანებს; პროექტის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად სთავაზობს ფინანსებს ბიზნესის ორგანიზების, გადამზადების და უკვე შექმნილი ბიზნესის განვითარებისთვის. „კარიტასი კრამატორსკი“ შედის მსხვილ დამსაქმებელთა ხუთეულში“.

(პროექტის საქართველოს ჯგუფის მონაწილეთა ანგარიშებიდან)

მოხალისებრივი ინიციატივა „სადგური ხარკოვი“

უკრაინა, 61052, ქ. ხარკოვი
დმიტრივის ქ., 20
station.kharkiv@gmail.com
080 030 29 11 (ცხელი ხაზი)
station.kharkov.ua
fb.com/Station.Kharkov



იურიდიულად გაფორმებულია როგორც ორი არაკომერციული ორგანიზაცია: საქველმოქმედო ორგანიზაცია „საქველმოქმედო ფონდი „სადგური ხარკოვი“ (გამგეობის ხელმძღვანელი – იულია კონოტოპცევა) და საზოგადოებრივი ორგანიზაცია „მოხალისებრივი ინიციატივა „სადგური ხარკოვი“ (გამგეობის ხელმძღვანელი – ალა ფეშჩენკო).

„სადგური ხარკოვი“ – არის მოხალისებრივი ინიციატივა, რომელიც ხარკოვში შეიქმნა 2014 წლის მაისში (შექმნის ოფიციალურ თარიღად მიიჩნევა 1 ივნისი). ამ დამოუკიდებელი არასამთავრობო არაკომერციული საქველმოქმედო საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიზანია - გაჭირვებაში მყოფი ადამიანებისთვის აქტუალური დახმარების ეფექტური შეთავაზება.

„სადგური ხარკოვი“ ეხმარება მხოლოდ მშვიდობიან მოქალაქეებს.

მისია და ამოცანები

„მოხალისებრივი ინიციატივას „სადგური ხარკოვი“ თავისი წვლილი შეაქვს სამართლიანი, სოლიდარული, აქტიური სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში და ეხმარება ადამიანებს, რათა დაუბრუნდეთ საკუთარი თავის, ერთმანეთის რწმენა. პრიორიტეტებია: უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, თანაბარი შესაძლებლობების რეალიზება, დისკრიმინაციის სხვადასხვა სახის პრევენცია.

საქმიანობის მიმართულებები

- სოციალური ინტეგრაცია და ადაპტაცია;
- ფსიქოლოგიური მხარდაჭერა;
- სასწავლო კურსების ჩატარება;
- გადამზადება და დახმარება დასაქმებაში;
- საქველმოქმედო და ჰუმანიტარული დახმარება;
- კულტურული ღონისძიებების ჩატარება და თავისუფალი დროის ორგანიზება.

წარმართული პრაქტიკა

2014 წლის ზაფხულის დასაწყისში შეიქმნა დახმარების პირველი პუნქტი. ეს იყო იმ დროისთვის ერთადერთი პუნქტი ხარკოვში, სადაც ადამიანებს ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკიდან და დონბასიდან შეეძლოთ მიეღოთ გულისხმიერი ხარკოველების მოტანილი ჰუმანიტარული დახმარება.

2014 ივლისის ბოლოს - აგვისტოს დასაწყისში შეიქმნა „მოხალისებრივი ინიციატივა „სადგური ხარკოვი“, სადაც წარმოდგენილი იყო საკონსულტაციო დახმარება. ორგანიზებული იყო კვება, ჰუმანიტარული დახმარება პირველადი მოთხოვნილებების ნივთების თუ საგზაოდ გამზადებული პროდუქტების ნაკრების სახით, საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა ადამიანების დროებითი განსახლება. სულ ამ პუნქტში, მიახლოებითი გაანგარიშებით, დახმარება გაენია 30 ათასზე მეტ ადამიანს.

თანდათან, 2014 წლის აგვისტოში მოხალისებრივ ინიციატივას შეუერთდნენ სახელმწიფო სამსახურები - უკრაინის საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო სამსახური და ხარკოვის დასაქმების ცენტრი, რომელთანაც „სადგური ხარკოვი“ დღემდე აქტიურად თანამშრომლობს (დასაქმების ცენტრის წარმომადგენლები „სადგური ხარკოვის“ მოხალისებრივ პუნქტში მორიგეობენ კვირაში ორჯერ).

2015 წელს „სადგური ხარკოვის“ მუშაობის ფარგლებში გაიხსნა ოთხი რეგიონული პუნქტი, რომლებიც ამგვარ დახმარებას ახორციელებდნენ ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის. დღეისათვის რეგიონული პუნქტი მხოლოდ კუპიანსკ-უზლოვოში დარჩა.

ორგანიზაციის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს შემოწირულობები უკრაინის მოქალაქეებისგან, საზღვარგარეთ მყოფი უკრაინული დიასპორის წარმომადგენლების, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და დონორი ორგანიზაციებისგან. „სადგური ხარკოვი“ თანამშრომლობს საერთაშორისო ჰუმანიტარულ და სამართალდამცველ ორგანიზაციებთან, რომლებიც სთავაზობენ ჰუმანიტარულ დახმარებას და ინსტიტუციურ მხარდაჭერას ნეიტრალიტეტის, დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობის და თანაბარი პარტნიორობის პირობებით. ქველმოქმედთა შემოწირულობები ხორციელდებოდა როგორც საქველმოქმედო ფონდ „სადგური ხარკოვის“ ანგარიშზე, ასევე კონკრეტული ადამიანების და ოჯახების მისამართით - ფულის, საქონლის, ტანსაცმლის, მომსახურების სახით. დონორების გრანტები წარმოდგენილი იყო კონკრეტული პრობლემების გადაჭრის შესაბამისად - სოციალური ადაპტაცია, შრომითი დასაქმება, გადამზადება, „სადგური ხარკოვის“ რეგიონული პუნქტების მონაცემების შეგროვება და სხვა.

პროექტი „სამეწარმეო ინიციატივების მხარდაჭერა და განვითარება“ (კერძო დამსაქმებელთა ასოციაციასთან თანამშრომლობით). პროექტის მიზანი იყო იგპ-თვის მატერიალური დახმარება საკუთარი ბიზნესის ორგანიზების და ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფის მცდელობაში. პროექტში, ძირითადად, ის ადამიანები მონაწილეობდნენ, რომლებმაც ადრე უკვე მიმართეს „სადგურ ხარკოვს“ და მიიღეს გარკვეული სახის დახმარება.

„ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, იურიდიული და ფსიქოსოცია-

ლური დახმარების გაფართოება და გაუმჯობესება ქალაქ ხარკოვსა და ხარკოვის ოლქში“ - ეს რეგიონული პროექტი ემსახურებოდა „სადგური ხარკოვის“ სათაო და რეგიონული პუნქტების ფუნქციონირებას იგპ-თა დახმარებისთვის ჰუმანიტარული და ადაპტაციის კუთხით.

პროექტი „უკრაინაში იგპ-თა უფლებების დაცვა“ მიმართული იყო იგპ-თა მხარდაჭერისკენ, მათ შორის ჰუმანიტარული დახმარების მხრივ. პროექტის ფარგლებში იჯარით იქნა აღებული ჰოსტელი იმ ადამიანთა დროებითი განსახლებისთვის, რომლებმაც სულ ახლახან დატოვეს ანტიტერორისტული ოპერაციის ზონა. დაქირავებული იქნა შენობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ადაპტაციის ცენტრისთვის. ჩატარდა იურიდიული და ფსიქოლოგიური კონსულტაციები. მათ დახმარებას უწევდნენ საცხოვრებლის პოვნასა და დაქირავებაში. მუშაობდა სადღეღამისო ცხელი ხაზი.

ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებებისა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე 18 წლამდე ბავშვთა სოციალიზაციისა და რეაბილიტაციისთვის. პროექტის ყველა მონაწილისთვის (120 ბავშვი) შეძენილ იქნა შემდგომი დამოუკიდებელი რეაბილიტაციის შემსუბუქებისთვის საჭირო ნივთები.



მიზნობრივი დახმარების პროგრამა „სადგური მხარდაჭერა“ მთლიანად მოხალისებრივია. არსებობის მანძილზე, 2014 წლის აგვისტოდან, ფინანსურად არ იყო მხარდაჭერილი საგრანტო პროექტებით, ყველა თანხა შეგროვდა ფანდრაიზინგის გზით და მიღებული იყო უკრაინასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მცხოვრები კერძო პირებისა და საწარმოებისგან. აგრეთვე ხშირად ვპოულობთ კერძო დონორს, რომელიც მიზნობრივ დახმარებას უწევს კრიტიკულ სიტუაციაში მყოფ ოჯახს მისი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. ასეთი დახმარება გაენია 350 ოჯახს. იგპ-თა 235-მა ოჯახმა მიიღო ახალშობილთა ნაკრები (სანოლი, ტანსაცმელი, პამპერსი).

ვაუჩერული პროგრამა „ჰუმანიტარული დახმარება უკრაინაში კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ და დაზარალებულ ადამიანებს და თემებს“ - ვაუჩერები სურსათის და პირველადი მოთხოვნილების ნივთების შესაძენად მიიღო 2 700-მდე ადამიანი.

„იმედის უფლებით, სიყვარულის რწმენით“: დახმარება იგპ ოჯახებს კრიზისული მდგომარეობის დაძლევაში (სადგური „იმედი“) აქციის „მამა უკრაინისთვის“ ფარგლებში - პროდუქტების და წამლების გაცემა, დახმარების განევა რთულ სიტუაციაში მყოფი იძულებით გადაადგილებული ადამიანებისთვის დროებითი საცხოვრებლის დაქირავებაში ხარკოვსა და ხარკოვის ოლქში.

„რთული საცხოვრებელი გარემოებების დასაძლევად შესაძლებლობების შექმნა ქალებისთვის, თვითდასაქმების მეშვეობით“ - სწავლების ფარგლებში ხდება ახალი უნარ-ჩვევების და პროფესიების (ძირითადად, ინტერნეტ-პროფესიების) მიღება, რაც დაეხმარება ქალებს, იმუშაონ დისტანციურად და/ან არასრული სამუშაო დღე და უზრუნველყონ თავიანთი საჭიროებები თვითდასაქმების გზით.

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „დონბასი SOS“

უკრაინა, 03150, ქ. კიევი
დელოვების ქ. 5, კორპუსი 10ა
info@Donbasssos.org
0 800 309 110
donbasssos.org/ru
fb.com/DonbassSOS

ხელმძღვანელი: ვალერია პოკლონსკაია



„დონბასი SOS“ არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის მთავარი ამოცანაა დახმარების შეთავაზება დონბასში საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული სამოქალაქო მოსახლეობისა და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, აგრეთვე სამშვიდობო საქმიანობა და კონფლიქტის ნეგატიური შედეგების შემსუბუქება.

საქმიანობის მიმართულებები

- საინფორმაციო-საკოორდინაციო დახმარება დონბასში საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულ, მათ შორის უკრაინის არაკონტროლირებად ტერიტორიებზე მყოფ ადამიანებს საკუთარი უფასო ნაციონალური ცხელი ხაზის 8 800 309 110 მეშვეობით, რომელიც უკრაინის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს;
- ინფორმაციის შეკრება, ანალიზი და გაშუქება იმ პრობლემების მოგვარების ხელშეწყობისთვის, რომელთაც აწყდებიან დონბასში საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული ადამიანები;

- იგპ-თა სამართლებრივი კონსულტაცია (საკონსულტაციო მხარდაჭერა და შემდგომი დახმარება ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში);
- ჰუმანიტარული, მათ შორის მიზნობრივი დახმარება საჭიროებების მქონე იგპ-ებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე (მედიკამენტები, პროდუქტები, ტანსაცმელი), საქველმოქმედო ღონისძიებების ჩატარება;
- საომარი მოქმედებებისგან დაზარალებული იძულებით გადაადგილებული და სამოქალაქო პირების ინტერესების ადვოკაცია და დაცვა სახელმწიფო ორგანოებში, თანამშრომლობა სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;
- სახელმწიფო ორგანოების მხარდაჭერა შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვის სფეროში კანონმდებლობის გაუმჯობესების კუთხით;
- ახალგაზრდებში სამართლებრივი წიგნიერების ამაღლება და ქსენოფობიის საწინააღმდეგო მოქმედება;
- სამშვიდობო და სოციალური ერთობის ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებების ჩატარება.



წარმატებული პრაქტიკა

სახელმწიფო ცხელი ხაზი დონბასი SOS - საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი დონბასში შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთათვის

ცხელი ხაზი დონბასი SOS წარმოიშვა სპონტანურად, 2014 წლის გაზაფხულზე. 2014 წლის ივნისიდან (მიღებული ზარების სტატისტიკის წარმოების დასაწყისი) ცხელი ხაზი ფუნქციონირებდა მუდმივად სამი მობილური ტელეფონის გამოყენებით (რაოდენობის მიხედვით ქვეყანაში არსებული სამი უმსხვილესი მობილური ოპერატორი). კონფლიქტის ცხელი ფაზის დროს ცხელი ხაზი განუწყვეტლივ მუშაობდა დღე-ღამის განმავლობაში, შემდგომში კი გადავიდა გრაფიკზე.

2014 წლის ნოემბერში მოხდა აბონენტებისთვის უფასო ცხელ ხაზზე 0 800 309 110 გადასვლა ქოლ-ცენტრის მოწყობილობით ზარების დაფიქსირებისა და დამუშავებისთვის. ახლა ნაციონალური ცხელი ხაზი დონბასი SOS მუშაობს შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

- უფასოა;
- კონფიდენციალურია;
- არის ინდივიდუალური მიდგომა.

ცხელი ხაზი მუშაობს შემდეგი გრაფიკით:

9.00 - 21.00 - სამუშაო დღეებში, 9.00 - 18.00 - დასვენების დღეებში

პირველი ორნახევარი წელი (2016 წლამდე) ცხელი ხაზის მოხალისე ოპერატორის სამუშაო ცვლა შეადგენდა სამ საათს, სამ-ოთხჯერ კვირაში. ახლა ოპერატორები სრულ სამუშაო დღეს მუშაობენ.

ამასთან, დატვირთვიდან გამომდინარე, ცხელ ხაზზე კონსულტაციას ერთდროულად ეწევა 2-4 ოპერატორი და 1 ოპერატორი-იურისტი.

2014 წლის შემოდგომიდან გუნდს შემოუერთდნენ მოხალისე იურისტები, რომლებიც კონსულტაციას უწევდნენ ოპერატორებს კვალიფიკაციის ამალგებისა და მომსახურების გაუმჯობესებისათვის. 2016 წლიდან, მას შემდეგ, რაც იგუ-თან დაკავშირებით ცვლილებები შევიდა კანონმდებლობაში და მიღებულ იქნა ნორმატიული აქტები,

გაიზარდა პროფესიული იურიდიული კონსულტაციების მიწოდების აუცილებლობა. 2016 წლის თებერვლიდან იურისტები მუდმივ რეჟიმში მუშაობენ.

2018 წლის დასაწყისის მდგომარეობით, ცხელ ხაზზე ყოველდღიურად ასამდე ზარი შედის, მათი თითქმის 30% - დროებით არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან.

ახლა ცხელ ხაზზე მუშაობენ: ექვსი ოპერატორი, ორი ქეის-მენეჯერი, ანალიტიკოს-სტატისტიკოსი, საინფორმაციო ბაზის ექსპერტი, სამი იურისტ-ოპერატორი (პირველადი იურიდიული დახმარება), ორი იურისტი, რომელიც მეორად იურიდიულ დახმარებას უწევს (დახმარება განცხადების, სარჩელის შედგენაში), ფსიქოლოგი, ცხელი ხაზის კოორდინატორი.

საქმიანობის მახასიათებლები

- ცხელ ხაზს მიმართა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალმა, რომელიც დონეცკში, არაკონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობს. 2015 წლიდან ის არ გამოსულა სახლიდან იმის გამო, რომ არ ჰქონდა და ვერც შეიძინა ინვალიდის ეტილი. ერთ კვირაში პარტნიორების დახმარებით ეტილიც იპოვეს და დანიშნულების ადგილზეც გააგზავნეს. ადამიანს გაუჩნდა შესაძლებლობა, გაიაროს სუფთა ჰაერზე, დამოუკიდებლად წავიდეს საყიდლებზე და მეტად თავდაჯერებული იყოს.
- ცხელ ხაზზე დარეკა იგუ მამაკაცმა დონეცკის ოლქიდან. მისი მრავალშვილიანი ოჯახი (შვიდი შვილი) კარგა ხნის მანძილზე ვერ პოულობდა საცხოვრებელ ადგილს. ქალაქიდან ქალაქში გადადიოდნენ. მაღალი ქირის გამო, იძულებულები იყვნენ, ბინებიდან გამოსულიყვნენ. ორგანიზაციამ იპოვა მათთვის საცხოვრებელი ჩერნიგოვსკის ოლქში. ამ ოლქის ერთ-ერთ სოფელში სიხარულით იღებენ იძულებით გადაადგილებულ ადამიანებს (განსაკუთრებით მრავალშვილიანებს), დახმარებას უწევენ დასახლებაში, პირობების მოწყობაში. ახლა ბავშვები სკოლასა და ბაღში დადიან. ოჯახში პატარა გოგონაც გაჩნდა - ჩერნიგოვსკის ოლქის ახალი მოსახლე, დონეცკური ფესვებით.

„ორგანიზაცია „დონბასი SOS“ მუშაობს იგპ-თა უფლებებისა და ინტერესების ადვოკაციაზე, დისკრიმინაციის საწინააღმდეგო ქმედებაზე, მიმდინარეობს იგპ-თა მედიკამენტოზური მხარდაჭერა, სადიალოგო მუშაობა. მათ შექმნეს ცხელი ხაზი „სამი ბარათი“, ჩამოაყალიბეს საინფორმაციო ბაზა, აგროვებენ აბონენტთა სტატისტიკას და აწარმოებენ მონიტორინგს. ბეჭდავენ საინფორმაციო ფურცლებს, უწევენ იურიდიულ დახმარებას, ადვოკაციას, არიგებენ ჰუმანიტარულ დახმარებას, აწყობენ საქველმოქმედო ღონისძიებებს“.

(პროექტის სომხეთის ჯგუფის მონაწილეთა ანგარიშებიდან)



იგპ-თა და
ლტოლვილთა
ინტეგრაციის
ქართული
გამოცდილება

სიტუაციის მოკლე ანალიზი საქართველოში იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის მხრივ

25 წელზე მეტი გავიდა საქართველოში ორი კონფლიქტის დაწყებიდან (სსრკ დაშლის შემდეგ) – სამხრეთ ოსეთში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) და აფხაზეთში (ყოფილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა).

შედეგად - სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მცხოვრები 350 ათასზე მეტი ადამიანი (ძირითადად, ქართველი ეროვნების) გახდა „იძულებით გადაადგილებული პირი“ (იგპ). მათი ნახევარზე მეტი განსახლებულ იქნა ქვეყნის პრაქტიკულად ყველა რეგიონში, სხვადასხვა შენობაში, საბავშვო ბაღებში, საერთო საცხოვრებლებში, სასტუმროებში, საავადმყოფოებში და ა.შ. მეორე ნახევარმა დამოუკიდებლად დაიწყო საცხოვრისის ძიება და დასახლდა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

მიიჩნევა, რომ საქართველოში იგპ-თა ორი ნაკადი იყო - 90-იანი წლების დასაწყისში (ე. წ. „ძველი“ დევნილები) და 2008 წელს, რუსეთთან აგვისტოს ომის შემდეგ (ე. წ. „ახალი“ დევნილები).

1992 წლის ბოლოს, პირველი კონფლიქტების შემდეგ, შეიქმნა მიგრაციისა და ლტოლვილთა კომიტეტი, რომლის ამოცანა იყო ამ ადამიანების დახმარების და განსახლების ორგანიზება. სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, ისინი განეთავსებინა სასტუმროებში, სკოლებში, საავადმყოფოებში, საწარმოებში და ხანგრძლივი ცხოვრებისთვის გამოუსადეგარ სხვა შენობებში. იმ წლებში ინტეგრაციის შესახებ არავინ ლაპარაკობდა - მხოლოდ დაბრუნებაზე იყო ორიენტაცია. შემოღებულ იქნა ტერმინი „დროებითი ინტეგრაცია“, რადგან არსებობდა საფრთხე, რომ დევნილზე საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში მიმაგრება შეამცირებდა დაბრუნების მოტივაციას.

2007 წელს დამტკიცდა „სახელმწიფო სტრატეგია იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ“, რომელიც განხორციელდა პროექტით „ახალი მიდგომები დევნილთა მიმართ“. ეს იყო საქართველოს მთავრობის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენ-

ტოს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს, მსოფლიო ბანკის, გაეროს განვითარების პროგრამის და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ინიციატივა. ამ დოკუმენტის ძლიერი მხარე ის არის, რომ შემუშავდა ერთობლივად, სახელმწიფო სტრუქტურების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, ფართო საზოგადოების, თვით დევნილების მონაწილეობით. სტრატეგია დაეფუძნა ადამიანის უფლებების 10 პრინციპს და მოიცავდა ორ მთავარ მიზანს: ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნება და დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება.

სტრატეგია იყო პირველი ბიძგი სახელმწიფოს მხრიდან დევნილთა პრობლემების მიმართ ერთიანი მიდგომის შემუშავებისთვის, გაჩნდა ახალი ხედვა, რომ გათვალისწინებულ იქნას მათი ინტერესები და საჭიროებები. სტრატეგიაში მკაფიოდ იყო მითითებული დევნილთა განსახლების ვადები და მეთოდები.

საქართველოში არსებობს საცხოვრებელი ფართით დევნილთა დახმარების სხვადასხვა სახე: ფულადი კომპენსაცია (სხვადასხვა თანხა); კოლექტიური ცენტრების რემონტი და მათი შემდგომი პრივატიზაცია; დაუსრულებელი სახლების კარკასების რემონტი/რეკონსტრუქცია; სახლის ყიდვა სოფლად (17 000 ლარი ოჯახზე); შეღავათიანი იპოთეკა. ბოლო პერიოდში წარმატებით ინერგება მრავალსართულიან სახლში ბინების ყიდვის სისტემა. ეს პროცესი უფრო პროგრესულად მიგვაჩნია, რადგანაც ასე უფრო სწრაფად მოხდება ადგილობრივ საზოგადოებაში დევნილთა ინტეგრაცია.

საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართულნი არიან პროცესში, რომ კანონებში დევნილთა საკითხებთან დაკავშირებით შეტანილ იქნას ცვლილებები. მონაწილეობენ იმ კომისიებში, რომლებიც ადგენენ განსახლების ნორმატივებს და პირობებს, მატერიალური დახმარების გაწევისა და სოციალური პრობლემების მოგვარების საკითხს. აგრეთვე აქტიურად მუშაობენ დევნილთა მნიშვნელოვან პრობლემებზე - ფსიქორეაბილიტაცია, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, უფლებების დაცვა, მათი შესაძლებლობების ამაღლება და ჩართვა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალგაზრდობის აღზრდას სამშვიდობო სულისკვეთებით.

2008 წლიდან დაიწყო ჟენევის პროცესი, რომელზეც ხდება ყველა საკითხის, მათ შორის დევნილთა დაბრუნების საკითხის, განხილვა. და ყოველთვის, როცა ქართული მხარე სვამს იგპ-თა დაბრუნების საკითხს, ის მაშინვე იბლოკება მეორე მხარის მიერ და მოლაპარაკებები წყდება.

დევნილთა ინტეგრაციის სფეროში საქართველოს არასამთავრობო სექტორის მრავალწლიანი მუშაობის მიუხედავად, ჯერ კიდევ არის პრობლემები და გამოწვევები:

- აუცილებელია კოორდინაციის გაძლიერება ამ კუთხით მომუშავე ორგანიზაციებსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „სინერგიას“ ქსელებს შორის;
- ინტეგრაციის (და ზოგადად, მშვიდობისმყოფელობის) საკითხები საერთაშორისო დონორების მხრიდან არ წარმოადგენს პოპულარულ თემას დაფინანსებისთვის, შედეგად, ბოლო პერიოდში შენეულა მუშაობა დევნილებთან ინტეგრაციის კუთხით;
- სახელმწიფო უწყებები, რომლებიც მუშაობენ პერიგების, სამოქალაქო თანხმობის, კონფლიქტის მოგვარების საკითხებზე და იგპ პრობლემებზე, ნაკლებად გამოიყენებენ არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსს და მდიდარ გამოცდილებას. მომავალში აუცილებელია არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერება დევნილთა უფლებების დაცვისა და მათი ინფორმირებისთვის.

ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი (საქართველო)

საგანმანათლებლო ვიზიტი საქართველოში

მეორე საგანმანათლებლო ვიზიტი ქვეყნის შიგნით გადაადგილებულთა და ლტოლვილთა ინტეგრაციის საკითხებზე უკრაინის, საქართველოს, სომხეთის და ჩრდილოეთ კავკასიის ექსპერტებისთვის გაიმართა საქართველოში 2017 წლის 24-31 ივლისს.

ორგანიზატორებმა შეარჩიეს 12 ორგანიზაცია, რომლებსაც შეეძლო ინფორმაციის წარმოდგენა და კარგი პრაქტიკის გაზიარება სწორედ იმ საკითხებისა და ინტერესების მიხედვით, რაც მონაწილეებმა პირველი საგანმანათლებლო ვიზიტის შემდეგ გამოთქვეს.

ამგვარად, მოხსენებების და დისკუსიების თემები გახდა: გრძელვადიანი პროგრამების დანერგვა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით; სოციალური მენარმეობის პროგრამები; დევნილთა უფლებებისა და ინტერესების ადვოკაცია; იგპ-თა სამართლებრივი მხარდაჭერა; დევნილთა განსახლება – მეთოდები და ნორმატივები; დასაქმების საკითხები; მუშაობა ახალგაზრდობასთან, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე დევნილ ბავშვებთან, დიალოგი და საგანმანათლებლო მუშაობა ახალგაზრდებთან კონფლიქტების პრევენციის კუთხით; არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები დევნილებისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის, აგრეთვე სოციალური ურთიერთობების დამყარება მათ შორის; ურთიერთობა სახელისუფლებო სტრუქტურებთან, ქსელში გაერთიანება და სხვა. ამას გარდა, იყო მსჯელობა ქალთა ორგანიზაციების როლსა და გავლენაზე სამშვიდობო პროცესებზე საქართველოში.

მონაწილეებმა მოინახულეს ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, თბილისსა და ზუგდიდში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციები. სწორედ ამ ქალაქებშია თავმოყრილი დევნილთა ყველაზე დიდი რაოდენობა და უფრო მეტადაა განვითარებული სამოქალაქო ორგანიზაციების მუშაობა მათი ინტეგრაციისთვის.

მონაწილეები მიიღეს შემდეგმა ორგანიზაციებმა: პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“ (ქუთაისი), ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (ქუთაისის ფილიალი), ფონდი „სოხუმი“ (ქუთაისი), განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი (ქუთაისი), იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“ (თბილისი), DRC დანიის ლტოლვილთა საბჭო (თბილისი), საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ (თბილისი), სათემო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „განთიადი“ (გორი), „ლაზიკა“ (ფოთი), „საუნჯე“ (ზუგდიდი), „ათინათი“ (ზუგდიდი), განვითარებისა და განათლების ცენტრი (ბათუმი).

მონაწილეებმა აღნიშნეს საქართველოს ორგანიზაციების შეთანხმებული მუშაობის, საინტერესო იდეების და ბიუროკრატიათან წარმატებული ბრძოლის შესახებ: „ჩემთვის შთამბეჭდავი იყო, რომ საქართველოს ორგანიზაციები გუნდურად მუშაობენ, იცნობენ ერთმანეთს, წარმატებით აგვარებენ დევნილთა პრობლემებს და მკაფიოდ სვამენ პრობლემებს სახელმწიფოს წინაშე“, - ასე გამოხატა თავისი შთაბეჭდილებები ერთ-ერთმა მონაწილემ.

შეხვედრა აფხაზეთიდან იგპ-თა საზოგადოებრივ ორგანიზაცია „ლაზიკაში“ (ფოთი) გაშუქდა ადგილობრივ არხზე „მეცხრე ტალღა“ (2017 წლის 28 ივლისი). რეპორტაჟში ვიზიტის ქართველმა მონაწილემ ქრისტინა კილანავამ (ასოციაცია „იმედი - დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის“), ჩვენი პროექტის მთავარი უკრაინელი პარტნიორის «Країна вілних людей» წარმომადგენელმა ნადეჟდა ხომენკომ და პროექტის ხელმძღვანელმა, ორგანიზაცია DRA-ს წარმომადგენელმა მარიამ სლეზაჩეკმა თავიანთი შთაბეჭდილებები გაუზიარეს მაყურებელს და დაწვრილებით უამბეს ვიზიტის მიზნებზე.

საბოლოოდ, მონაწილეებმა შეარჩიეს სამი ყველაზე წარმატებული გამოცდილება, რომელიც წარმოდგენილია ამ თავში: პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“ (ქუთაისი), იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“ (თბილისი), საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ (თბილისი).



„მოგ ზაურობა ძალიან სასარგებლო იყო. საქართველომ უკრაინის მსგავსი ბედი გაიზიარა. და ამ მომენტისთვის არასამთავრობო ორგანიზაციებს გააჩნიათ დევნილებთან მუშაობის და სახელმწიფოსთან თანამშრომლობის კოლოსალური გამოცდილება. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო მთავრობასთან ურთიერთობა პრობლემების უმაღლეს დონეზე გადაჭრისთვის. პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე ჩვენ პირველად ვნახეთ, რა ძლიერია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების გავლენა დევნილთა ინტეგრაციის ხელშეწყობი საკანონმდებლო აქტების შექმნაზე. ეს უძვირფასესი რამ იყო ჩვენთვის. ვიზიტის შემდეგ ერთმანეთში, მერე კი ჩვენს რეგიონებში ვმსჯელობდით, როგორ შეგვიძლია ქსელის შექმნა და არაკომერციული ორგანიზაციების გავლენის გაძლიერება გადაწყვეტილების მიღებაზე, სახელმწიფო ბიუროკრატიულ მანქანაზე ზემოქმედება ადამიანების პრობლემების მოგვარებისთვის“.

(პროექტის უკრაინის ჯგუფის მონაწილეთა ანგარიშიდან)



„მიმაჩნია, რომ მიზნები მიღწეულია. ჩვენი თვალით ვნახეთ სიტუაცია - გავესაუბრეთ დევნილებს, ვიყავით კომპაქტურ დასახლებებში, ძველშიც და ახალშიც, გავემგზავრეთ შესვლა-გამოსვლის საკონტროლო პუნქტში, გავიცანით სერიოზული არასამთავრობო ორგანიზაციები. გრძელვადიანი ეფექტი – ეს არის ქართველი კოლეგების ნამუშევრის გამოყენება, აგრეთვე თანამშრომლობა ჩვენს არაკომერციულ ორგანიზაციებთან. პრაქტიკულად ყველა ორგანიზაცია, რომელსაც ჩვენ ვესტუმრეთ, საინტერესო იყო თავისი გამოცდილებით. შევთანხმდით, რომ ერთმანეთს გავუზიარებთ დამუშავებულ მასალებს“.

(პროექტის უკრაინის ჯგუფის მონაწილეთა ანგარიშიდან)

საქართველოში იგპ-თა
და ლტოლვილთა ინტეგრაციის
წარმატებული მაგალითები

პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“

საქართველო, ქუთაისი
დავით აღმაშენებლის გამზირი №10
+995 99 19 14 04
nramishvili@mail.ru
uteu_ge@yahoo.com
uteu.ge

fb.com/pages/Union-of-Teachers-Education-and-Universe/220841264606274

თავმჯდომარე: ნანული რამიშვილი



პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“ არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 2002 წელს ქუთაისში (იმერეთი, საქართველო).

ეს არის იძულებით გადაადგილებულ პედაგოგთა გაერთიანება, რომელიც აქტიურადაა ჩართული სამშვიდობო საქმიანობაში, მუშაობს სამოქალაქო განათლების სფეროში. ორგანიზაციის შექმნასა და საქმიანობას საფუძვლად უდევს მოხალისებრივი საგანმანათლებლო ინიციატივები, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ხელს უწყობს ქართველი მასწავლებლების, მეცნიერი ქალების, მოსწავლე ახალგაზრდობის და დევნილების ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესში.

საქმიანობის მიმართულებები

ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებია განათლების სფეროში დემოკრატიული პროცესების და კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში ევროინტეგრაციის მხარდაჭერა, ამასთან ერთად - აქტიური მონაწილეობა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებაში, მოსახლეობის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, კულტურისა და განათლების სფეროში მომუშავე პედაგოგთა სამშვიდობო და საზოგადოებრივი აქტივობის მხარდაჭერა.

საქმიანობის ძირითადი ფორმა

დევნილებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ფორმალური და არაფორმალური განათლება, მათ შორის სოციალური ურთიერთობების აწყობა, სამეცნიერო იდეების პოტენციური მომხმარებლების და სწავლებისა და განათლების მოწინავე მეთოდების პოვნა, პედაგოგების პროფესიული კომპეტენციის ამაღლება მათი კარიერული ზრდისთვის, განათლება და საჭირო ინფორმაციისადმი ღია ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მათი სამოქალაქო და სამშვიდობო ინიციატივების გააქტიურებისა და კოორდინაციისთვის, ქალების პედაგოგიური გავლენის გაზრდა საზოგადოების განვითარების პროცესზე, ანუ განათლებისა და კულტურის სისტემაში ქალების (გოგონების) და მამაკაცების (ბიჭების) სტატუსის გათანაბრება გენდერული ასიმეტრიის აღმოფხვრით.

წარმადიებული კრებული

საქართველოს განათლების სისტემის რეფორმის დღიდან (2002 წლიდან) ორგანიზაციამ დიდი ძალისხმევა მოახმარა დევნილი პედაგოგების ჩართვას ამ პროცესში. „განათლება და სამყარო“ ბაზაზე ამოქმედდა „პედაგოგთა მოწინავე გამოცდილების სკოლა“. სპეციალურად შემუშავდა პროგრამა (მოკლევადიანი და გრძელვადიანი) დევნილ პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, რომელიც ხელს უწყობდა პედაგოგთა პროფესიულ ზრდას, პრაქტიკაში სწავლების ეფექტური მეთოდების, თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგი-

ბის დანერგვას - ტრენინგ-სემინარების, მასტერკლასების, საგნების მიხედვით მოდალური გაკვეთილების დემონსტრირების გზით.

„სკოლა დევნილებისთვის, როგორც საზოგადოების აქტიური წევრებისთვის“: ამ ინიციატივის ფარგლებში პროექტმა განახორციელა სოციალური ინკლუზიის მოდელის პილოტური დანერგვა, რამაც გააერთიანა ოთხი სკოლა (დევნილთა ორი სკოლა + ორი ადგილობრივი სკოლა ქუთაისში). ამ თანამშრომლობამ გაამყარა პროექტის მონაწილე სკოლების პოტენციალი და არსებითად შეამცირა იმ ბავშვების იზოლაციის ხარისხი, რომლებიც დევნილთა სკოლაში სწავლობენ.

ფართოვდება საგანმანათლებლო შესაძლებლობები დევნილი და რისკის ჯგუფის ბავშვებისთვის ქუთაისისა და წყალტუბოს მასწავლებელთა პედაგოგიური კომპეტენციის გაზრდის შედეგად. იმერეთის ბევრი მასწავლებელი არ არის სათანადოდ მომზადებული, რომ დახმარება გაუწიოს იმ ბავშვებს, რომლებიც განიცდიან ძალადობას, აქვთ ტრავმები (კონფლიქტის დროს და მის შემდეგ), უნახავთ კონფლიქტები თავიანთ უშუალო გარემოცვაში. „განათლება და სამყარო“ 100-ზე მეტი მასწავლებელი და 20 ფსიქოლოგი მოამზადა ამ ბავშვებთან მუშაობის უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით. ინტენსიური სასწავლო სემინარების სერიის შემდეგ მასწავლებლებმა კოლეგებს გაუზიარეს თავიანთი ცოდნა. პროექტის ფარგლებში მასწავლებლებისთვის შემუშავდა მეთოდური სახელმძღვანელო. ის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცა დევნილი და რისკის ჯგუფის ბავშვებთან მუშაობის კუთხით მასწავლებელთა პედაგოგიური კომპეტენციის გაზრდისთვის.

ახალგაზრდული სამშვიდობო პროექტი „ცხოვრება მშვიდობითა და თანხმობით“. ამ პროექტის ფარგლებში დასავლეთ საქართველოს (იმერეთი, სამეგრელო, აჭარა) სასწავლო დაწესებულებებში შეიქმნა სამშვიდობო ქსელი „მშვიდობა ჩემით იწყება“ (ქსელში შედის 81 სკოლა და ოთხი უმაღლესი სასწავლებელი). ახალგაზრდა მწვრთნელები და მოხალისეები ავრცელებენ მშვიდობის იდეებს სპეციალურად შემუშავებული პროგრამის „გზა მშვიდობისკენ“ მიხედვით, რომელიც 12 მოდულისგან შედგება.

პროგრამა „მშვიდობის კულტურა“ შესაძლებლობას აძლევს ახალ-

გაზრდებს, გაეცნონ ეროვნულ კულტურას და სხვა რეგიონების, ქვეყნების კულტურას; შეიძინონ ისეთი ფასეულობები, როგორებიცაა: ტოლერანტობა კულტურული მრავალფეროვნების მიმართ, კონფლიქტური სიტუაციების მშვიდობიანი მოგვარება დიალოგისა და თანამშრომლობის საფუძველზე; მზრუნველი დამოკიდებულება ისტორიული, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის მიმართ - გაეროს მოდელირების როლური თამაშების მეშვეობით. როლური თამაში ეხმარება ახალგაზრდებს, გაეცნონ რეგიონულ პრობლემებს, ეძებონ რთული სიტუაციების მოგვარების ალტერნატიული ხერხები, განავითარონ მოლაპარაკების ჩატარებისთვის საჭირო დიალოგის უნარ-ჩვევები. როლური თამაშები ტარდებოდა იმერეთში და საქართველოს სხვა რეგიონებში: აჭარა, სამეგრელო, შიდა ქართლი, გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე ზონები, დევნილთა კომპაქტური დასახლებები.

აგრეთვე განხორციელდა ინიციატივები: „ბავშვთა საგანმანათლებლო ტოლერანტობის პროგრამა“, „მშვიდობის კულტურის პროგრამა“, „სამშვიდობო განათლება ნდობის აღდგენისთვის“, პროექტი „მასწავლებელი – მშვიდობის რესურსი“, „გზა პედაგოგიური ოსტატობისკენ“.

ყველა აქტივობა მიმართული იყო ტრანსფორმაციის სფეროში სამუშაო გამოცდილების გამდიდრებისა და განვითარებისკენ, აგრეთვე დევნილი ბავშვების, ახალგაზრდების და პედაგოგების ინტეგრაციისკენ.

„წარმოდგენილია ძალიან კარგი მაგალითები. თვალსაჩინოა ის, რაც იცვლება. მომენონა პედაგოგთა გამოცდილება, ისინი ლიდერობენ ახალგაზრდებში ახალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების კუთხით. საინტერესოა სოციალური დაკვეთის მეთოდი და კავშირი სახელმწიფო ფულთან, რადგან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ფინანსური დახმარებიდან სახელმწიფო დახმარებისკენ თანდათან გადასვლის სტრატეგია“.

(პროექტის უკრაინის ჯგუფის მონაწილეთა ანგარიშებიდან)



იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“ (Consent)

საქართველო, თბილისი
თამარ მეფის გამზირი 20
+ 995 32 234 49 82
julia.kharashvili@yahoo.com
idpwa.org
fb.com/IDPWAConsent



იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“ შეიქმნა აფხაზეთიდან იგპ ქალების მიერ 1995 წელს, 1996 წელს კი დარეგისტრირდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

მისია

დევნილი ქალების და მათი ოჯახის წევრების სოციალური, ეკონომიკური, ფსიქო-სამედიცინო სიტუაციის გაუმჯობესება.

საქმიანობა

ორგანიზაციამ საქმიანობა დაიწყო კვლევის ჩატარებით (ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოსთან ერთობლივად) საცხოვრებელი პირობების, სოციალური და სამედიცინო და ფსიქოლოგიური პრობლემების კუთხით და შემდგომ, სხვა პროექტების ფარგლებში, ის ცდილობდა, პასუხები გაეცა აღმოჩენილი გამოწვევებისთვის.

1995 წლიდან ასოციაცია რეგულარულად ატარებდა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამებს, კონფლიქტისგან დაზარალებულ

ბული ქალებისა და ბავშვების სამედიცინო გამოკვლევებს, ძირითადად, იგპ-თა კომპაქტური დასახლების ცენტრებში.

1996 წლიდან ასოციაცია აქტიურად მუშაობს დევნილთა ჩართვისთვის ნდობისა და მშვიდობის შენების პროგრამებში. 12 წლის განმავლობაში ასოციაცია აწყობდა მშვიდობის ბანაკებს, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ, სწავლობდნენ და მუშაობდნენ ჯერ ბავშვები, მერე კი ახალგაზრდები სამხრეთ კავკასიის კონფლიქტური ზონებიდან. ამის შედეგად 2001 წელს შეიქმნა კავკასიის ახალგაზრდა ლიდერთა ქსელი.

დევნილებთან მუშაობამ ასოციაცია მიიყვანა მათი უფლებების დაცვის აუცილებლობამდე: 1995 წლიდან ასოციაცია არის ჟენევის კონფერენციის დსთ ქვეყნების სამუშაო ჯგუფის წევრი მიგრაციისა და გადაადგილების საკითხებზე. 1996 წლიდან აქტიურად მუშაობს სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარების ორგანიზების კუთხით. 1998 წელს, გალის რაიონში სამხედრო მოქმედებების ესკალაციის დროს, ორგანიზაციამ დევნილთა (10 000-ზე მეტი) მასირებული ფსიქოლოგიური და სამედიცინო დახმარების ინიცირება მოახდინა, რაც ორგანიზებული იყო ოთხი პროფესიული ორგანიზაციის კოალიციის მიერ. 1996-2000 წლებში ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობდა ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოსთან დევნილთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის საქმეში რეგიონული თანამშრომლობის ორგანიზებისთვის, ხოლო 2000 წლიდან - დევნილთა საკითხებზე ბრუკინგის ინსტიტუტის პროექტთან და დევნილთა უფლებების სპეციალურ მომხსენებელთან. 2003 წელს მონაწილეობდა „საქართველოში იძულებით გადაადგილებული პირების უფლებების“ პირველი გამოცემის მომზადებაში (გაეროს პროგრამის გამოცემა).

წარმადებული პრაქტიკა

ასოციაციამ, რეგიონული ერთობლივი პროექტების ფარგლებში, დანიის ლტოლვილთა საბჭოს ეგიდით, ინიცირება გაუკეთა სამუშაო ჯგუფის შექმნას, რომელიც იმუშავებდა დევნილთა განსახლების სტრატეგიის მომზადებაზე, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა იმ იგპ-ზე, რომლებიც ცხოვრობდნენ არაორგანიზებულ (კერძო) სექტორში, რადგანაც მათი პრობლემები ყოველთვის ჩრდილში რჩებოდა.

მიიჩნეოდა, რომ კერძო სექტორში მცხოვრები დევნილები უფრო ადაპტირებულნი არიან და ნაკლებად საჭიროებენ დახმარებას, ვიდრე კოლექტიური ცენტრების მცხოვრებლები. საერთაშორისო ორგანიზაციები უფრო მეტად ყურადღებას უთმობდნენ კომპაქტური დასახლების ცენტრებში მცხოვრებ დევნილებს – ჯერ ერთი, პრობლემების ერთ ადგილას კონცენტრაცია უფრო თვალსაჩინო იყო, მეორეც, ხელისუფლება მუდმივად თხოვნით მიმართავდა ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს დახმარებისთვის ამ კოლექტიური დასახლებების რეაბილიტაციაში. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მამოძრავებელი ფაქტორი, რომელმაც გამოიწვია დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის შექმნის ინიცირება. მეორე მამოძრავებელი ფაქტორი იყო იმის გაცნობიერება, რომ დევნილთა პრობლემური სიტუაცია ამუხრუჭებს მთლიანად განვითარების პროგრამებს. თავის მხრივ, არასამთავრობო სექტორი უკვე კარგა ხანია სვამდა დევნილთა ეკონომიკური, სოციალური და იურიდიული განვითარების და მათი განსახლების პრობლემის მოგვარების საკითხებს.

2009 წლიდან მთავრობა იღებს დევნილთა განსახლების პროგრამას. ასოციაცია არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელ „სინერგიასთან“ ერთად იმავე პროგრამაში ჩართულია დევნილთა უფლებების ადვოკატირებაში – ეს არის კრიტერიუმების შემუშავება, ძირითადად, 90-იანი წლების კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებული ადამიანების სოციალური და საცხოვრებელი პირობების შესწავლა, რადგანაც 2008 წლის ომის შედეგად ე. წ. „ახალი“ დევნილები პრაქტიკულად სრულად არიან დაკმაყოფილებულები საცხოვრებელით, თუმცა მათი ხარისხი უამრავ კითხვას იწვევდა.

ასოციაცია განაგრძობს მუშაობას ორივე რეგიონიდან (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი) იგპ-თან დასავლეთ საქართველოში. ძირითადი მიმართულებებია განსახლების მართებულობის მონიტორინგი, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და დევნილთა ხელმისაწვდომობის გაზრდა სოციალური პროგრამების და არსებული სერვისების მიმართ, დახმარება განსახლების შემდგომ ადაპტაციაში. სერიოზულ პრობლემად რჩება ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის ზრდა: მსოფლიო ბანკის კვლევამ (2017) წარმოაჩინა კავშირი ძალადობის ზრდასა და მოუგვარებელი კონფლიქტების შედეგებს და იმ ეკონომიკურ შესაძლებლობებს შორის, რომ-

ლებიც ძალიან დაბალია დევნილთა ოჯახებში. გრძელდება მუშაობა სამოქალაქო აქტივისტებად ქალების აღზრდისთვის ადგილობრივ სამთავრობო სტრუქტურებთან კოოპერირებით.

ასოციაციის ძირითადი პროგრამები დევნილებისთვის ამჟამად მოიცავს შემდეგს:

- უფასო სამედიცინო დახმარება შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში მცხოვრები იგპ-თვის;
- პროფესიული განათლება (შიდა ქართლი);
- განსახლების მონიტორინგი და დახმარება პრობლემების მოგვარებაში ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებთან ერთად;
- დევნილთა თემების მობილიზება ახალ საცხოვრებელ ადგილებში, დახმარება საბინაო ამხანაგობების ორგანიზებაში;
- არაფორმალური განათლების პროგრამები;
- „ქალთა ლიდერობის აკადემია“;
- ძალადობის პრევენციის პროგრამები არაფორმალური განათლების გზით
- ფორუმ-თეატრის სპექტაკლები;
- ფსიქოდრამა;
- სკოლებში, სადაც სწავლობენ დევნილთა და კონფლიქტისგან დაზარალებული პირების შვილები, მუშაობა ბულინგის პრევენციისთვის;
- დებატები ახალგაზრდებისთვის აქტუალურ თემებზე;
- ახალგაზრდული მოხალისეობის განვითარება;
- მუშაობა დევნილ ხანდაზმულთა სოციალიზაციისთვის დღის ცენტრის და საოჯახო დახმარების ორგანიზების გზით;
- იურიდიული კონსულტაციები და დახმარება და ა.შ.

„თბილისში წარმოადგინეს საქართველოში დევნილთა კომპაქტური განსახლების მოდელი. პრეზენტაციაში მათ გამოყვეს სახელმწიფოს როლი თავიანთ საქმიანობასა და მასთან თანამშრომლობაში, რაც 2007 წლიდან დაიწყო. ორგანიზაციას საქმიანობის ყველა სფეროში გააჩნია დევნილებთან მუშაობის უნიკალური როლი. ძალიან მომეწონა მათი დამოკიდებულება დევნილთა დღევანდელი პრობლემების მიმართ. მათი მონაცემებით, 50000-ზე მეტი ოჯახი გასაჭირში ცხოვრობს, მინიმუმამდე შემცირებული საყოფაცხოვრებო პირობებით. არიან დევნილები, რომელთაც თავად იპოვეს საცხოვრებელი, მაგრამ ჯერჯერობით არსებობს ე.წ. «status-based» დახმარება, რომელიც უნდა შეიცვალოს «need-based», რათა მუშაობა უფრო მეტად იყოს კონცენტრირებული დევნილთა საჭიროებებზე“.

(პროექტის უკრაინის ჯგუფის მონაწილეთა ანგარიშებიდან)



საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“

საქართველო, თბილისი
თავისუფლების მოედანი 4ა, ბინა 12
+995 32 294 45 44
chca.org.ge
fb.com/CHCAGeorgia



არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია - საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ (CHCA) დაარსდა 1995 წელს.

მისია

კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და სხვა სოციალურად დაუცველი პირების ხელმისაწვდომობის გაზრდა საარსებო წყაროებზე, აგრეთვე მათი სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

ორგანიზაცია ჩამოყალიბდა აფხაზეთში განვითარებული ძალადობრივი კონფლიქტის შემდეგ იძულებით გადაადგილებული ათასობით ადამიანის დახმარების მიზნით. მას შემდეგ უამრავი საგანმანათლებლო, მიკროსაფინანსო თუ დევნილთა განსახლების მხარდასაჭერი პროგრამა განახორციელა.

მთავარი მიზანი - ინდივიდებისა და თემის როლის გაზრდა სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობასა და დემოკრატიის გაძლიერებაში, სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება იძულებით გადაადგილებული და სხვა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის შესაძლებლობათა განვითარებისა და თავდაჯერებულობის ხარისხის ამაღლების გზით.

საქმიანობის მიმართულებები

- საარსებო წყაროების უზრუნველყოფა და ეკონომიკური განვითარება
- თემის განვითარება და ადვოკატირება
- ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვა და განვითარება
- მშვიდობის მშენებლობა და ნდობის აღდგენა
- სამიზნე აუდიტორია
- იძულებით გადაადგილებული პირები
- კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ადამიანები
- სოციალურად დაუცველი ოჯახები
- კანონთან კონფლიქტში მყოფი ადამიანები
- ყოფილი მიგრანტები
- ბავშვები და ახალგაზრდები

წარმატებული პრაქტიკა

სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და საარსებო წყაროების შექმნა/უზრუნველყოფა

ამ მიმართულების პროექტების მიზანია დევნილთა ეკონომიკური საქმიანობის გაძლიერება. ამ მიზნის მისაღწევად დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისთვის ხორციელდება შემდეგი აქტივობები: პროფესიული სწავლება, ბიზნესის მართვისა და სამუშაოს მოძიების ტრენინგები და კონსულტაციები, არაფულადი ბიზნეს გრანტები და უპროცენტო სესხები, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერი პროექტები და სოციალური საწარმოების შექმნა.

ინდივიდუალური მაგალითები:

ლევან მახარობლიძე აფხაზეთიდან გახლავთ. ქუთაისში ის ლითონის დამუშავების ბიზნესს წარმატებით უძღვება და საწარმოში სტაბილურად ექვს ადამიანს ასაქმებს. პროექტის ფარგლებში ლევან მახარობლიძემ გაიარა ბიზნეს ტრენინგები, შეიმუშავა ბიზნეს წინადადება და, საბოლოოდ, მიიღო გრანტი 2000 ევროს

ოდენობით, მატერიალური ფასეულობის სახით. ამ თანხით მან სახარატე მოწყობილობა, შედულების აპარატი და სხვა საშუალებები შეიძინა. „ახალი ხელსაწყოებით შრომა გამიადვილდა და დროც დამეზოგა. სახარატე დანადგარი მრავალფუნქციურია და წარმადობა დაახლოებით 20%-ით არის გაზრდილი“, - ამბობს ის. საწარმოში პროექტის ფარგლებში დამატებით დასაქმდა ორი ადამიანი, რომელთა ყოველთვიური ანაზღაურება 500-600 ლარს შეადგენს.

სოფელი მეჯვრისხევი (გორი) სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ გამყოფ ზოლთან მდებარეობს. ლერი მეზვრიშვილმა სოფელში სოციალური საწარმო „მობილური ავტოსახელოსნო“ 2016 წელს შექმნა. ის ტრენინგებში აქტიურად იყო ჩართული, კონკურსიც წარმატებით დაძლია და გრანტის სახით 16 000 \$ ფინანსური მხარდაჭერა მიიღო. „ამის გაკეთება ნატვრად მქონდა, მაგრამ დამოუკიდებლად ათეული წელი დამჭირდებოდა. აქ კი ოცნება ერთ წელში ავიხდინე“, - ამბობს ის. ლერი მეზვრიშვილმა ავტოსატრანსპორტო საშუალება და ავტოსახელოსნოსთვის აუცილებელი ტექნიკა შეიძინა. ამასთან, საწარმოში ოთხი ახალგაზრდა დაასაქმა, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 700 ლარია. დღეს „მოძრავი ავტოსახელოსნო“ წარმატებით ასრულებს თავის სოციალურ მისიას და დევნილთა დასახლებებსა და გამყოფ ზოლთან მდებარე სოფლების მცხოვრებლებს უსასყიდლოდ ეხმარება.



დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული თემის აღდგომა და განვითარების ხელშეწყობა

ამ მიმართულების პროექტების მიზანია დევნილ თემსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის დიალოგის ხელშეწყობა იმ საკითხებზე, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე. ხორციელდება სხვადასხვა აქტივობა: დევნილთა საჭიროებების კვლევა და ანალიზი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შექმნა/განვითარება, ადვოკატირების კამპანიების დაგეგმვა/იმპლემენტაცია და ტრენინგები/კონსულტაციები.

ინდივიდუალური მაგალითი:

თეონა ბუკია ბორჯომში დევნილთა რეაბილიტირებულ კორპუსში ცხოვრობს. ცენტრი „აფხაზეთის“ დახმარებით 2015 წელს დაფუძნებულმა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ ის ერთი წლის ვადით თავმჯდომარედ აირჩია. „თავმჯდომარის რანგში ჩვენთან არსებული პრობლემის მოგვარება უკვე მოვახერხე. ბინების მიწებიდან ექვს თვეში ახალმა რემონტმა გაფუჭება დაიწყო. ტრენინგებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კი ჩემთვის მარტივი გახდა სამშენებლო კომპანიასთან თანამშრომლობა და კორპუსში არსებული დაზიანებული ადგილების გამოსწორება“, - ამბობს ის. ამხანაგობას საერთო ფონდი აქვს, სადაც თანხები მოვლა-ექსპლუატაციის ჯგუფისათვის საჩუქრად გადაცემული სამუშაო იარაღების გაქირავებიდან შემოსული თანხით და სანეწროებით გროვდება. ამ თანხით ამხანაგობამ საჭირო სარემონტო სამუშაოები შეასრულა.

მონაწილეობა კომისიებისა და გაერთიანებების მუშაობაში

ცენტრი „აფხაზეთი“ არის დევნილთა საკითხებზე მომუშავე სამი სამთავრობო და ხუთი გაერთიანების აქტიური წევრი. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ არჩეულია დევნილთა სახელმწიფო სტრატეგიის სამეთვალყურეო საბჭოში. სამეთვალყურეო საბჭოში ცენტრი „აფხაზეთი“ აქტიურად არის ჩართული იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიისა და სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. ორგანიზაცია ლობირებს და იცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც ფოკუსირებულია დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობაზე.

გასულ და მიმდინარე წელს ორგანიზაცია აქტიურად იყო ჩართული დევნილთა შემწეობის საკითხის განხილვის პროცესში. დევნილთა სამინისტრომ მოამზადა დოკუმენტი („დევნილის შემწეობის რეფორმის მოსამზადებელი დოკუმენტი“) და დაიწყო მუშაობა დევნილთა ყოველთვიური შემწეობის გადახედვის საკითხზე. ორგანიზაციამ კი, თავის მხრივ, 2017 წლის აგვისტოში, შიდა ქართლის რეგიონში ჩაატარა თვისებრივი კვლევა „დევნილი მოსახლეობის დამოკიდებულებების კვლევა დევნილის შემწეობის რეფორმის შესაძლო ალტერნატივებთან მიმართებით“ და ყველა დაინტერესებულ მხარეს წარუდგინა დევნილი თემის ხედვა ამ სენსიტიური საკითხისადმი. გარდა ამისა, ცენტრი „აფხაზეთი“ დევნილთა ინტერესების დასაცავად მართავს და ესწრება შეხვედრებს სხვადასხვა დონეზე, რომელთა მიზანია დევნილი თემის ინტერესების დაცვა შემწეობის რეფორმასთან მიმართებით. მაგ: ორგანიზაციის ინიციატივით ქ. ბორჯომში მოეწყო ორდღიანი ქსელური შეხვედრა, რომელსაც დევნილთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ. სახალხო დამცველის ოფისში ცენტრი „აფხაზეთის“ ინიციატივით გაიმართა შეხვედრა და არასამთავრობო სექტორმა საქართველოს სახალხო დამცველს დევნილთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ დოკუმენტთან („დევნილის შემწეობის რეფორმის მოსამზადებელი დოკუმენტი“) მიმართებით საკუთარი აზრი გააცნო.

„ცენტრი „აფხაზეთი“ იმყოფება თბილისში. თავისი საქმიანობით წარმოადგენს საქველმოქმედო და ჰუმანიტარულ ორგანიზაციას. 22 წელია მუშაობს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ადამიანებთან. განსაკუთრებით მინდა გამოვყო მათი მოდელი „3P“, ეს არის დევნილებთან მუშაობის მიდგომა: Provision, Protection, Promotion. თითოეული ეს მიდგომა მნიშვნელოვან როლს ასრულებს. Provision - ეს არის სასიცოცხლო პირობებით უზრუნველყოფა და ჯანდაცვა, Protection - დაცვა და საარსებო სახსრები, Promotion - განვითარება“.

(პროექტის საქართველოს ჯგუფის მონაწილეთა ანგარიშებიდან)

იგპ-თა და ლტოლვილთა
ინტეგრაციის
სომხური გამოცდილება

სიტუაციის მოკლე ანალიზი სომხეთში იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის მხრივ

სომხეთში ლტოლვილთა პირველი ნაკადი საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე გაჩნდა. შეიარაღებულმა კონფლიქტმა მთიან ყარაბაღში (1988–1994 წწ.) დამოუკიდებელ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის გამოიწვია ის, რომ ლტოლვილთა რიცხვმა 360 ათასს მიაღწია. მეორე დიდი ნაკადი დაიწყო ერაყის ომის შედეგად (2003-2011 წწ.) - იქ მცხოვრები საკმაოდ დიდი რაოდენობით ეთნიკური სომეხი იძულებული გახდა, თავშესაფარი სომხეთში ეპოვა. კიდევ ერთი ნაკადი შეინიშნებოდა სირიის (2011 წლიდან), უკრაინის (2014 წლიდან) და სხვა ქვეყნების კონფლიქტების შედეგად.

ეთნიკურ სომხებს სრული მხარდაჭერა აქვთ მთავრობისგან, შეზღუდული სახელმწიფო რესურსების მიუხედავად.

თავშესაფრის მაძიებელი არაეთნიკური სომხები და ლტოლვილები ზოგიერთ პრობლემას აწყდებიან თავშესაფრის მიღების პროცედურების ფარგლებში. თავშესაფრის მაძიებელი პირები და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული ადამიანები, შესაძლოა, ბევრი პრობლემის წინაშე დადგნენ, რაც უკავშირდება საცხოვრებელს, ჯანდაცვას, განათლებას, სოციალურ შემწეობას, ინტეგრაციას, ენის ბარიერის ჩათვლით და ა.შ. თანამდებობრივი პირების მხრიდან თავიანთი მოვალეობების არასათანადო შესრულება კიდევ უფრო ართულებს სიტუაციას. მეტიც: შედეგად იწვევს ჰუმანიტარული უფლების საერთაშორისო კონვენციების და პრინციპების დაუცველობას.

ლტოლვილები აზერბაიჯანიდან

360 ათასი ლტოლვილიდან, რომელიც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამო აზერბაიჯანიდან სომხეთში გამოიქცა 1988 და 1992 წლებს შორის პერიოდში, უმეტესობა უკვე არ არის ლტოლვილი და მიაღწია გრძელვადიან გადნეფებას. ლტოლვილთა რაოდენობა განისაზღვრება 1 500 ადამიანით.

ლტოლვილები ერაყიდან

მთავრობის მონაცემებით, ერაყიდან ლტოლვილები შეადგენენ 1 019-ს, ესენი არიან, ძირითადად, ეთნიკურად სომეხი წარმომავლობის ადამიანები.

სირიიდან ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებელნი და ლტოლვილების მსგავს სიტუაციაში მყოფი პირები

სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის მონაცემების თანახმად, 2012-2017 წლებში 20 000-მდე სირიელმა სომეხმა მიიღო სომხეთის მოქალაქეობა, 2 500-მა - ბინადრობის უფლება. სომხეთში ლტოლვილთა უმეტესობის გადნეფეტილება ადგილობრივი ინტეგრაცია, რადგანაც რეპატრიაციის პერსპექტივები საკმაოდ შორეულია. სომხეთის მთავრობამ და საზოგადოებამ ღიად მიიღო სირიელი სომხები. მთავრობა მიესალმება მათ, სთავაზობს სწრაფ უფასო შემოსასვლელ ვიზას, ბინადრობის უფლებას და მოქალაქეობას, უზრუნველყოფს მათ ჯანდაცვას (ნაწილობრივ) და განათლების მიღების შესაძლებლობას სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში. საერთაშორისო ორგანიზაციები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ავსებენ სახელმწიფოს დახმარებას და მხარდაჭერას უწევენ საცხოვრებლის უზრუნველყოფასა და შემოსავლის მიღებაში. ორი ძირითადი პრობლემა, რომელიც სირიელ სომხებს აწუხებთ სომხეთში, სწორედ საცხოვრებელი და სამუშაოა.

მთიანი ყარაბაღიდან ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებელნი და ლტოლვილების მსგავს სიტუაციაში მყოფი პირები

2016 წლის აპრილის დასაწყისში მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ესკალაციამ მოიტანა მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში და გამყოფ ხაზთან ახლოს მდებარე რამდენიმე სოფლის განადგურება. ესკალაციის დროს, როცა ფრონტის ხაზს მიღმა აღმოჩენილი სამოქალაქო პირების მიმართ ჩადენილი იყო სისასტიკე, გამოიყენებოდა დრონი, აზერბაიჯანის შიგა რაიონების მსხვილ დასახლებებს კი დაბომბვა ემუქრებოდა. ყოველივე ამის გამო სომხეთში გადავიდა 2 000-ზე მეტი ადამიანი. მათი დაახლოებით სამი მეოთხედი 2016 წლის ნოემბერში დაბრუნდა მთიანი ყარაბაღში. იმათი უმეტესობა კი, ვინც გარბოდა თალიშიდან და გამყოფი ხაზის ახლომ-

დებარე, კონფლიქტის რისკის ქვეშ მყოფი რაიონებიდან, დარჩა. გადაადგილებულ ადამიანთა კონტინგენტს არ განუცდია არსებითი ცვლილებები. ის, ძირითადად, შედგება ქალების, ბავშვებისა და ხანდაზმულებისგან. ხანდაზმულების რაოდენობა გაიზარდა (რაც იმის მაჩვენებელია, რომ ახალგაზრდებს უფრო აქვთ მიდრეკილება დაბრუნებისკენ), ქალები კი სულ უფრო ხშირად მიემგზავრებიან, რომ იზრუნონ ქმრებზე მთიან ყარაბაღში და ოჯახის წევრებზე სომხეთში. ოჯახებმა, რომლებიც ჯერ კიდევ სომხეთში იმყოფებიან, მიიღეს ფინანსური დახმარება და ჩართულნი არიან გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის დახმარების რეგულარულ პროგრამებში.

მრავალი წლის მანძილზე სომხეთმა ცალკეული პროცედურების გზით მიანიჭა ლტოლვილის სტატუსი დაახლოებით 70 ადამიანს ირანიდან, ლიბანიდან, საქართველოდან, კოტ-დ'ივუარიდან, კამერუნიდან, ნიგერიიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. 2016 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, აგრეთვე არის თავშესაფრის 54 მაძიებელი ერაყიდან, ირანიდან, ლიბანიდან, კონგოს რესპუბლიკიდან, გვინეიდან, თურქეთიდან, სირიიდან და უკრაინიდან.

მთიანი ყარაბაღის მპყუტავი სამხედრო კონფლიქტი, სადაც ბოლოს 2016 წელს იყო აქტიური სამხედრო მოქმედებები, ისევ და ისევ აიძულებს არასამთავრობო ორგანიზაციებს, იმუშაონ ლტოლვილთა ინტეგრაციაზე. კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა, რომელიც სომხეთის არასამთავრობო ორგანიზაციების და სომხეთის საზოგადოების წინაშე დგას, არის რთული ეკონომიკური სიტუაციის გამო ახალგაზრდა და კვალიფიციური სომხების მუდმივი ემიგრაცია.

დიანა მირიბიანი

პროექტის კოორდინატორი (სომხეთი)



საგანმანათლებლო ვიზიტი სომხეთში

2017 წლის 24 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით აქტივისტები უკრაინიდან, სომხეთიდან, საქართველოდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან მონაწილეობდნენ სომხეთში ჩვენი პროექტის ფარგლებში ორგანიზებულ საგანმანათლებლო ვიზიტში. ვინაიდან სომხეთი მესამე ქვეყანა იყო, რომელსაც სტუმრობდნენ, მეტი იყო შედარებითი ანალიზის გაკეთების შესაძლებლობა, მსჯელობა მსგავსებებსა და განსხვავებებზე სხვადასხვა ქვეყანაში საპროექტო მუშაობის მხრივ.

ერთი კვირის განმავლობაში მონაწილეებმა მოინახულეს საინტეგრაციო მუშაობის აქტორები სომხეთის შემდეგ ქალაქებსა და რეგიონებში: ერევანი, ჭამბარაქი, ეჩმიადინი და გიუმრი. ამჟამად ყველა ეს ორგანიზაცია მუშაობს იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის პრობლემებზე, მიგრაციის პროცესებზე სომხეთში და კონფლიქტის დარეგულირებაზე. კერძოდ, საერთაშორისო პარტნიორობთან ერთად ისინი ახორციელებენ პროექტებს მთიანი ყარაბაღიდან 2016 წელს საომარი მოქმედებების გამო გამოქცეული ლტოლვილების და მრავალრიცხოვანი სომეხი სირიელების ინტეგრაციისთვის, რომლებიც გამორბიან სირიიდან და უპირატესად არიან ალექსო მკვიდრნი.

ყველა ეს თემა, აგრეთვე ამ პრობლემებზე რეაგირების სხვადასხვა სტრატეგია განიხილებოდა ჩვენი ვიზიტის მონაწილეების მიერ სომხეთში, შემდეგ 10 არასამთავრობო ორგანიზაციასთან: „სომხური კარიტასი“ (ერევანი), სომხეთის მცირე და საშუალო ბიზნესის გან-

ვითარების ცენტრი (ერევანი), სირიელ სომეხთა კავშირი (ერევანი), საქველმოქმედო ორგანიზაცია „ალეპო“ (ერევანი), „სომხეთის მისია“ (ერევანი), არწვანის ოკუპირებული თემი (ჭამბარაქი), სახაროვის სამართალდამცველი ცენტრი (გიუმრი), ცენტრი „ემილი არეგაკი“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის (გიუმრი), შვეიცარიის ჰუმანიტარული ფონდი „CASA“ (გიუმრი) და არასამთავრობო ორგანიზაცია „მრგვალი მაგიდა“ (ერმიაძინი). ამას გარდა, აქტივისტები გამოცდილებას და პროფესიულ მოსაზრებებს უზიარებდნენ დიასპორის სამინისტროს თანამშრომლებს და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელს სომხეთში.

ერევანში, დიასპორის სამინისტროში ვიზიტის მონაწილეებს წარუდგინეს ცნობები სომეხი სირიელების ეკონომიკური ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამების შესახებ. სახელმწიფო პროგრამების მიზანია ლტოლვილების დახმარება მცირე და საშუალო საწარმოების შექმნაში, ეძღვნება ამ ადამიანების პროფესიულ კვალიფიკაციას და სწავლებას, მიმართულია ლტოლვილ ქალთა საშინაო საქმიანობის წახალისებისკენ.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა წარმოადგინა საინტეგრაციო პროექტები და თავისი საკოორდინაციო ფუნქცია სომხეთის არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორთშორის თანამშრომლობისთვის. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელმა სომხეთში კრისტოფ ბირვირტმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხს შორის ინდივიდუალური დიალოგის მნიშვნელობას, აგრეთვე ადრინდელი ადამიანური ურთიერთობების დაბრუნებას რეგიონში სამშვიდობო პროცესისთვის.

საბოლოო ჯამში, საგანმანათლებლო ვიზიტის მონაწილეებმა აირჩიეს სამი ორგანიზაცია, რომელთა გამოცდილება მათ განსაკუთრებით ფასეულად და საინტერესოდ მიაჩნიათ – შვეიცარიის ჰუმანიტარული ფონდი „CASA“, სომხეთის მცირე და საშუალო ბიზნესის ეროვნული ცენტრი, სათვისტომოს საქველმოქმედო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ალეპო“.



„ბევრი რამ მომენონა სომხეთში:

როგორ ზრუნავს დიასპორის სამინისტრო თავისი თანამემამულეების უსაფრთხოებაზე, ორგანიზაცია „CASA“-ს მუშაობა ახალგაზრდობასთან, სოციალური მენარმოების დახერგვა, ტურისტული გაცვლები და პროგრამები, კოორდინაცია იგპ-თა და ლტოლვილთა საკითხებზე მომუშავე ყველა ორგანიზაციასთან, მათი ეფექტური თანამშრომლობა.“

(პროექტის უკრაინის ჯგუფის მონაწილეთა ანგარიშებიდან)

„ძალიან კარგია სოციალური საწარმოების გამოცდილება, მსგავსი რამ ჩვენთანაცაა, მაგრამ იქ უფრო საინტერესოა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ახალგაზრდობას ასწავლიან სუვენიერების დამზადებას, ხალხურ რენვას. ეს აქტუალურია ტურიზმის განვითარებისთვის. უბრალო ქვებისგან ფულს აკეთებენ, შემოსავალს იღებენ, ვითარდებიან... ბევრი რამ მომენონა: იძულებით გადაადგილებული და ადგილობრივი ოჯახების საერთო ბიზნესი; ადგილობრივი თემის ყველა სტრუქტურასა და პროგრამაში იგპ-თა ჩართვა; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების და ხანდაზმულების სოციალური ინტეგრაცია, დღის ცენტრები; ყურადღების გამახვილება ახალგაზრდების განათლებასა და მოხალისეობის განვითარებაზე; დამწყები და წარმატებული ბიზნესმენების საინვესტიციო ზონის შექმნა; მენარმე ქალთა საბჭო...“

(პროექტის უკრაინის ჯგუფის მონაწილეთა ანგარიშებიდან)

სომხეთში იგპ-თა და
ლტოლვილთა ინტეგრაციის
წარმატებული მაგალითები

შვეიცარიის ჰუმანიტარული ფონდი CASA

სომხეთი, ქ. გიუმრი

შაუმიანის ქ. 69

+374 312 5 65 28; 10 58 40 32

kasa.gumri@kasa.am, kasaam@kasa.am

kasa.am

დირექტორი: ანაიტ მინასიანი



მისია

მნიშვნელობა მიენიჭოს მოქალაქეთა ღია და დამოუკიდებელ საზოგადოებას, რომელმაც ითავა როლი მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის სწრაფად ცვალებად თანამედროვე სამყაროში

ღირებულებები

- პიროვნების განვითარების ხელშეწყობა (პერსონალიზმი)
- მხარდაჭერა მის პროფესიულ და სამოქალაქო განათლებაში
- ერთიანი ეკონომიკის - როგორც კოლექტივიზმსა და ინდივიდუალიზმს შორის მესამე გზის - განვითარების ხელშეწყობა

საქმიანობის პრიორიტეტები

- გაჭირვებულების დახმარება
- განათლების წახალისება, ერთდროულად ცოდნის, უნარ-ჩვევების და აზროვნების განვითარებით
- სამოქალაქო და ეკოლოგიური ცნობიერების და სოლიდარობის გამოვლენის გაფართოება

- ქალთა პროგრესის წინსვლა
- კულტურათშორისი დიალოგის წახალისება
- ფრანგული და ფრანგულენოვანი კულტურის და ფასეულობების გავრცელება
- რეალობასთან და მოსახლეობასთან პირდაპირ დაკავშირებული ინდივიდუალური და ალტერნატიული ტურიზმი

საქმიანობის მიმართულებები

- ჰუმანიტარული
- სამშენებლო
- განათლება
- სოფლის მეურნეობა
- ტურიზმი

საქმიანობის მეთოდები

- ინიციატივის მასტიმულირებელი მოქნილი მიდგომების წახალისება
- იერარქიისა და ერთობლივი მართვის გამაერთიანებელი სტრუქტურების შექმნა
- ლოიალობისა და კრეატიულობის მოქნილი გაერთიანება, ინოვაციების მხარდაჭერა და წინ წაწევა

გადაადგილებულთა ინტეგრაცია ხორციელდება გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან ერთობლივად სამი მიმართულებით:

- სოციალური – გადაადგილებულთა ოჯახების ჩართვის მხარდაჭერა ადგილობრივი მოხალისეების დახმარებით
- კულტურული – ღონისძიებები სახელმწიფო არაკომერციულ ორგანიზაციებში „სპეციალური საერთო საცხოვრებელი“
- ეკონომიკური – პროფესიული მომზადება სათანადო პარტნიორებთან ერთად.

წარმატებული პრაქტიკა

ერთმანეთის გასაცნობად საკმარისი არ არის გვერდიგვერდ ცხოვრება. ეს იდეა, როგორც წესი, სამართლიანად ჟღერს სირიის კრიზისის შედეგად სირიელი სომხების და ადგილობრივი სომხების ურთიერთობების აღწერის შემთხვევაშიც, რადგანაც ორივენი საკმაოდ ბევრნი არიან, ხშირად არ გამოდიან თავიანთი „კომფორტული“ ჯგუფიდან და სინამდვილეში აღიარებენ ერთმანეთს.

მუშაობა ახალგაზრდობასთან

ასეთმა დაკვირვებამ და იმ შესაძლებლობის გაცნობიერებამ, რომ ცვლილებების მიღწევა შეიძლება ახალგაზრდების მეშვეობით, წარმოშვა ახალი ახალგაზრდული ინიციატივა - ერევნისა და ალექსოტრანსეროვნული კლუბი, რომელიც მიმართულია სირიელ სომხებსა და ადგილობრივ სომხებს შორის დიალოგის ხელშეწყობისაკენ. ამან სირიელ სომხებს, უმთავრესად კლუბის «YMCA Armenia» წევრებს, მისცა საშუალება, გაცნობოდნენ და დაეკმაყოფილებინათ ადგილობრივი სომხების საჭიროებები და სურვილი, ეფიქრათ მათ ფორმატზე. ამგვარად, პროგრამამ შესთავაზა პლატფორმა სხვადასხვა აღმოჩე-



ნისთვის - დისკუსიები, კორპორატიული საღამოები, კინორგენებები, დღესასწაულები, კამპანიები, თემატური ღონისძიებები და სხვ. საპროექტო გუნდი შედგებოდა 20 ძირითადი მონაწილისგან (10 სირიელი და 10 ადგილობრივი სომეხი).

ადგილობრივი და სირიელი ახალგაზრდობა ხშირად ურთიერთობს ერთმანეთთან, განსაკუთრებით ერთსა და იმავე სკოლებში სიარულის დროს. მაგრამ სინამდვილეში იცნობენ ისინი ერთმანეთს? ჩვენმა დაკვირვებამ ახალგაზრდობის ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში დაგვანახა, რომ საშუალო განათლება არ უწყობს ხელს ამ ორი ჯგუფის მოზარდებს შორის ინფორმაციის გაცვლას. სხვათა შორის, სირიელ სომხებში ძალიან პოპულარულია ბანაკები.

„ეკონომიკური შესაძლებლობების კვირეული“

ფონდი CASA მონაწილეობდა ეკონომიკურ ასამბლეაში „ეკონომიკური შესაძლებლობების კვირეული“ სირიელი სომხებისთვის.

საერთაშორისო თანამშრომლობის გერმანულმა სააგენტომ (GIZ) 2015 წლიდან დაიწყო განხორციელება პროექტისა „სირიელი სომხების ეკონომიკური ინტეგრაცია სომხეთში“. მის ფარგლებში ერევანში 19-22 მაისს გაიმართა ფორუმი „ეკონომიკური შესაძლებლობების კვირეული“. მან ერთ ჭერქვეშ შეკრიბა სირიელი სომხები, რომლებიც სომხეთში ეკონომიკურ საქმიანობას ეწევიან, აგრეთვე სირიიდან სომხეთში გადაადგილებულთა წარმომადგენლები, მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მხარდამჭერები იმ სამიზნე ჯგუფისა, რომელიც ცდილობს საკუთარი ბიზნეს პროგრამის დაწყებას, ან სამსახურის პოვნას.

მათ შორის ფორუმში მონაწილეობა მიიღო ფონდმა CASA-მ. კონფერენცია, ტრენინგები, სირიელი სომხების მიერ წარმოდგენილი პროდუქტებისა და მომსახურების გამოფენა - ყოველივე ამან სირიელ სომხებს შესაძლებლობა მისცა, ჩაერთოთ და გაემყარებინათ თავიანთი შესაძლებლობები იმ დახმარების პროგრამების გასაცნობად, რომლებიც ხელმისაწვდომია გადაადგილებულთათვის.

თანამშრომლობა გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან

როგორც გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის პარტნიორი, ფონდი CASA ხელს უწყობს არა მხოლოდ გადაადგილებულთა სოციალურ-კულტურულ ინტეგრაციას, არამედ მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას პროფესიული განათლების მეშვეობით. მათი გამოცდილება და მოსაზრებები ამ სფეროში წარმოადგენს ფონდის მოვალეობას: ლტოლვილთა განათლების და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების პროგრამის, კონფერენციასა და სწავლებაზე პასუხისმგებლობის მქონე გუნდის, აგრეთვე გამოფენის დამთვალიერებლების მეშვეობით.



„ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა CASA-მ, შვეიცარიის ორგანიზაციამ, რომელმაც განახორციელა 70 პროექტი სხვადასხვა სფეროში: მუშაობა სკოლებთან; პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება ახალგაზრდებში; ენების შესწავლა; მუშაობა მონყვლად ოჯახებთან, იკპ-თან; მოხალისებრივი პროგრამა; ფსიქოლოგიური მხარდაჭერა; რეპროდუქტიული ჯანმრთელობა; ტურიზმის განვითარება.“

(პროექტის საქართველოს ჯგუფის მონაწილეთა ანგარიშებიდან)

სომხეთის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ეროვნული ცენტრი

სომხეთი, 0010, ქ. ერევანი
მგერ მკრტიჩიანის ქ. 5ა
+374 12 54 16 48
56 37 14, 58 32 61
+374 10 23 71 02
+374 12 54 16 42
info@smednc.am
smednc.am/en

აღმასრულებელი დირექტორი: ლევონ მნაცაკანიანი



სომხეთის მცირე და საშუალო ბიზნესის ეროვნული ცენტრი შეიქმნა სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით პროგრამის - მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა - ფარგლებში 2002 წელს და წარმოადგენს ძირითად ინსტიტუტს, რომელიც სომხეთში ახდენს სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზებას და მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის განვითარებას.

სომხეთის მცირე და საშუალო ბიზნესის ეროვნული ცენტრი საქმიანობას ახორციელებს ერევნის ცენტრალური ოფისიდან, აგრეთვე სომხეთის ყველა რეგიონში შექმნილი ფილიალებისა და წარმომადგენლობების მეშვეობით. შედეგად - ათასობით მცირე და საშუალო საწარმოს აქვს სამეწარმეო საქმიანობის ინიცირების, სრულყოფის და გაფართოების შესაძლებლობა.

ეროვნული ცენტრის მიერ რეალიზებული პროგრამები, კერძოდ, ემსახურება: მცირე და საშუალო ბიზნესის ეფექტურობის და კონკურენტუნარიანობის გაზრდას შიგა და გარე ბაზრებზე; ბიზნეს მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას მცირე და საშუალო ბიზნესისთვის; მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობების გაფართოებას; ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას მცირე და საშუალო მეწარმეობაში; დამწყები მცირე და საშუალო მეწარმეების დახმარებას; მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის წახალისებას; დიალოგის უზრუნველყოფას სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის.

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ყოველწლიური პროგრამის ფარგლებში სომხეთის მცირე და საშუალო ბიზნესის ეროვნული ცენტრი ახორციელებს ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის პროგრამებს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: საინფორმაციო-საკონსულტაციო მხარდაჭერა; მცირე და საშუალო ბიზნესის ქვეგანაყოფების სწავლების მხარდაჭერა; დამწყები მეწარმეების საქმიანობის მხარდაჭერა; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება; ცალკეული სფეროს საწარმოების მხარდაჭერა; ქალთა მეწარმეობის მხარდაჭერა; საკრედიტო გარანტიები არსებული მცირე და საშუალო ბიზნესისთვის; საკრედიტო გარანტიები დამწყები მეწარმეებისთვის; ბიზნეს ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

მისია

იყოს მცირე და საშუალო ბიზნესის ორიენტირი სომხეთში - კომპლექსური და მიზანმიმართული მხარდაჭერის შეთავაზებით

ღირებულებები

- გამჭვირვალობა
- ხელმისაწვდომობა
- პროფესიონალიზმი
- ინიციატივა
- გუნდური მუშაობა

წარმატებული პრაქტიკა

2012 წლიდან დაწყებული, სომხეთის მცირე და საშუალო ბიზნესის ეროვნული ცენტრი მრავალფეროვან და მრავალნაზხაგოვან მხარდაჭერას უწევს თანამემამულეებს, რომლებიც სირიის ომს გამოექცნენ და ახალი საწარმოების შექმნა სურთ სომხეთში. სირიელ სომხეთში შემოსვლამ სომხური ბაზრის საქმიან გარემოში ახალი სუნთქვა მოიტანა. ჩვენმა თანამემამულეებმა სირიიდან ბიზნესის ახალი კულტურა შემოიტანეს სამშობლოში და ახალი ტრადიციები დაამკვიდრეს.

სომხეთში საკუთარი ბიზნესის დაწყების მიზნით სირიელ მენარმეთა მხარდაჭერის ფარგლებში, მცირე და საშუალო ბიზნესის ეროვნულმა ცენტრმა გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან თანამშრომლობით განახორციელა სხვადასხვა სახის საქმიანობა - საინფორმაციო, სასწავლო და საკონსულტაციო.

იმისთვის, რომ სომხეთში საკუთარი ბიზნესი წამოიწყონ, სირიელმა სომხებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტში „დაწყებითი ბიზნესის სამენარმეო მხარდაჭერა“. პროექტში მონაწილეობით დამწყებმა მენარმეებმა შეიძინეს ბიზნესის დაგეგმვის, მარკეტინგის, მენეჯმენტის, ფინანსების წარმოების და დაგეგმვის, ბიზნესის წარმართვის უნარ-ჩვევები. გამოცდილი სპეციალისტები საკონსულტაციო მხარდაჭერას უწევდნენ საკუთარი ბიზნეს გეგმების შემუშავებაში. საუკეთესო და ყველაზე რეალისტური გეგმა ფინანსურ მხარდაჭერას იღებდა.

კრედიტი გაიცემოდა შემდეგი პირობებით:

- მაქსიმუმ ხუთი მილიონი დრამი;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი 4%;
- კრედიტის დაფარვის მაქსიმალური ვადა - ხუთი წელი;
- სომხეთის მცირე და საშუალო ბიზნესის ეროვნული ცენტრის გარანტია (100%).

მხარდაჭერილი ბენეფიციარები, ძირითადად, მუშაობდნენ ავტომობილების მომსახურების სფეროში. დაკავებულები იყვნენ საიუველირო ნაწარმით, კერვით, მანქანების ინსტრუმენტებით და სხვა ბიზნესით, რომელთა 80% ერევანშია, დანარჩენი ნაწილი კი - სომხეთის რეგიონებში.

საინფორმაციო, საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ღონისძიებები

სომხეთის მცირე და საშუალო ბიზნესის ეროვნული ცენტრი რეგულარულად ატარებს საინფორმაციო, საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ღონისძიებებს:

- საქმიანი შეხვედრები სომეხი და სირიელი სომეხი ბიზნესმენების (რომლებიც მუშაობენ მსუბუქ მრეწველობაში, პლასტმასის ნაწარმის წარმოებაში, სატვირთო გადაზიდვაში, ავტოსერვისში, საზოგადოებრივ კვებაში) და ბიზნესის მხარდამჭერი სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციის მონაწილეობით;
- სატრენინგო-საკონსულტაციო შეხვედრები სომხეთის თავისუფალი ეკონომიკის ზონაში („მარსი“ და „მერიდიანი“) საქმიანობის შესაძლებლობების გაცნობის მიზნით;
- სასწავლო და საინფორმაციო სემინარები სომხეთის რესპუბლიკის საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის, მათში ცვლილებების შესახებ;
- სასწავლო სემინარები სირიელი სომეხი ბიზნესმენებისთვის სომხეთში სამენარმეო საქმიანობის განხორციელებისას წარმოქმნილ პრობლემებზე მსჯელობისა და მოგვარების, აგრეთვე გაყიდვების ბაზრის, უძრავი ქონების ყიდვა/დაქირავების, ნედლეულის და აღჭურვილობის ყიდვა/იმპორტის კუთხით;
- რეგულარულად ორგანიზებული ტრენინგები სირიელი სომეხი ბიზნესმენებისა და ლტოლვილებისთვის, რომელთა მიმდინარეობისას მონაწილეები ეცნობიან მარკეტინგს, მენეჯმენტს, ბიზნეს დაგეგმვას და სხვ.;
- ტრენინგები სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებზე, მცირე და საშუალო მენარმეების ურთიერთობებზე საზოგადოებასთან, როდესაც მონაწილეებისთვის წარმოდგენილი იყო სომხეთის რესპუბლიკის შესყიდვების პროცედურების რეგულირების და კოორდინაციის საკანონმდებლო ნორმები, PR კონცეფცია და ფუნქციები, საქონლის გატანა და მომსახურება PR ინსტრუმენტების დახმარებით;
- სწავლება/ბიზნეს თათბირი „სასურსათო ბიზნესის პრობლემები“, რომლის დროსაც მონაწილეებს წარედგინა საკვები პროდუქტების უსაფრთხოების მართვის თანამედროვე სისტემა (GMP/GHP, HACCP, Serve Safe).

„ისინი მუშაობენ დამწყებ მენარმეებთან, ბიზნესმენებთან.
მათ წარმატებას წარმოადგენს რეგიონული პროგრამების
რეალიზება. ორგანიზაციამ განახორციელა 10 რეგიონული
პროგრამა. აქ ბევრი რამ იყო საინტერესო: გამოფენა
ბიზნესმენტა მხარდასაჭერად; საგანმანათლებლო-საინფორმაციო
საქმიანობა; ლტოლვილთა ინტეგრაცია ბიზნესის
განვითარებით“.

(პროექტის რუსეთის ჯგუფის მონაწილეთა ანგარიშებიდან)



სათვისტომოს საქველმოქმედო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ალეპო“

სომხეთი, ქ. ერევანი
ჩრდილოეთის გამზირი 11
+374 010 54 53 69
info@aleppo-ngo.org
aleppo-ngo.org
fb.com/aleppo1

თავმჯდომარე: ანი ბალხიანი



მუშაობის პრიორიტეტები

სათვისტომოს საქველმოქმედო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ალეპო“ 2013 წელს დააფუძნა და დაარეგისტრირა სომხეთში სირიელ სომეხ ქალთა კავშირმა, რომელიც სირიაში მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა პროფკავშირულ საქმიანობას ანი ბალხიანის ხელმძღვანელობით.

ორგანიზაცია, რომლის საქმიანობას საფუძვლად ქველმოქმედება უდევს, სირიის კონფლიქტის შემდეგ ჰუმანიტარულ დახმარებას სთავაზობს სომხეთში თავშესაფრის მაძიებელ სირიელ სომეხებს, შეიმუშავებს და ახორციელებს გრძელვადიან პროექტებს, თავისი წვლილი შეაქვს საზოგადოების სოციალურ-კულტურულ, სულიერ, ფიზიკურ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო განვითარებაში.

ამჟამად 1 850-მდე სირიელი სოციალურად გაჭირვებული ოჯახია (6 100-ზე მეტი სირიელი) დარეგისტრირებული „ალეპოში“ და ითვლება ორგანიზაციის ბენეფიციარად.

საქმიანობის სახეები

პერსონალისა და უამრავი მოხალისის ძალისხმევით კონსოლიდაციის და იმის წყალობით, რომ სწვრათ სპონსორების და პარტნიორების და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მხარდაჭერის, „ალეპო“:

- ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს 6 100-მდე სირიელ სომეხს;
- ფულად დახმარებას უწევს გაჭირვებაში მყოფი სირიელი სომეხების ოჯახებს საარსებო ხარჯების დაფარვისთვის;
- საცხოვრებელ ფართს სთავაზობს გაჭირვებაში მყოფი სირიელი სომეხების ოჯახებს;
- თვითმფრინავის ცალმხრივი ბილეთებით უზრუნველყო გაჭირვებაში მყოფი სირიელი სომეხები, რომლებმაც სომხეთში ჩამოსვლისთვის „ალეპოს“ მიმართეს;
- უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სირიელი სომეხების ყოველდღიურ უფასო ინკლუზიურ განათლებას;
- ახორციელებს ეკონომიკური და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებს, ქმნის შესაძლებლობებს დასაქმების სფეროში განსაკუთრებით მოწყვლადი სირიელი სომეხებისთვის, კერძოდ, ქალებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის;
- უფასო სოციალურ-ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას სთავაზობს ასობით სირიელ სომეხს;
- კონსულტირებას უწევს სირიელ სომეხებს და ხელს უწყობს მათ ჩართვას სამოქალაქო ცხოვრებაში;
- აწყობს ტრენინგებს და მეცადინეობებს სირიელი სომეხი ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის.

წარმატებული პრაქტიკა

2015 წლიდან „ალეპო“ სოციალურ-ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას უწევს პირებს, რომელთაც სირიის კონფლიქტის შედეგად დაკარგეს ახლობლები და განიცადეს მატერიალური ზარალი.

იმის გაცნობიერებით, რომ ჰუმანიტარული დახმარების ძირითადი ასპექტი სოციალურ-ფსიქოლოგიური კომპონენტებია, „ალეპო“ სულიერი და მორალური თვისებების შენარჩუნებაში ეხმარება კონფლიქტგამოვლილ, რთულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს და ასე უზრუნველყოფს მათ სოციალურ-ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას.

სოციალურ-ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას სირიელი სომხები პარასკეობით იღებენ „ალეპოს“ ოფისში. შეხვედრების ყურადღების ცენტრშია - ომისგან დაზარალებული მოსახლეობის წინააღმდეგობის განვითარება, აღდგენის და შემდგომი განვითარების შესაძლებლობის აღიარება. შეხვედრებში მონაწილეობენ მღვდლები, ფსიქოლოგები, ექსპერტები.



2015 წლიდან დღემდე ამ პროგრამაში მონაწილეობდა 300-ზე მეტი სირიელი სომეხი. ადამიანებს, რომლებმაც სირიის კონფლიქტი გამოიარეს, პროგრამამ ხელი შეუწყო ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციასა და სოციალურ ინტეგრაციაში. ამ პროგრამის დახმარებით ბევრ სირიელ სომეხს გაუადვილდა სომხეთის სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირება. თავიანთი საზრუნავის გაზიარებით, საფრთხეებსა და პრობლემებზე საუბრით, პროგრამის მონაწილეებისთვის შესაძლებელი ხდება თავიანთი ადგილისა და როლის პოვნა ახალ საზოგადოებაში.

მაგალითად, ქალი, რომელიც კონფლიქტის შედეგად სირიიდან სომხეთში გადავიდა, ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას საჭიროებდა. „ალეპოს“ მიერ ორგანიზებულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ შეხვედრებში მონაწილეობით მან დაძლია სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემები, ნაბიჯი გადადგა სამოქალაქო ცხოვრებაში თვითრეალიზაციისკენ და მცირე ბიზნესი შექმნა. ახლა ყველის წარმოებით და გაყიდვითაა დაკავებული და კლიენტების დიდი რაოდენობა ჰყავს.

„ალეპოს“ სოციალურ-ფსიქოლოგიური პროგრამის ფარგლებში მონაწილეები ხვდებიან სხვადასხვა სპიკერს, იძენენ ახალ ცოდნას ცხოვრების ჯანსაღი წესის და ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის საკითხებზე. ასეთი შეხვედრები ხელს უწყობს კონფლიქტგამოვლილი სირიელი სომხების სოციალურ-კულტურულ, სულიერ, ფიზიკურ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო განვითარებას.

„სომხეთში გამოყენებული ყველა პრაქტიკა და სტრატეგია
დღემდე კარგად მუშაობს იგპ-თა და მიგრანტთა ჩართვის კუთხით.
ჩვენ მოგვეჩვენა, რომ სომხეთში თვითინტეგრაცია უკეთ
მიმდინარეობს, ვიდრე სხვა ქვეყნებში. სომხეთში დონორიც ბევრია
და სომხური დიასპორაც ფინანსურ და სხვა სახის დახმარებას
ენევა იგპ-თა და მიგრანტთა პრობლემების მოგვარებაში“.

(პროექტის რუსეთის ჯგუფის მონაწილეთა ანგარიშებიდან)



იგპ-თა და
ლტოლვილთა
ინტეგრაციის
ჩრდილოეთკავკასიური
გამოცდილება, რუსეთი

სიტუაციის მოკლე ანალიზი იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის მხრივ ჩრდილოეთ კავკასიაში, რუსეთი

ჩეჩნეთის რესპუბლიკის მცხოვრებნი, რომელთაც 1995–1999 წლებში ორი სამხედრო კამპანიის შედეგად დატოვეს თავიანთი სახლები, ალბათ ჯერაც ყველაზე დიდ კატეგორიას წარმოადგენენ რუსეთის ფედერაციის შიგნით გადაადგილებულ მოქალაქეთა შორის.

ციფრები დღემდე განსხვავებულია ერთმანეთისგან. სხვადასხვა ორგანიზაციის აღრიცხვით, ჩრდილოეთ კავკასიაში ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა არის 150-დან 600 ათასამდე. მათი თითქმის 70% ქალი და ბავშვია. იგპ-თა დიდი ნაწილი მოაწყდა 1999 წლის შემოდგომაზე, ჩეჩნეთში სამხედრო ოპერაციის მეორე ეტაპის დაწყების შემდეგ. უამრავი მოქალაქე იძულებული გახდა, მიეტოვებინა სახლ-კარი და ჩეჩნეთის მოსაზღვრე რესპუბლიკებში ეპოვა თავშესაფარი.

იგპ-თა დიდი ნაწილი ინგუშეთში მიიღო. მათ ასახლებდნენ კარვების ბანაკებსა და ე. წ. კომპაქტური დასახლების ცენტრებში. ფედერალური ცენტრისა და რესპუბლიკის მთავრობის შეთანხმებით, იგპ-თა პრობლემების (საცხოვრებლის, სურსათის, სამედიცინო და არასასურსათო დახმარების კუთხით) მოგვარებაში ოპერატიულად ჩაერთნენ საერთაშორისო და რუსეთის არასამთავრობო ორგანიზაციები.

ძირითადად, მუშაობა აიგო შემდეგი მიმართულებებით:

- იგპ-თან დაკავშირებული სიტუაციის მონიტორინგი ინგუშეთში;
- ფიზიკურად დაზარალებულთათვის ექსტრენული სამედიცინო დახმარების გაწევა;
- სხვადასხვა სახის ჰუმანიტარული დახმარების შეთავაზება;
- გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა ორგანიზება გაუკეთა არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს, რათა მომხდარიყო საქმიანობის კოორდინირება და დაგეგმვა იგპ-თა საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის;

- გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის აღმასრულებელი პარტნიორები ინგუშეთში, შემდეგ კი ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ხსნიდნენ უფასო იურიდიული კონსულტაციების ოფისებს, სამართლებრივი დახმარების ცენტრებს, სოციალური მხარდაჭერის ცენტრებს;
- იგპ-თან დაკავშირებული სიტუაციის მონიტორინგი ჩეჩნეთის რესპუბლიკაში და სხვა.

უფრო დაწვრილებით იმდროინდელ სიტუაციას შეგიძლიათ გაეცნოთ 2009 წლის 16 ივნისის სტატიაში „ჩრდილოეთ კავკასიაში იგპ-თა დაბრუნების და რეინტეგრაციის პრობლემები“.

როდესაც 2004–2005 წლებში ჩეჩნეთის რესპუბლიკაში დაიწყო მოქალაქეთა დაბრუნების პროცესი, არაკომერციული ორგანიზაციები მათ მხარდაჭერას უწევდნენ სოციალურ და ეკონომიკურ რეინტეგრაციაში, ვინაიდან წლების მერე დაბრუნებულები დაბნეულები იყვნენ, არ სჯეროდათ მომავლის, არ ჰქონდათ საცხოვრებლის, სამსახურის იმედი. არაკომერციული ორგანიზაციები ეხმარებოდნენ სახელმწიფო მხარდაჭერის მიღებისთვის აუცილებელი საბუთების აღდგენაში, ხელს უწყობდნენ სკოლასა თუ საბავშვო ბაღში ბავშვების მოწყობაში, საჭირო სამედიცინო დახმარების მიღების მიზნით არეგისტრირებდნენ პოლიკლინიკასთან. ასევე დახმარებას უწევდნენ მცირე ბიზნესის გახსნაში ან საჭირო პროფესიული განათლების მიღებაში, რათა შემოსავალი გასჩენოდათ.

ჩრდილოეთ კავკასიაში 15 წელზე მეტ ხანს მუშაობის შედეგად არაკომერციული ორგანიზაციები კარგად ერკვევიან ჰუმანიტარულ სიტუაციაში, ჰყავთ პროფესიონალ მონიტორთა და სპეციალისტთა შტატი იგპ-თა ინტეგრაციის სფეროში კვლევის ჩატარებისთვის. თუმცა ახლა მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ატარებს ჰუმანიტარულ და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის მიმოხილვას მთავრობებისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფართო საზოგადოებისთვის. ასე, მაგალითად, ორგანიზაცია „ვესტა“, რომელმაც მუშაობა დაიწყო ინგუშეთის რესპუბლიკაში, პირველი ლტოლვილების ჩამოსვლისთანავე, 1999 წლიდან, კვლევებს ატარებს ასეთ თემებზე:

- სიტუაცია იგპ-თან დაკავშირებით ინგუშეთის რესპუბლიკაში, დაღესტნის რესპუბლიკაში და ჩეჩნეთის რესპუბლიკაში;
- სიტუაცია ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკიდან-ალანიიდან ინგუშეთის რესპუბლიკაში იძულებით გადაადგილებულ ადამიანებთან დაკავშირებით;
- სიტუაცია დამბრუნებული მოქალაქეებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის ზომების ხელმისაწვდომობის თაობაზე;
- მონყვლადი მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

არაკომერციული ორგანიზაციების სხვა გამოცდილი სპეციალისტები სამუშაოზე მოენწყვნენ სახელმწიფო სამიგრაციო სამსახურებში, საგანგებო სიტუაციების სამინისტროში, სარეაბილიტაციო ცენტრებში.

ამჟამად სიტუაცია დასტაბილურდა, მაგრამ მოუგვარებელი რჩება ზოგიერთი ეთნიკური კონფლიქტი, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლამდე იჩინა თავი - ეს კი ხელს უწყობს დაძაბულობის შენარჩუნებას.

დღეს აქტუალურია პრობლემები საინტეგრაციო საქმიანობის სფეროში, ეს უმეტესად არის მუშაობა მიგრანტებთან, დაბრუნებულ ლტოლვილებთან და იგპ-თან. იზრდება უზბეკეთიდან, ტაჯიკეთიდან, აზერბაიჯანიდან მიგრანტთა ნაკადი და ეს ნამდვილი გამოწვევაა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისთვის, ვინაიდან შეუძლებელია ადაპტაციისა და ინტეგრაციის უზრუნველყოფა ინტეგრაციის პოლიტიკის შეზღუდვის გამო. მიგრანტებს არა აქვთ სოციალური დაცვის უფლება, ხელი არ მიუწვდებათ ჯანდაცვასა და მართლმსაჯულებაზე, სამართლებრივ დაცვასა და განსაკუთრებით - შრომის ღირსეულ ანაზღაურებაზე. გამოდის, რომ საზოგადოება უარყოფს მიგრანტებს და ისინიც, თავის მხრივ, არ ცდილობენ კომუნიკაციას, იკეტებიან და არ ინტეგრირდებიან, რჩებიან თავიანთ შეზღუდულ თემში. ინტეგრაციის პოლიტიკა არ არის მიმართული მიგრანტთა ადაპტაციისკენ, მათი კულტურული იდენტურობის მიღებისა და შენარჩუნებისკენ და ის რეფორმირებას საჭიროებს. არაკომერციული ორგანიზაციების სპეციალისტები ცდილობენ, გადაჭრან ეს

საკითხები სხვადასხვა პროექტის მეშვეობით, რომლებიც მიმართულია პირობების შექმნისკენ მიგრანტთა, დამბრუნებულ ლტოლვილთა და იგპ-თა ადაპტაციისთვის. იქმნება და ტარდება რუსული და ჩეჩნური ენების შესწავლის პროგრამები. 15-18 წლის ახალგაზრდებისთვის იმართება საუბრები და ლექციები პროფესიის არჩევის მიზნით. ზრდასრულთათვის არის ბიზნეს გეგმის დაწერის საშინაო კურსები, ძირითადად, ქალებისთვის, ფსიქოლოგის ინდივიდუალური დახმარება, ჯგუფური სარეაბილიტაციო პროგრამები, იურისტისა და ადვოკატის დახმარება, სოციალური მხარდაჭერა სახელისუფლებო ორგანოებსა და სტრუქტურებში მიგრანტთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ან საბუთების შეგროვებისთვის ბინადრობის უფლების მისაღებად.

რასაკვირველია, ამ პროექტებზე მხოლოდ ერთი არაკომერციული ორგანიზაცია არ მუშაობს, არამედ მოქმედებს ორგანიზაციებს შორის გადამისამართების სისტემა.

ინნა აირაპეტიანი

*ჩრდილოეთ კავკასიის ჯგუფის კოორდინატორი
სავანმანათლებლო ვიზიტებში*

ჩრდილოეთ კავკასიის არაკომერციული ორგანიზაციების საინტეგრაციო მუშაობის წარმოდგენა

უკრაინაში, საქართველოსა და სომხეთში გამართულ საგანმანათლებლო ვიზიტებში აქტიურად მონაწილეობდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ხუთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები. მაგრამ მონაწილეთა ქვეყნებს შორის აქტუალური პრობლემური ურთიერთობების გამო ჩრდილოეთ კავკასიაში ასეთი ვიზიტი არ დაგეგმილა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა ამ რეგიონის წარმომადგენელ კოლეგებს შორის ინფორმაციის გაცვლა, რაც შესაძლებელი გახდა უკრაინაში, სომხეთსა და საქართველოში სამი ვიზიტის დროს გამართული შეხვედრების დროს. მთელი პროგრამის განმავლობაში ჩატარდა ჩრდილოეთ კავკასიის ჯგუფის რამდენიმე პრეზენტაცია მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილებაზე ლტოლვილთა და იგპ-თა ინტეგრაციის სფეროში. აქტივისტებმა ისაუბრეს იგპ-თან, ლტოლვილებთან და დაბრუნებულებთან დაკავშირებულ ვითარებაზე და წარმოადგინეს თავიანთი მიდგომები და წარმატებები საინტეგრაციო საქმიანობაში. ყველასთვის შთამბეჭდავი იყო ინფორმაცია ინტენსიურ მუშაობაზე ფსიქორეაბილიტაციის კუთხით, მუშაობა ტრავმასთან, რომელსაც იგპ-თან ეწეოდნენ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომების შემდეგ, თავიდან ინგუშეთის კარგების ქალაქებში და მერე - ჩეჩნეთში დაბრუნების დროს. ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ეს მოვლენები მოხდა 10 წელზე მეტი ხნის წინათ. შესაბამისად, ჩრდილოეთ კავკასიის აქტივისტებს გააჩნიათ მრავალწლიანი გამოცდილება, რომელსაც მუდმივად აანალიზებენ და პროფესიულად აცნობიერებენ, როგორი მიდგომები და მეთოდები იძლევა კარგ შედეგებს და რომელი - არა. ამ ცოდნის გაზიარებით სხვა ქვეყნის აქტივისტები (როგორც თვითონ უსვამდნენ ხაზს) დიდ სარგებელს იღებდნენ.

შემდეგ ნაწილში წარმოდგენილია ვიზიტის მონაწილე სამი ორგანიზაციის გამოცდილება და წარმატებული პრაქტიკა.

„ჩრდილოეთ კავკასიის გამოცდილებამ სიახლე შემოიტანა ჩვენს პროგრამაში ფსიქორეაბილიტაციის, არტთერაპიის, ტრავმა თერაპიის ფორმით. ჩვენი მუშაობის გაძლიერების მიზნით ვგეგმავთ ჩეჩენი კოლეგების გამოცდილების დანერგვას ჩვენს ორგანიზაციაში“.

(პროექტის საქართველოს ჯგუფის მონაწილეთა ანგარიშებიდან)

ჩრდილოეთ კავკასიაში
ლტოლვილთა და იგპ-თა
ინტეგრაციის წარმატებული
მაგალითები

ჩეჩნეთის რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაცია - სარესურსო სოციალურ- ფსიქოლოგიური ცენტრი „სინთემი“

რუსეთი, 364000, ჩეჩნეთის რესპუბლიკა
ქ. გროზნო, მაიაკოვსკის ქ. 86ა, ბინა 7
8 938 893 74 51
sintem_org@mail.ru

თავმჯდომარე: ინნა აირაპეტიანი



ძირითადი მიზანი

ფართო სპექტრის ფსიქოსოციალური დახმარების გაწევა სხვადასხვა კონფლიქტისა და ეკოლოგიური კატასტროფის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის

საემიანობის ძირითადი სახეები

- სოციალურ-ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია
- საგანმანათლებლო
- უფლებადამცველი
- სამშვიდობო

ორგანიზაციის შესახებ დანვრილებით იხ. გვ. 78-79

წარმატებული პრაქტიკა

ერთ-ერთ წარმატებულ საინტეგრაციო პრაქტიკად მივიჩნევთ პროექტს „დაბრუნება“, რომელსაც სარესურსო სოციალურ-ფსიქოლოგიური ცენტრი „სინთემი“ ახორციელებს კარიტას მოსკოვთან და ევროპულ პარტნიორებთან (ბელგიიდან, ავსტრიიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან) ერთად. პროექტის ფარგლებში ხდება იმ ადამიანთა დაბრუნება, რომლებმაც, 1995 წლიდან მოყოლებული, როცა ლტოლვილები გახდნენ, ბევრი სიძნელე გამოიარეს, დანაკარგი განიცადეს, ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიის მეზობელ რესპუბლიკებში, კარვების ბანაკებსა და დროებითი განსახლების პუნქტებში, შემდეგ კი, სხვადასხვა მიზეზის გამო, გაემგზავრნენ ქვეყნის ფარგლებს გარეთ და ახლა ისევ შინ ბრუნდებიან.

ადამიანები, რომელთაც 10 წელზე მეტი ხანი იცხოვრეს ევროპაში, ძნელად ინტეგრირდებიან. მათი ბავშვები არც ისე კარგად ლაპარაკობენ მშობლიურ და რუსულ ენებზე, ეს განათლების პრობლემებს ქმნის სკოლაში, ისინი ჩამორჩებიან, კლასში რჩებიან მეორე წელს. ზრდასრულებს უჭირთ დასაქმება, რადგან ან არა აქვთ განათლება, შრომითი სტაჟი, ან არ გააჩნიათ პროფესიული უნარ-ჩვევები. ყველაზე ხშირად სახელმწიფო უწყებებში მისვლისას ექმნებოდათ ადამიანებს კონფლიქტები, რადგანაც ისინი მიჩვეულები იყვნენ წესრიგს, ყველა პროცედურის ერთბაშად შესრულებას, აქ კი ყველაფერი ჭიანჭურდებოდა, ხშირად ვერ პასუხობდნენ შეკითხვებზე, მომსახურების ხარისხიც არ შეესაბამებოდა მოლოდინს. ხშირად ადამიანები დეპრესიაში ვარდებოდნენ და ისევ ევროპაში დაბრუნების გზებს ეძებდნენ.

პარტნიორებთან ერთად შეიქმნა პროექტი „დაბრუნება“ - ჩვენი ორგანიზაცია დაბრუნებულთათვის შეხვედრის პირველ ადგილად იქცა. ევროპული ორგანიზაციები ყოველ ადამიანზე, ან ოჯახზე რიცხავენ გარკვეულ ბიუჯეტს, რაც შესაძლებლობას აძლევს ადამიანს, პირველ ხანებში კომფორტულად იგრძნოს თავი, შეიძინოს წამლები, პატარა ბიზნესიც კი ააწყოს. ადგილებზე სპეციალისტები ინფორმაციას აწვდიან თავიანთი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ, ვის მიმართონ დახმარებისთვის, უფლებების დარღვევის შემთხვევაში. გადასცემენ იმ მოქმედი არაკომერციული ორგანი-

ზაციების კონტაქტებს, სადაც შეუძლიათ უფასო ფსიქოლოგიური კონსულტაციის მიღება, მონაწილეობა საგანმანათლებლო პროექტებში, მასტერკლასებზე დასწრება, პროფესიული კომპეტენციის ამაღლება ან მიღება. ამასთან, სპეციალისტები ინფორმაციას აძლევენ მცირე ბიზნესის შექმნის შესაძლებლობებზე, ქალებისთვის უფრო ხშირად - საშინაო ბიზნესისა. გადასცემენ სახელმწიფო სოციალური სერვისების კონტაქტებს, უხსნიან, როგორ დადგენენ აღრიცხვაზე უმუშევრობის კუთხით, სად და როგორი შემწეობის მიღება შეიძლება. უფროსკლასელებისა და ახალგაზრდებისთვის, ვისაც უმაღლეს სასწავლებელში სურს ჩაბარება, ვაწყობთ პროფესიული ორიენტაციის ლექციებს, მალე გვექნება ჩეჩნური და რუსული ენების კურსები.

ჩვენი წარმატებაა – 100-ზე მეტი დაბრუნებული ოჯახი, რომელიც დღეს თავს კომფორტულად გრძნობს სახლში. ისინი წარმატებულები არიან, ავითარებენ თავიანთ ბიზნესს, სწავლობენ, ქმნიან ოჯახებს. და, რაც მნიშვნელოვანია, ჩვენ ვქმნით პირობებს მათი ინტეგრაციისთვის, ისინი კი ევროპული კულტურის ინტეგრირებას ახდენენ თავიანთი ქცევით, ურთიერთობის მანერით, მცირე ბიზნესის წარმოებით, ბიზნესში ურთიერთობების ეტიკეტით.

„ორგანიზაცია „სინთეზა“ დიდი, ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ივკ-სა და ლტოლვილებისთვის. გასაოცარია პროფესიული კომპეტენტურობა ტრავმასთან მუშაობაში, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, რომელიც ასობით ადამიანის მხარდასაჭერად ტარდებოდა. მათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება!“

(პროექტის საქართველოს ჯგუფის მონაწილეთა ანგარიშებიდან)

კავკასიური ინიციატივის ცენტრი

105062, რუსეთი, მოსკოვი
პოკროვკის ქ. 30
+798 548 74 78 0, 495 625 06 63
hadbad2012@gmail.com

საქმიანობის ძირითადი სახეები

სამოქალაქო საზოგადოების და სიტყვის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობის რეგიონთშორისი საზოგადოებრივი ორგანიზაცია „კავკასიური ინიციატივის ცენტრი“

- არის დამფუძნებელი და დამაარსებელი პირველი კავკასიური დამოუკიდებელი ჟურნალისა „დოში“, რომელიც 2003 წლიდან აშუქებს ვითარებას ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში და აქცენტს აკეთებს რეგიონში ადამიანის უფლებათა დარღვევებზე;
- ჩრდილოეთ კავკასიაში ატარებს სოციოლოგიურ კვლევებს: აქტუალურ საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა და მონიტორინგი;
- 2012 წლის აპრილში გროზნოში გახსნა რესურს ცენტრი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი სამოქალაქო აქტივისტებისთვის;
- 2012 წლის ივლისში პარტნიორ ორგანიზაციასთან - ქალთა სარესურსო ცენტრ „სინთემთან“ ერთად დაიწყო ჟურნალ „ქალის სიტყვის“ გამოცემა.

ორგანიზაციის შესახებ დანვრილებით იხ. გვ 76-77.

წარმატებული პრაქტიკა

პირველი კავკასიური დამოუკიდებელი ჟურნალი „დოში“ გამოიცემა 2003 წლის იანვრიდან. მკითხველს მოუთხრობს ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებში ადამიანის უფლებათა დარღვევებზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაზე, აქტუალურ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე, პრობლემებზე მედიცინის, განათლების, ეკოლოგიის სფეროებში. ამ არხით ადამიანები ეცნობოდნენ რეგიონის რეალურ სურათს.

ჟურნალი აშუქებდა ლტოლვილთა, მიგრანტთა და იგპ-თა ცხოვრებას, ამით თვალსაჩინო ხდიდა პრობლემას. თანაც, თემას ასახავდნენ როგორც ჩრდილოეთ კავკასიის, ასევე ევროპის და ცენტრალური რუსეთის ტერიტორიებზეც, სადაც ხშირად ჩადიდნენ ჟურნალისტური გამოძიებებით.

ჟურნალის ტირაჟია 5 000-10 000 ეგზემპლარი, გამოცემის ენები – რუსული და ინგლისური, ვრცელდება ჩრდილოეთ კავკასიაში, მოსკოვში, სანქტ-პეტერბურგში და სხვა ქალაქებში, სადაც კავკასიის დიასპორა ცხოვრობს, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებში: ნორვეგია, საფრანგეთი, ბელგია, ავსტრია, პოლონეთი, გერმანია, ფინეთი, შვედეთი და სხვა.

დაჯილდოებები

- 2009 წელს „დოში“ გახდა საერთაშორისო ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ პრემიის ლაურეატი, როგორც 2009 წლის საუკეთესო გამოცემა - „თავისუფალი სიტყვის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის“.
- 2010 წელს „დოშის“ მთავარი რედაქტორი ისრაპილ შოვხალოვი გახდა ლაურეატი გამომცემელთა საერთაშორისო ასოციაციის პრემიისა „ბექდვის თავისუფლებისთვის“.
- 2012 წელს ჟურნალი „დოში“ დაჯილდოვდა გერდა ბუცეროუსის სახელობის პრემიით „აღმოსავლეთ ევროპის თავისუფალი პრესა“, რომელსაც ანიჭებენ გერმანული ფონდი „ცაიტ შტიფტუნგი“ და ნორვეგიული ფონდი „თავისუფალი სიტყვა“.
- ანდრია სახაროვის სახელობის პრემიის დიპლომები „ჟურნალისტისთვის - როგორც ქმედებისთვის“ – 2005, 2007, 2009, 2011, 2013 და 2015 წლებში.

„ჟურნალ „დოშის“ და მისი დამატების „ქალის სიტყვის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები აქტუალურია და გრძელვადიანი ეფექტი აქვს, მათ ყურადღებას აქცევენ და მათზე რეაგირებას ახდენენ“.

(პროექტის სომხეთის ჯგუფის მონაწილეთა ანგარიშებიდან)

ჩენეთის რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ქალთა რესურს ცენტრი“

რუსეთი, ქ. გროზნო
ტროშევის ქ., სახლი 73, ბინა 6
+8 928 738 33 84



ჩენეთის რეგიონულმა საზოგადოებრივმა საქველმოქმედო ორგანიზაციამ „ქალთა რესურს ცენტრი“ 2006 წელს დაიწყო თავისი საქმიანობა ჩენეთის რესპუბლიკაში.

მისია

ორგანიზაციის მისიაა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება ჩენეთის რესპუბლიკაში სხვადასხვა გზით:

- საქველმოქმედო დახმარების გაწევა ქალებს, მშობლების ან ერთი მშობლის მეურვეობის გარეშე დარჩენილ ბავშვებს, მოსახლეობის სხვა სოციალურად დაუცველ კატეგორიებს;
- ხელშეწყობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისთვის საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში ქალთა და მოსახლეობის სხვა სოციალურად დაუცველი ფენების ჩართვის მხრივ;
- მატერიალური და სხვა სახის დახმარების გაწევა ქალებს, სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი პირების კატეგორიებს, მათი ეროვნების, მოქალაქეობის, აღმსარებლობის მიუხედავად;
- საზოგადოებაში ოჯახის პრესტიჟისა და როლის გაძლიერების ხელშეწყობა;
- დედობისა და ბავშვობის დაცვის ხელშეწყობა

ორგანიზაციის შესახებ დანერვილებით იხ. გვ. 74-75

წარმატებული პრაქტიკა

შემდეგი პრაქტიკის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ ქალები, მათ შორის იძულებით გადაადგილებულები და ლტოლვილები, მსჯავრდებულები ან სასჯელმთხედოები, ისეთი ქალები, რომლებიც იმყოფებიან რთულ ცხოვრებისეულ პირობებში, ან განიცდიან ძალადობას.

1. განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში განვითარებულია თანამშრომლობა საზოგადოებაში ყოფილი მსჯავრდებულების რესოციალიზაციის და ინტეგრაციის პროგრამის დანერგვისთვის: მონესრიგებულია გათავისუფლებული ქალების მონაცემთა ბაზის წარმართვისთვის საჭირო ინფორმაციის ოპერატიული გაცვლის მექანიზმი; ორგანიზაციისთვის ტარდება მსჯავრდებულ ქალთა მოთხოვნების რეგულარული კვლევა და მიმდინარეობს მუშაობა მათი ადაპტაციის უნარ-ჩვევების განვითარების კუთხით დაკავების ეტაპზე და გათავისუფლების შემდეგ. ეს თანამშრომლობა ხელს უწყობს პენიტენციურ დაწესებულებებში რესოციალიზაციის გააქტიურებული პროცესების, აგრეთვე ტრანსფორმაციის პირობებში მყოფი ჩენეთის საზოგადოებაში გათავისუფლებული ქალების სოცო-კულტურული ადაპტაციის კონცეპტუალურ გაცნობიერებას.

2. პროექტის სამიზნე ჯგუფიდან 902 ქალმა (მსჯავრდებული, სასჯელმთხედო, მძიმე ცხოვრებისეულ მდგომარეობაში მყოფი, ძალადობისგან დაზარალებული) მიიღო ფსიქოემოციური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა, ნეგატიური ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგების ტრანსფორმაციის/მე-კონცეფციის რეანიმაციის, სოციალურად დადებითი ფსიქიკური აქტივობის მობილიზების, პიროვნული განვითარების საშუალება. ასევე მოხდა პროექტის ჩამოყალიბება მომავალზე, ეს კი დაეფუძნა სოციალურად დადებითი ფასეულობების ორიენტაციის და სოციალური მოტივაციის აღდგენას.

ქალთა მონაწილეობამ სპეციალიზირებულ ჯგუფურ ფსიქოლოგიურ კონსულტირებაში ხელი შეუწყო:

- თვითშეფასების და საკუთარი ძალების რწმენის ამაღლებას;
- დადებითი შემოქმედებითი ინტერესების განვითარებას;
- პირობების შექმნას პიროვნების ზნეობრივი წარმოჩენისთვის ჯგუფში პიროვნებათა შორის ურთიერთობებში;
- აქტიური სოციალური პასუხისმგებლობის აღზრდას და სოციალური ნორმების დაცვის გაცნობიერებას, რამაც მთლიანობაში ხელი შეუწყო ყოფილ მსჯავრდებულებს შორის რეციდივების პროცენტულობის შემცირებას.

3. 120 ქალმა (მსჯავრდებული, სასჯელმოხდილი, მძიმე ცხოვრებისეულ მდგომარეობაში მყოფი, ძალადობისგან დაზარალებული) შეძლო ოჯახური კონფლიქტების მოგვარება: რელიგიური მოღვაწეების დახმარების წყალობით ქალებს გაუჩნდათ კეთილმოწყობის - როგორც შიდა პიროვნული, ასევე ოჯახური, საზოგადოებრივი - ინტერესი.

თავიანთი ცხოვრების მოწყობისას კეთილსაიმედო ოჯახური ურთიერთობების და ტრადიციების ფასეულობის გაცნობიერება უზრუნველყოფს მათ სოციალურ-ფსიქოლოგიურ მდგრადობას და ხელს შეუწყობს თემთან მიკუთვნილობის შეგრძნების განვითარებას, ეს კი დააჩქარებს მათი სოციალიზაციის პროცესს და მინიმუმამდე დაიყვანს კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამეორების რისკს.

4. სამიზნე ჯგუფიდან 680 ქალმა მიიღო ეკონომიკური მდგრადობის, თვითგანვითარების, თავისი რესურსების და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გამოვლენის შესაძლებლობა:

- 680 ქალმა გაიარა პროფესიული პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლება სამკერვალო და მანიკურის საქმის, საშინაო მედლის კურსების გავლით;
- მონაწილეთაგან 370 ქალმა დაიწყო მუშაობა სილამაზის სალონში, ატელიეში, საოჯახო მედდად;
- 103 ქალი ფასიან მომსახურებას ახორციელებს სახლში, რაც ხელს უწყობს მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5. 856 ქალმა (მსჯავრდებული, სასჯელმოხდილი, მძიმე ცხოვრებისეულ მდგომარეობაში მყოფი, ძალადობისგან დაზარალებული) აიმაღლა განათლების დონე სამართლებრივ საკითხებში, მიიღო კვალიფიკური იურიდიული დახმარება:

- უძრავ ქონებაზე უფლების აღდგენის კუთხით;
- რეაბილიტაციის უფლების დადგენის, სოციალური შეღავათების მიღების, ბავშვებზე მეურვეობის უფლების აღდგენის კუთხით.

6. 600-ზე მეტმა ყოფილმა მსჯავრდებულმა ქალმა მიიღო საინფორმაციო-საკონსულტაციო დახმარება იმ მომსახურების შესახებ, რასაც სთავაზობენ რთულ სიტუაციაში მყოფ ქალებს ჩეჩნეთის რესპუბლიკის არასამთავრობო ორგანიზაციები და სახელმწიფო უწყებები. ეს უზრუნველყოფს მხარდაჭერის სამსახურების მიმართ ქალთა ხელმისაწვდომობას და აფართოებს რესოციალიზაციის შესაძლებლობებს.

7. 600-ზე მეტი მსჯავრდებული ქალი გახდა სოციალური მონიტორინგის პროგრამის წევრი. საზოგადოების ინფორმირების მეშვეობით მათი უფლებები და ინტერესები უფრო მეტადაა უზრუნველყოფილი. ამასთანავე მიმდინარეობს მათი დასაქმების და სხვადასხვა სოციალურად მნიშვნელოვან პროგრამასა და პროექტში მათი ჩართვის შესაძლებლობების ძიება.

ჩვენი საქმიანობის მასშტაბური და პოზიტიური ეფექტია ცვლილებები ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ქალთა უფლებების სფეროში პროგრესის მხრივ. დღეისათვის ჩვენი ორგანიზაციის სახით ბენეფიციარებმა, მათი ოჯახის წევრებმა შეიძინეს რესურსი, რომლის დახმარებითაც შეუძლიათ თავიანთი კონსტიტუციური უფლებების მიღწევა.

„შთამბეჭდავია მსჯავრდებულ ქალთა, მათ შორის იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაცია, მათი ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, თვითშეფასების ამაღლება ტრენინგების შედეგად.“

(პროექტის უკრაინის ჯგუფის მონაწილეთა ანგარიშებიდან)



დასკვნა

იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის კუთხით პოსტ(კონფლიქტურ) ოთხ ქვეყანაში ჩატარებულმა სამუშაომ დაადასტურა ინტეგრაციული პროცესის რთული ხასიათი. საომარი მოქმედებებისგან დაზარალებული ადამიანების მხარდაჭერა ურთულესი ამოცანაა, რაც არა მხოლოდ ენთუზიაზმს, მაღალ პროფესიონალიზმსაც მოითხოვს.

ჩვენ მიერ 2017 წელს უკრაინაში, საქართველოსა და სომხეთში განხორციელებულმა საგანმანათლებლო ვიზიტებმა დიდი მხარდაჭერა გაუწია მონაწილეებს - ამ სამი ქვეყნის და აგრეთვე რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ექსპერტებს. მათ შეძლეს თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლება, გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა მიდგომის განხილვა და კონტაქტების დამყარება კოლეგებთან - როგორც თავიანთი ქვეყნის, ასევე სამი სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან.

მონაწილეები ერთსულოვანნი იყვნენ იმაში, რომ ვიზიტები ძალიან სასარგებლო გამოდგა. ბევრი მათგანი ხაზგასმით ამბობდა, რომ მნიშვნელოვანია მოისმინო არა მხოლოდ დადებითი, არამედ უარყოფითი გამოცდილებაც, რათა მომავალში თავიდან აიცილო მსგავსი შეცდომა. კონკრეტულად, საინტეგრაციო მუშაობის გარდა, გამოცდილების გაზიარება შეეხო არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობის სხვა ასპექტებსაც - პროექტების შემუშავება, დაფინანსებაზე განაცხადის შეტანა, პროექტების ეფექტური მართვა და მუშაობა საზოგადოებასთან.

აქტივისტები ამბობენ, რომ ამ მოგზაურობების დროსაც უკვე შეიცვალა მათი ორგანიზაციების მუშაობა: ინერგებოდა ახალი თემატური და მეთოდოლოგიური იდეები, ხშირად - ადაპტირებული ფორმით, დაუყოვნებლივ. გამოცდილების გაზიარებას ჰქონდა საშუალო და გრძელვადიანი ეფექტიც: შესამჩნევი გახდა ხარვეზები, ნაკლოვანებები, რამაც ახალი პროექტების და პრობლემების გადაჭრის მეთოდების განვითარება გამოიწვია. ნანახი ზოგიერთი წარმატებული პრაქტიკა აქტივისტებმა უკვე დანერგეს თავიანთ ქვეყანაში: მაგალითად, უკრაინაში, საქართველოს მსგავსად, გამოიყენეს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები ახალგაზრდა იგპ-ბისა

და ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის. ქალაქ გიუმრიდან კი ჩამოიტანეს იდეა - შეექმნათ იძულებით გადაადგილებული ბავშვების სოციალური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ინკლუზიური ცენტრი. ეს უკვე ამუშავდა უკრაინაში. უკრაინელმა აქტივისტებმა სომეხ კოლეგებთან რეგულარული კონსულტაციების შედეგად წარმატებით გამოიყენეს პრაქტიკაში უკვე ადაპტირებული მოდელები. ხშირად გამოითქმებოდა (და ნაწილობრივ უკვე განხორციელდა) სურვილი და განზრახვა, გააღრმავონ უკვე არსებული კავშირები და განაგრძონ ურთიერთსწავლება - მაგალითად, ერთმანეთთან ვიზიტების და გამოცდილების დაწვრილებითი გაცვლის ფარგლებში, აგრეთვე ურთიერთკონსულტაციებით კონკრეტული თემებისა და პრობლემების თაობაზე. თანამშრომლობის კონკრეტული ფორმები უკვე დაგეგმილია, ნაწილობრივ - განხორციელდა კიდევ. მათ შორის - ტრანსსასაზღვრო საერთო პროექტები, კონფერენციები და სემინარები.

დიალოგი და ვარაუდების მსხპრევა

პროექტის „დავძლიოთ ომის შედეგები ერთად“ და მისი თანამდევნი ღონისძიებების, მათ შორის პოსტ(კონფლიქტურ) რეგიონებში მოგზაურობების, დაგეგმვისას, ჩვენ გვესმოდა, რომ ომის გამოცდილებამ კვალი დაამჩნია მონაწილეთა ცნობიერებას. ჩვენ ვაცნობიერებდით, რომ, შესაძლოა, ისინი თავადაც ყოფილიყვნენ მიკერძოებულები ან ჰქონოდათ ვარაუდები, ეჭვები სხვა ქვეყნების წარმომადგენელი კოლეგების მიმართ. ამიტომ გამოცდილების გაზიარებასთან ერთად ჩვენი მთავარი ამოცანა იყო შესაძლო ვარაუდების გაფანტვა და კონსტრუქციული დიალოგის შექმნა. ამ მიზანმა გააერთიანა ჩვენი პროექტის ექვსივე მიმართულება.

ამ კონტექსტში საგანმანათლებლო ვიზიტების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი გახდა ის, რომ მონაწილეები გაეცნენ კოლეგებს და სხვა ადამიანებს სხვადასხვა ქვეყნიდან, ამგვარად დაძლიეს მიკერძოებულობა თუ ეჭვები სხვა ხალხების წარმომადგენლების მიმართ. ამჟამად ისინი თანამშრომლობენ და მეგობრობენ. ბევრმა მონაწილემ აღიარა, რომ თავიდან კოლეგებს სუბიექტურად და

მტრულადაც კი ეპყრობოდა - და ფინალის დროს ყველა ხაზგასმით ამბობდა, რომ ინტენსიური პროფესიული და პირადი ურთიერთობები დაეხმარა მათ, დაენახათ სხვა მონაწილეები, როგორც ინდივიდუუმები, სტერეოტიპებს მიღმა: მაგალითად, უკრაინელი აქტივისტები ნდობით განიმსჭვალნენ რუსი და სომეხი კოლეგების მიმართ, ქართველმა და სომეხმა მონაწილეებმა საერთო ენა გამოიყენეს. ყველა მონაწილეს - უკრაინის, სომხეთის და საქართველოს წარმომადგენლებს - გაუქრა ეჭვები ჩეჩენი და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რეგიონების კოლეგების მიმართ. იგივე ეხება უცხო რელიგიების მიმართ დამოკიდებულებასაც, ქრისტიანობაა ეს თუ ისლამი.

ამას გარდა, მოგზაურობის ბოლოს მათ ისწავლეს ვარაუდების და დისკრიმინაციის არა მარტო მიზეზებისა და შედეგების გაცნობიერება, არამედ გააკეთეს შესაბამისი დასკვნები საკუთარი მუშაობისთვის:

მოგზაურობიდან დაბრუნებული მონაწილეები აქტიურად აზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს კოლეგებისა და მეგობრების წრეში, ამგვარად, თავიანთი წვლილი შეჰქონდათ გარკვეული ქვეყნის, საზოგადოების თუ კულტურის წარმომადგენლების მიმართ ვარაუდების მსხვრევაში. ამას გარდა, ბევრი გეგმავს თავის ქვეყანაში დააარსოს სადიალოგო ინიციატივები და ღონისძიებები სამხედრო კონფლიქტის მონაწილე მხარეთა წარმომადგენლებს შორის. პროგრამის ბევრმა კურსდამთავრებულმა შეძლო გავლენა დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ კონფლიქტებზე თავის საცხოვრებელ ადგილას.

დროული ფსიქოსოციალური დახმარება – გრძელვადიანი ინტეგრაციის ხანინდარი

სამმა საგანმანათლებლო ვიზიტმა და ოთხი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეების ურთიერთობამ დაადასტურა საერთო შთაბეჭდილება: ლტოლვილთა და იგპ-თა ინტეგრაციას ახალ (მუდმივ თუ დროებით) საცხოვრებელ ადგილას საგრძნობლად ართულებს ფსიქოსოციალური გარემოებები - ადამიანები იძულებულნი არიან, თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ დატოვონ სახლ-კარი და ხშირად ღრმად არიან ტრავმირებული ომისა და ძალადობის გამოცდილე-

ბის გამო. ამასთან, სასწრაფო საბაზისო უზრუნველყოფის (საკვები, მედიკამენტები, საცხოვრებელი) ძიება არცთუ იშვიათად ჩრდილავს ფსიქოლოგიური მხარდაჭერის აუცილებლობას.

ამას გარდა, ოთხ წარმოდგენილ ქვეყანაში ჯერჯერობით საკმარისად არ არიან პროფესიონალები, რომლებსაც შეუძლიათ კვალიფიციური ფსიქოსოციალური დახმარების გაწევა. პრობლემა მწვავედ იმის გამოც, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში ფსიქოთერაპია სტიგმატიზირებულია. ამის გამო ადამიანები, რომელთაც ფსიქოლოგიური და ფსიქოსოციალური დახმარების მწვავე საჭიროება გააჩნიათ, ხშირად უარს ამბობენ არსებული შემოთავაზების გამოყენებაზე. ამგვარად, ომისგან მიყენებულ ფსიქოლოგიურ ტრავმას სათანადო პროფესიული ყურადღება არ ექცევა. ეს ართულებს ინტეგრაციას, ზოგჯერ კი იწვევს აგრესიულ ქცევას და ძალადობას.

პროფესიულმა ურთიერთობამ მოგზაურობების დროს ამ სფეროში თვალსაჩინო განსხვავებები წარმოაჩინა სხვადასხვა ქვეყანაში. ჩრდილოეთ კავკასიაში საერთაშორისო ორგანიზაციები გაცნობიერებულად მოეკიდნენ პროფესიონალთა განათლებას ფსიქოსოციალური დახმარების მხრივ ჩეჩნეთის ომის შემდეგ. უკრაინაში ამჟამად იგრძნობა მსგავსი განვითარება. საქართველოსა და სომხეთში კი იქ განვითარებული ომების შემდეგ ფსიქოსოციალურ დახმარებას პრაქტიკულად არანაირი ყურადღება არ ექცეოდა. ჩრდილოეთკავკასიელი კოლეგების სამუშაო გამოცდილება ამ სფეროში მეტად საინტერესო იყო სხვა მონაწილეებისთვის. მან აჩვენა, რაოდენ მნიშვნელოვანია ლტოლვილებისა და იგპ-თვის ფსიქოსოციალური მხარდაჭერის სწრაფი შეთავაზება.

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ემოციური გადარწმუნების პროფესიული პროფილაქტიკა

ყველა წარმოდგენილ ქვეყანაში საინტეგრაციო მუშაობა ტარდება, ძირითადად, მოხალისეების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ. ამასთან, ისინი მუდმივად ხვდებიან ადამიანებს, რომელთაც მძიმე ტრავმები გადაიტანეს და ხშირად არ გააჩნიათ ამ ტრავმებთან მუშაობის შესაძლებლობა. ასეთი ადამიანების დახმარება ემოცი-

ურად რთულია; მოხალისეების წინაშე დგას ემოციური გადანვის და ექსტრემალური სულიერი გადაღლის მაღალი რისკი.

ამიტომაც პროექტის „დავძლიოთ ომის შედეგები ერთად“ ფარგლებში ჩვენ მოვამზადეთ და სერტიფიკატები გადავცით პირველ კლინიკურ სუპერვიზორებს უკრაინაში.

ახლა ისინი სთავაზობენ ინდივიდუალურ, გუნდურ და ჯგუფურ სუპერვიზიას ფსიქოსოციალური დახმარების პროფესიონალებს. მხარდაჭერის მიზნით მიმართვა და სერტიფიცირებულ კლინიკურ სუპერვიზორებთან დაკავშირება შესაძლებელია ანონიმურად პროექტის საიტის მეშვეობით¹.

ჩვენმა მოგზაურობებმა თავისი წვლილი შეიტანა ემოციური გადანვის პროფილაქტიკაშიც: მან საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლებს საშუალება მისცა, დროებით დატოვონ ჩვეული სამუშაო კონტექსტი, ახალი პერსპექტივებიდან შეხედონ თავიანთ საქმიანობას, კონტაქტი დაამყარონ კოლეგებთან, შეიგრძნონ, რომ მათი ესმით და მათ აღიარებენ სხვა აქტივისტები - რაც მოტივაციას და ძალას ანიჭებთ. პერსპექტივის ასეთი ცვლილება - არის ტიპური პროფესიული სუპერვიზია.

მეორე მომავლისკენ

გამოცდილების გაზიარება და კონტაქტების დამყარება - არის საფუძვლები საერთაშორისო პროექტისა „დავძლიოთ ომის შედეგები ერთად“. ისინი წარმოდგენილია (ნაწილობრივ, საერთაშორისო კონფერენციებისა და მრგვალი მაგიდების ფორმით) პროექტის სხვა მიმართულებების ფარგლებშიც - ისეთებში, როგორებიცაა: ფსიქოლოგიურ ტრავმებზე მუშაობა, სოციალური მენარმეობა, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კონფლიქტების გადაჭრის ინსტრუმენტი და ომით გამოწვეული ოჯახში ძალადობის პროფილაქტიკა.

ყველა სფეროში ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (პოსტ)კონფლიქტური რეგიონების აქტივისტების და ექსპერტების

გაცნობა. მათი საქმიანობის კონტექსტი ბევრ რამეში ემთხვევა ერთმანეთს, მუშაობის და მოგვარების წარმატებული მეთოდების გაზიარება მეტად პროდუქტიული ხდება. პროექტის გამოცდილება გვირგვინებს სხვადასხვა პერსპექტივის და ნოუ-ჰაუს შერწყმის სინერგიას.

აქტუალური პროგრამა „დავძლიოთ ომის შედეგები ერთად“ მთავრდება 2019 წლის იანვარში - თუმცა მის ადგილას მოდის იმავე სახელწოდების ანალოგიური პროექტი. 2017 წელს საგანმანათლებლო ვიზიტების ფარგლებში მიღებულმა გამოცდილებამ დავგანახა (ტრავმო)ფსიქოთერაპევტების სწავლების აუცილებლობა. ამიტომ მომავალ პროექტში სამუშაო მიმართულების „ომით გამოწვეულ ფსიქოლოგიურ ტრავმებთან მუშაობა“ ფარგლებში ვგეგმავთ უკრაინის, საქართველოს, სომხეთის ფსიქოთერაპევტების სწავლებას და მხარდაჭერას ომისგან ტრავმირებული ადამიანებისთვის უფასო ფსიქოთერაპიული დახმარების შეთავაზებაში. ამასთან, ჩვენთვის მნიშვნელოვანია გავაფართოოთ მუშაობა ფსიქოთერაპიის სტიგმატიზაციის წინააღმდეგ საქართველოსა და სომხეთში.

მადლობის სიტყვები

დიდი მადლობა გვინდა გამოვხატოთ უკრაინის, სომხეთის და საქართველოს იმ არაკომერციული ორგანიზაციების მიმართ, რომელთაც მიგვინვიეს, ბევრი სასარგებლო და საინტერესო რამ გვიამბეს თავიანთ მუშაობაზე, გაგვიზიარეს ინტეგრაციის დადებითი გამოცდილება და წარმატებული პრაქტიკა და შეცდომებიც, რომელთაგან მათ ფასეული დასკვნები გააკეთეს.

ჩვენ აგრეთვე განსაკუთრებით ვემადლიერებით ვიზიტების მონაწილეებს აქტიურობის, ენთუზიაზმისა და იმ ყველაფრის გამო, რაც ამ მოგზაურობების შედეგად მოიფიქრეს, განახორციელეს და დაგეგმეს. ეს სამუშაო - რთული, უანგარო, უმეტესწილად ომგამოვლილი და იძულებით ემიგრაციაში მყოფი ადამიანების მიერ შესრულებული - უღრმეს მადლობას იმსახურებს. მადლობა და წარმატებები თქვენ და თქვენს მნიშვნელოვან საქმეს!

¹ იხ. პროექტის გვერდი: <https://www.austausch.org/novosti-detali/obuchennye-v-ramkax-nashego-proekta-klinicheskie-supervizoryi-predlagajut-professionalnoe-provedenie-supervizij-dlja-specialistov/>

დაბოლოს, ჩვენ უღრმეს მადლობას ვუხდით გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროს ამ შესაძლებლობისთვის - შეგვეტანა წვლილი ომის შედეგების ერთობლივად დაძლევაში თემატურად მრავალფეროვანი საერთაშორისო თანამშრომლობის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის გამოცდილების გაზიარების გზით.

მარია სლეზაჩეკი

პროექტის „დავძლიოთ ომის შედეგები ერთად“
ხელმძღვანელი

ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი
საქართველოში და გამოცემის შემდგენელი

დიანა მირიბიანი

პროექტის კოორდინატორი სომხეთში

ინნა აირაპეტიანი

ჩრდილოეთ კავკასიის ჯგუფის კოორდინატორი
საგანმანათლებლო ვიზიტების კუთხით

ნადეჟდა ხომენკო

პროექტის კოორდინატორი უკრაინაში

„ძალიან შთაბეჭდილია მუშაობა ბავშვებთან. სომხეთში ჩასვლაც კი მომინდა, როგორც მოხალისეს, რომ დეტალურად გავეცნო ბავშვებთან სოციალური მენარმეობის საკითხებს.“

პროექტის მონაწილე, უკრაინა

„ისლამზე შეხედულება შემეცვლა და ეს ყველაფერი ლუიზას წყალობით. ის ჩემი საუკეთესო მეგობარი გახდა.“

პროექტის მონაწილე, სომხეთი

„ძალიან მომეწონა ორგანიზაცია ბათუმში. აღტაცებას იწვევს მათი მუშაობა ახალგაზრდებთან. აუცილებლად დავეუკავშირდები მათ და კონტაქტებს დავამყარებ.“

პროექტის მონაწილე, რუსეთი

„დავინახეთ, რამხელა მუშაობაა ჩატარებული საქართველოში იგპ-თა ინტეგრაციის მხრივ, რა რთული გზა გაიარეს ადამიანებმა. ბევრი რამ ჯერაც გაუკეთებელია, მაგრამ მათ ხელი არ ჩაუქნევიათ, თვალეები უციმციმებთ, აქვთ გუნდის შეგრძნება. არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობამ სახელმწიფოსთან განაპირობა კარგი საკანონმდებლო ბაზა დევნილებისთვის - ბევრი რამის სწავლა შეიძლება.“

პროექტის მონაწილე, უკრაინა

„ნეტა ბევრი იყოს ასეთი შეხვედრა, ასეთი მოვზაურობა - მოვიშორებდით ყველა ეჭვს და დისკრიმინაციას, მოვაგვარებდით ყველა კონფლიქტს.“

პროექტის მონაწილე, სომხეთი

„ჩვენი საგანმანათლებლო ვიზიტების და კოლეგების წყალობით, უამრავი შეხედულება შემეცვალა, სხვაგვარად შევხედე ბევრ ეროვნებას.“

პროექტის მონაწილე, უკრაინა

„მოვზაურობამ ბევრი სტერეოტიპი დაამსხვრია, მაგალითად, ჩეჩნების მიმართ; ახალი კონტაქტების დამყარების შესაძლებლობა მოგვცა.“

პროექტის მონაწილე, უკრაინა

პროექტის
„დავძლიოთ
ომის შედეგები ერთად“
შესახებ

კონფლიქტების მულტიეროვნული დარეგულირება და დიალოგის განვითარება უკრაინაში და აღმოსავლეთ ევროპის სხვა (პოსტ)კონფლიქტურ ზონებში სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერით

გამომდინარე იქიდან, რომ ამჟამინდელ სიტუაციაში (ომი უკრაინის აღმოსავლეთში და ყირიმის ანექსია) უკრაინის სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს ცენტრალურ ძალას (ომისშემდგომი) კონფლიქტების მოგვარების, გადანწყვეტის და პრევენციის სფეროში და მშვიდობისმყოფელობაში, ამ პროექტის მიზანია უკრაინის სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა ამ რთულ საქმეში, პროფესიული გადანვლის თავიდან აცილება და სამოქალაქო საზოგადოების გრძელვადიანი და სტაბილური მუშაობის დამყარება.

ეს მიზანი მიიღწევა სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების მიზანმიმართული პროფესიონალიზაციით მათი სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების გზით, აგრეთვე ისეთი ქვეყნების ცოდნის და გამოცდილების გაზიარებით, რომელთაც გამოიარეს სამხედრო კონფლიქტი, ან იმყოფებიან კონფლიქტის პირობებში - მაგ., საქართველო, სომხეთი და რუსეთი, ჩრდილოეთ კავკასია.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში გამართული საერთაშორისო კონფერენციების, მრგვალი მაგიდების და საგანმანათლებლო ვიზიტების დახმარებით საქართველოს, სომხეთის და რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც თავის ქვეყანაში პოსტკონფლიქტური უზრუნველყოფის ერთ-ერთი ცენტრალური ძალაა, მხარდაჭერას იღებს (ომისშემდგომი) კონფლიქტების მოგვარებასა და თავიდან აცილებაში.

პროექტის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზანია დიალოგის მიღწევა და თანამშრომლობის ქსელის შექმნა აღმოსავლეთ ევროპის

სხვადასხვა (პოსტ)კონფლიქტური ქვეყნის, განსაკუთრებით პროექტის ოთხი ქვეყნის: უკრაინის, საქართველოს, სომხეთისა და რუსეთის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის. სწორედ ეს იძლევა შესაძლებლობას, იპოვონ საერთო გრძელვადიანი გადანწყვეტილება კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობისმყოფელობის კუთხით, გრძელვადიან პერსპექტივაში კი სამშვიდობო პროცესს ავითარებს მთელ რეგიონში.

პროექტს „დავძლიოთ ომის შედეგები ერთად“ 2016 წლის აგვისტოდან 2019 წლის იანვრის ჩათვლით ახორციელებს ორგანიზაცია „გერმანულ-რუსული გაცვლა“ (DRA e.V., ბერლინი) ერთობლივად თავის მთავარ უკრაინელ პარტნიორთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან „Крайна вільних людей“ (კრამატორსკი/ლვოვი), რუსეთში მთავარ პარტნიორთან, აგრეთვე ხუთ პარტნიორულ ორგანიზაციასთან უკრაინიდან, რუსეთიდან, საქართველოდან, სომხეთიდან და გერმანიიდან: „Наше майбутнє“ (ზაპოროჟიე, უკრაინა), „სომხური კარიტასი“ (გიუმრი, სომხეთი), ქალთა ფონდი „სოხუმი“ (ქუთაისი, საქართველო), „აღმოსავლეთ ევროპის ფონდი“ (კიევი), „ChildFund გერმანია“ (ბერლინი).

პროექტი წარმოადგენს DRA e.V მიერ უკრაინაში 2014 წლიდან განხორციელებული წინა პროექტების შედეგს. პროექტები ეძღვნებოდა ომისშემდგომი კონფლიქტების მშვიდობიან დარეგულირებას (<https://kriegsfolgen-ueberwinden.de/ru/vorgaengerprojekt>).

პროექტს აფინანსებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

საერთაშორისო პროექტის „დავძლიოთ ომის შედეგები ერთად“ 6 სამუშაო მიმართულების ფარგლებში რეალიზებული ღონისძიებები

პროექტში ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამების, ტრენინგების და ვიზიტების 91 მონაწილე ოთხი ქვეყნიდან (უკრაინა, რუსეთი, საქართველო და სომხეთი), ორი საერთაშორისო კონფერენციის და ერთი საერთაშორისო მრგვალი მაგიდის 286 მონაწილე. აგრეთვე პროექტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამების მონაწილეთა მიერ განხორციელებული 32 ქვეგრანტული პროექტის წყალობით უშუალოდ ჩაერთო 3847 და ინტერნეტრესურსების მეშვეობით - 45 ათასზე მეტი ადამიანი.

სამხედრო კონფლიქტით განპირობებულ ტრავმებთან მუშაობა

ეს მიმართულება მხარდაჭერას უწევს სამოქალაქო საზოგადოებას იმ ფსიქოთერაპევტებისა და ფსიქოლოგების კვალიფიკაციის ამაღლებით, რომლებიც მუშაობენ ომის ფსიქოლოგიურ ტრავმებთან, ფსიქოლოგთა მეორადი ტრავმატიზაციის შემთხვევების და საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე მოხალისეების გადანერგვის თავიდან აცილებისთვის, აგრეთვე ფსიქოლოგიური დახმარების შესახებ ფართოდ გავრცელებული ვარაუდების გაფანტვაში.

მოცემული მიმართულების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები:

- კლინიკური სუპერვიზორების სერტიფიცირებული სწავლება მთელ უკრაინაში
- ორი საინფორმაციო კამპანია ფსიქოთერაპიული დახმარებისთვის მიმართვის სტიგმატიზაციის საწინააღმდეგოდ
- საერთაშორისო კამპანია თემაზე „ტრავმატერაპია კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ რეგიონებში“

საომაკონფლიქტით განპირობებული დისკრიმინაციის საწინააღმდეგო მუშაობა

აღნიშნული მიმართულება მხარს უჭერს სამოქალაქო აქტივისტებს საზოგადოების გარკვეულ მიზნობრივ ჯგუფებთან, მათ შორის მიმღებ თემებში, მუშაობაში - ომით განპირობებული დისკრიმინაციის დაძლევისა და თავიდან აცილებისთვის. სწავლება მიმდინარეობს ჩვენი პარტნიორის «Perspektivwechsel Plus» მიერ შემუშავებული მეთოდით. ეს მეთოდი ეფუძნება «Anti-bias»-ის (ვარაუდებისგან თავისუფლება) მიდგომას და მიმართულია ვარაუდების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების გამომუშავებისკენ თვითრეფლექსიის საფუძველზე.

აღნიშნული მიმართულების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები:

- ტრენინგების მომზადება ანტიდისკრიმინაციული მუშაობისთვის (პოსტ)კონფლიქტურ რეგიონებში
- უკრაინის სხვადასხვა ნაწილში განხორციელებული 5 ქვეგრანტული პროექტი უკრაინის აღმოსავლეთში საომაკონფლიქტით გამოწვეული დისკრიმინაციის შემცირებისთვის საზოგადოებაში
- მეთოდური სახელმძღვანელოს გამოცემა სამ ენაზე ანტიდისკრიმინაციულ მუშაობაზე კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ რეგიონებში

ომით განპირობებული ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო სტრატეგიები

აღნიშნული მიმართულება მხარდაჭერას უწევს სამოქალაქო საზოგადოებას ომით განპირობებული ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებაში - ამ საქმეში მამაკაცების ჩართვით და სხვადასხვა (პოსტ)კონფლიქტური რეგიონის სამოქალაქო აქტივისტებს შორის გამოცდილების გაზიარებით მამაკაცებთან ოჯახში ძალადობის თემაზე მუშაობის მხრივ. ეს მიმართულება მოიცავს პროექტის პარტნიორების საავტორო სასწავლო პროგრამას ომით განპირობებული ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო ქმედების კუთხით - მამაკაცების ჩართვით საპასუხისმგებლო პრაქტიკასა და საზოგადოებრივ შრომაში ოჯახში ძალადობის შემცირებისა და პრევენციისთვის.

აღნიშნული მიმართულების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები:

- სწავლება მამაკაცებისთვის - საზოგადოებრივი მუშაობა ომით განპირობებული ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის
- 7 სემინარი მამაკაცებისთვის ოჯახში ძალადობის თემაზე ჩატარდა უკრაინის 6 რეგიონში ჩვენ მიერ ადრე მომზადებული მონაწილეების ქვეგრანტული პროექტების ფარგლებში
- 6 საინფორმაციო კამპანია ოჯახში ძალადობის, როგორც ომის შედეგის, პრევენციისთვის, რაც განხორციელდა უკრაინის 6 რეგიონში ჩვენ მიერ ადრე მომზადებული მონაწილეების ქვეგრანტული პროექტების ფარგლებში
- საერთაშორისო მრგვალი მაგიდა თემაზე „მუშაობა მამაკაცებთან: პროფილაქტიკის ეფექტური მეთოდები, მუშაობა გამანაწყენებლებთან“

მუშაობა დიალოგის მიღწევისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისთვის ფორუმ-თეატრის დახმარებით

ამ საპროექტო მიმართულების მონაწილეები სწავლობენ გადაწყვეტილების პოვნას ომის შედეგად საზოგადოებაში წარმოქმნილი სხვადასხვა კონფლიქტის მოგვარებისთვის ფორუმ-თეატრის მეთოდის მეშვეობით. ფორუმ-თეატრი წარმოადგენს შუამავლობის ეფექტურ მეთოდს მოლაპარაკებასა და სამშვიდობო საქმიანობაში.

აღნიშნული მიმართულების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები:

- მულტიპლიკატორების სწავლება ფორუმ-თეატრის მეთოდის გამოყენების თაობაზე სადიალოგო და სამშვიდობო საქმიანობაში უკრაინის, სომხეთის და ჩრდილოეთ კავკასიის ექსპერტებთან
- 6 ქვეგრანტული პროექტი ომის სოციალური შედეგების დაძლევისთვის ფორუმ-თეატრის მეთოდის გამოყენებით რეალიზებულია უკრაინის სხვადასხვა რეგიონში
- მეთოდური სახელმძღვანელოს „ფორუმ-თეატრი, როგორც ომისშემდგომი კონფლიქტების მოგვარების და თავიდან აცილების მეთოდი“ გამოცემა სამ ენაზე

იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაცია

ამ მიმართულებაში ხორციელდება უკრაინის, საქართველოს, სომხეთის და რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის სფეროში პრობლემებისა და კონფლიქტების მოგვარებისთვის გამოცდილების და ინტეგრაციის წარმატებული პრაქტიკის გაზიარებით.

აღნიშნული მიმართულების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები:

- 3 საგანმანათლებლო ვიზიტი უკრაინაში, საქართველოსა და სომხეთში ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულთა და ლტოლვილთა ინტეგრაციის ეფექტური სტრატეგიების გამოცდილების გაზიარების მიზნით უკრაინის, საქართველოს, სომხეთის და რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის აქტივისტებისთვის
- საინფორმაციო ბროშურის გამოცემა უკრაინის, საქართველოს, სომხეთის და რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის წარმატებული პრაქტიკის შესახებ იგპ-თა და ლტოლვილთა წარმატებული ინტეგრაციის კუთხით ოთხ ენაზე (უკრაინული, რუსული, სომხური და ქართული)

სოციალური მენარმეობის განვითარების ხელშეწყობა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების და კონფლიქტების გადაჭრისთვის

აღნიშნული მიმართულება მხარს უჭერს სამოქალაქო საზოგადოებას მუშაობაში ომით გამოწვეული უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის და კონფლიქტის გადაჭრისთვის - უკრაინაში სოციალური მენარმეობის, როგორც დასახელებული პრობლემების და კონფლიქტების გადაჭრის ინსტრუმენტის, განვითარებითა და გავრცელებით.

აღნიშნული მიმართულების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები:

- აქტივისტებისთვის სოციალური მენარმეობის გამოყენების სწავლება, როგორც სტრატეგიისა ომით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური კონფლიქტების დაძლევისა და თავიდან აცილებაში
- უკრაინის ოთხ რეგიონში შეიქმნა სოციალურ-ეკონომიკური კონფლიქტების მოგვარებისკენ მიმართული ოთხი სოციალური საწარმო
- სრულიად უკრაინის ორი საინფორმაციო კამპანია, მიმართული სოციალური მენარმეობის პოპულარიზებისაკენ, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ინსტრუმენტისა სოციალურ-ეკონომიკური კონფლიქტების პრევენციასა და დაძლევაში
- საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „სოციალური მენარმეობა, როგორც ინსტრუმენტი საზოგადოებრივი აქტივისტებისთვის საომარი მოქმედებებით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური კონფლიქტების დაძლევისა და თავიდან აცილებაში“

დანვრილებითი ინფორმაცია პროექტისა და მისი ექვსი სამუშაო მიმართულების შესახებ, აგრეთვე პროექტის და ქვეგრანტული პროექტების შედეგების მიმოხილვა მასალებისა და ვიდეოს სახით შეგიძლიათ იპოვოთ პროექტის საიტზე <http://www.overcome-war.org>

გამომცემელი:

DRA e.V.

(საზოგადოებრივი ორგანიზაცია „დრა“)
ბადშტრასე 44
ბერლინი, 13357, გერმანია
+49 (0)30 / 4466800
info@austausch.org
www.austausch.org
www.facebook.com/draberlin

გამოცემის შემდგენელი:

ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი

პროექტის ხელმძღვანელი:

მარია სლეზაჩეკი, DRA e.V.

პროექტი:

„დავძლიოთ ომის შედეგები ერთად“
www.overcome-war.org
www.fb.com/naslidkiviyni

პროექტის სამუშაო მიმართულება:

„ქვეყნის შიგნით გადაადგილებულთა და
ლტოლვილთა ინტეგრაცია“

პარტნიორები პროექტის სამუშაო მიმართულებების განხორციელების კუთხით:

DRA (დრა), გერმანია
Країна вільних людей (თავისუფალ ადამიანთა
ქვეყანა), უკრაინა
Armenian Karitas (სომხური კარიტასი), სომხეთი
Fund «Sukhumi» (ფონდი „სოხუმი“), საქართველო

მასალების შეგროვება ორგანიზაციების მიხედვით:

დიანა მირიბიანი

პროექტის კოორდინატორი სომხეთში

მერი გელაშვილი

პროექტის თანამშრომელი საქართველოში

ინნა აირაპეტიანი

ჩრდილოეთ კავკასიის ჯგუფის კოორდინატორი
საგანმანათლებლო ვიზიტების კუთხით

ნადეჟდა ხომენკო

პროექტის კოორდინატორი უკრაინაში

სიტუაციის მოკლე ანალიზი იგპ-თა და ლტოლვილთა ინტეგრაციის მხრივ:

დიანა მირიბიანი

პროექტის კოორდინატორი სომხეთში

ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი საქართველოში
და გამოცემის შემდგენელი

ინნა აირაპეტიანი

ჩრდილოეთ კავკასიის ჯგუფის კოორდინატორი
საგანმანათლებლო ვიზიტების კუთხით

ნადეჟდა ხომენკო

პროექტის კოორდინატორი უკრაინაში

თარგმანი სომხურ ენაზე:

ქრისტინე სოგიკიანი

თარგმანი ქართულ ენაზე:

ლალი შენგელია

თარგმანი უკრაინულ ენაზე:

ანა პერერნაია

დიზაინი:

ალინა პოტემსკაია

დაკაბადონება:

ლია კოსტავა

საინფორმაციო ბროშურის პუბლიკაცია განხორციელდა გერმანიის
ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით.

© საზოგადოებრივი ორგანიზაცია „დრა“, 2018 წ.

ყველა უფლება დაცულია. ამ პუბლიკაციის შინაარსის გამოყენება
და გავრცელება შესაძლებელია შეზღუდვების გარეშე საგანმანათ-
ლებლო ან სხვა არაკომერციული მიზნებით. აუცილებელია პროექ-
ტის „დავძლიოთ ომის შედეგები ერთად“ და საზოგადოებრივი ორ-
განიზაცია „DRA e.V.“-ს, როგორც გამომცემლის, მითითება.

საინფორმაციო ბროშურის ციტირება შესაძლებელია შემდეგი სა-
ხით: „იგპ და ლტოლვილთა ინტეგრაციის წარმატებული პრაქტიკა
- უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, რუსეთის, ჩრდილოეთ კავ-
კასია სამოქალაქო საზოგადოების გამოცდილება - საინფორმაციო
ბროშურა, DRA e.V. – „დავძლიოთ ომის შედეგები ერთად“, ბერლინი,
კიევი, 2018 წ.“

აღნიშნული გამოცემა უფასოა.



დავპლიოთ ომის შედეგები ერთად



თანამშრომლობით:



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԿՐԻՏԱՆԻ
ARMENIAN CARITAS



ფინანსური მხარდაჭერით:



Federal Foreign Office